საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 033 (12712) 11 თებერვალი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

სამხრეთი აფრიკა 2010

VIII ჯგუფი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ...

## ირლანდია საქართველო

დღეს. დუბლინი. კროკ პარკი. 23:45

პირველ არხზე Live





## ქალაქი მზადაა, ყველა მწყობრშია



ეკტორ კუპერი

# იცოდეთ, დუბლინში მოსაგებად ჩამოვედით!

VS

ჯოვანი ტრაპატონი

# მოვუგოთ საქართველოს და დავეწიოთ იტალიას

მწვრთნელების პრესკონფერენცია >> 2

## ჰიდინკი: სეზონის ბოლომდე ჩელსიში




>> 6



ტექნიკური შედეგები

>> 15

## ბრაზილიამ იტალია ნახევარ საათში მოსპო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტორ კუპერის პრესკონფერენცია

# დუბლინში მოსაგებად ჩამოვედით!

## რა არ უთხრა ჩვენი ნაკრების თავკაცმა ირლანდიელებს

**გუშინ** ვარჯიშის დაწყებამდე საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცმა ექტორ კუპერმა პრესკონფერენცია გამართა. ირლანდიელი ჟურნალისტები შეეცადნენ, არგენტინელისგან როგორმე ბევრი ინფორმაცია მიეღოთ... თუ რამდენად შეძლეს ეს, თავად განსაჯეთ...

**- საინტერესოა, რა შემადგენლობით აპირებთ ირლანდიასთან მატჩის დაწყებას?**

- (იცინის)... სასტარტო შემადგენლობა ჯერ თავადაც არ ვიცი და თქვენ რა უნდა გითხრათ? რომელი 11 ფეხბურთელი იქნება ირლანდიასთან სასტარტო შემადგენლობაში, ამას ხვალ დილით გადავწყვეტ.

**- ტრავმის გამო ვინ დაგაკლდებათ?**

- ოთხი ფეხბურთელი გვყავს ტრავმირებული - „შალკეს" ნახევარმცველი ლევან ყენია, „პალერმოს" თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე, „შტურმის" მცველი გიორგი შაშიაშვილი და „რუბინის" მცველი ლაშა სალუქვაძე.

**- ტრავმირებულებში ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე არ დაგისახელებიათ...**

- კალაძე გუნდთან ერთადაა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, შეძლებს თუ არა თამაშს.

**- ბევრი აქებს 18 წლის ლევან ყენიას. მას „პატარა ვირტუოზსაც" უწოდებენ. თქვენი გუნდისთვის ყენიას არყოფნა რამდენად დიდი დანაკლისია?**

- ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ყენია ჩვენი გუნდისთვის მართლაც მნიშვნელოვანი ფიგურაა. გარდა ამისა, ის „მომავლის პროექტია". მას შეუძლია, წლების განმავლობაში იყოს ნაკრების წამყვანი ძალა. ყენია ის ფეხბურთელია, რომელსაც მოედანზე ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ვწუხვარ, რომ ირლანდიასთან მატჩში ვერ ითამაშებს. ის „შალკეში" გადის სარეაბილიტაციო კურსს.

**- რისთვის იბრძოლებს საქართველოს ნაკრები?**

- რა თქმა უნდა, 3 ქულისთვის. ჩვენ არა ერთხელ გავაანალიზეთ ირლანდიასთან მაინცში ჩატარებული მატჩი. კარგად ვიცით, თუ რა შეცდომები დავუშვით, რის გამოც 2 გოლი მივიღეთ. საკმაოდ ბევრი ვიმუშავეთ ამ შეცდომების აღმოსაფხვრელად და მჯერა, ახლა ბევრად უკეთ ვითამაშებთ.

**- ის თამაში თბილისში რომ ჩატარებულიყო, რა შეიცვლებოდა? საერთოდ, იმ დროისთვის თქვენს ნაკრებს გარკვეული პრობლემები ჰქონდა და ახლა რა ვითარებაა ამ მხრივ?**

- სექტემბერში ჩვენს ნაკრებს კი არა, მთლიანად საქართველოს ჰქონდა პრობლემები. საქართველოში ომი იყო და ძნელია, ფეხბურთელი ასეთ დროს მაქსიმალურად კონცენტრირებული იყოს. დიახ, ძნელია, რომ ფეხბურთელმა, რომელიც საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე ფიქრობს, სრული მობილიზებით თამაში შეძლოს... მაგრამ ეს ახლა უკვე წარსულია.

**- ირლანდიის ნაკრების პლუს-მინუსებზე რას გვეტყვით?**

- გუნდური თამაში, შეკრული, ბრძოლისუნარიანი კოლექტივი... გარდა ამისა, თითოეული ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობა... ტექნიკურად და ტაქტიკურად გამართული, მობილური გუნდი... რაც შეეხება მინუსებს, რომ ვიცოდე, ჩემი ნათქვამი გაზეთებში არ დაიბეჭდება, სიამოვნებით გეტყოდით... თუმცა ვიცი, თითოეული ჩემი სიტყვა ხვალ ერთბაშად რამდენიმე ირლანდიულ გაზეთში მოხვდება... ამიტომ, მინუსებზე საუბრისგან თავს შევიკავებდი... იმის თქმა კი შემიძლია, რომ ჯოვანი ტრაპატონის გუნდის არა ერთი თამაში ვნახე, მათ შორის, ბოლოც - ამხანაგური მატჩი პოლონეთთან... ერთი სიტყვით, მეტოქე საკმაოდ კარგად გვყავს შესწავლილი...

**- სტადიონი მოგწონთ?**

- მოედნის საფარი ჯერ არ მინახავს... ისე კი, ვიცი, რომ „კროკ პარკი" 82 ათასი გულშემატკივარს იტევს და შესაძლოა, ხვალ ანშლაგიც კი იყოს. ისიც ვიცი, რომ საკმაოდ ემოციური, ერთგული და ხმაურიანი გულშემატკივარი გყავთ. ამ ხმაურში ჩემმა ბიჭებმა შესაძლოა მითითებები კარგად ვერ გაიგონ... მაგრამ ყველა შემთხვევაში, ჩვენ დუბლინში მოსაგებად ჩამოვედით და 3 ქულისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**დავით ცაბაძე**



# კალაძე მზადაა, განწყობა საბრძოლოა

## დუბლინში გამოიდარა

გუშინ გრინვიჩის დროით 18 საათზე საქართველოს ნაკრებმა „კროკ პარკზე" მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართა. დუბლინში ქარი აღარ ქროდა და ამინდიც უკეთესი იყო. **ექტორ კუპერმა** გუნდი საათნახევრის განმავლობაში ავარჯიშა. ეს დახურული ვარჯიში იყო, არენაზე მხოლოდ ქართული დელეგაციის წარმომადგენლები იყვნენ...

**გიორგი ლომაია, როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, დავით კვირკველია, უჩა ლობჟანიძე, გურამ კაშია, ლექსო კვახაძე, ლევან კობიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით ოდიკაძე, ლევან ხმალაძე, გიორგი მერებაშვილი, ლუკა რაზმაძე, ბუბა დაუშვილი, ალექსანდრე იაშვილი, რატი ალექსიძე, დავით სირაძე, ბექა გოცირიძე** - ეს ოცეული იყო გუშინ კუპერის განკარგულებაში. როგორც გავიგეთ, **კახა კალაძემ** სრული დატვირთვით ივარჯიშა, შესაბამისად, ის დღეს თამაშსაც შეძლებს. **გურამ კაშიას** გუშინწინ წელი სტკიოდა, მაგრამ გუშინ ბევრად უკეთ იყო და ისიც თითქმის მზადაა ირლანდიელთა წინააღმდეგ სათამაშოდ. საქართველოს ნაკრებში საბრძოლო განწყობაა, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია...

შეგახსენებთ, რომ ირლანდია-საქართველოს მატჩი „კროკ პარკზე" თბილისის დროით 23:45 საათზე დაიწყება. შეხვედრას ფინელი მსაჯები გაუძღვებიან. არბიტრი **იუნი ჰუუტიაა**, ასისტენტები **იუკა-პეკა კოსკელა** და **მიკო ალაკარე**, მეოთხე მსაჯის ფუნქციას კი **ტონუ ასუმა** შეასრულებს.

**დავით ცაბაძე**

# რა გველის ირლანდიაში?

## ნემსაძეს სიურპრიზის სჯერა

**დღეს საქართველოს ნაკრებში დუბლინში 2009 წლის პირველ შესარჩევ მატჩს ჩაატარებს. მასპინძელი ირლანდიაა და, ბუნებრივია, გამარჯვების მეტი შანსიც აქვს. ჯოვანი ტრაპატონის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა „ჯვაროსნებთან" პირველი მატჩი მაინცში 2:1 მოიგო და რა გასაკვირია, რომ საკუთარ კედლებში უფრო მადააღძრული ითამაშებს.**

**საქართველოს ნაკრების შეხვედრათა წინ კი, როგორც ჩანს, ტრადიციული აჟიოტაჟი წარსულს ჩაბარდა - რესპონდენტები სუპეროპტიმისტურ კომენტარებს აღარ იძლევიან. სამწუხაროდ, ეროვნული ნაკრების პერმანენტულმა წარუმატებლობამ ხალხს ილუზიები გაუქრო. პესიმისტური ფრაზები სჭარბობს საქართველოს ნაკრების ყოფილ მოთამაშეთა პროგნოზებშიც...**

**მურთაზ შელია:** *„ორი აზრი არ არსებობს, რომ ურთულესი მატჩი გველის. გული მწყდება, ასეთ პრინციპულ შეხვედრაში წამყვანი მოთამაშეები რომ არ გვეყოლება. ლევან მჭედლიძე დიდი დანაკლისია. ბოლო დროს, როგორც იქნა, პერსპექტიული ბიჭები გამოჩნდნენ და სამწუხაროა, რომ ახლა ლამის ყველა დაგვაკლდა. ასე რომ, ბიჭები რთული ამოცანის წინაშე დგანან. თუმცა მაინც იმედი ვიქონიოთ, რომ ნაკრები ღირსეულად ითამაშებს".*

**ირაკლი ზოიძე:** *„მიჭირს ჩვენების შანსებზე ლაპარაკი... თუ მოვიგებთ, ამას რა ჯობია. იმედია, ასეც მოხდება... თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, შემადგენლობაში იმდენი პრობლემა გვაქვს, იმდენი ტრავმირებულია, ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება. ერთ იმედს მეტოქესაც ვუკავშირებ - ირლანდიაც არ დაფრინავს და შანსი მაინც უნდა გვქონდეს. ისე, კუპერის დანიშვნის შემდეგ ნაკრები გაცილებით უკეთ ათამაშდა. გუნდი ახლა უფრო დალაგებულია, ვიდრე ტოპმიოლერის დროს. ყოველ შემთხვევაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში თითქოს არა გვიშავს. ამიტომ, ჩემი პროგნოზი ფრე იქნება".*

**გიორგი ჩიხრაძე:** *„ეს იქნება ურთულესი და ამავე დროს, უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ჩვენი ნაკრებისთვის. 11 თებერვალს ირლანდიასთან გაირკვევა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის თეორიულ შანსს შევინარჩუნებთ, თუ - არა. თუმცა გასათვალისწინებელია ბევრი ფაქტორი, მათ შორის, წამყვან მოთამაშეთა არყოფნა. საქართველოს ნაკრებს კვალიფიციური ფეხბურთელების დეფიციტი ისედაც აწუხებდა და მით უმეტეს ახლა, კუპერი და ჩვენი ნაკრები ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში არიან. არ მინდა, ილუზიები შეგიქმნათ... ვფიქრობ, სასურველი შედეგის მიღწევა საკმაოდ გაგვიჭირდება".*

**კახი გოგიჩაიშვილი:** *„ურთულესი შეხვედრა გველის. მოგება ყველას გვინდა, მაგრამ... ძნელი იქნება. და მაინც, სიმართლე გითხრათ, გულში რაღაც იმედი მაქვს და ვნახოთ, გამარჯვება მთლად წარმოუდგენელიც არ მგონია, თან რომელი გრანდი ირლანდიაა"?*

**გიორგი ნემსაძე:** *„გული მწყდება, ესოდენ პრინციპული მატჩის წინ წამყვანი მოთამაშეები რომ დაშავდნენ. ძალიან მძიმე მატჩის მოლოდინში ვარ. ირლანდიასთან ყოველთვის გვიჭირდა და ეს ერთგვარ უსიამოვნო ტრადიციადაც გვექცა. ისინი უფრო ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, უფრო მებრძოლები, ფიზიკურად უფრო ძლიერები და ხისტები არიან. სხვათა შორის, იტალიასთან გაცილებით გვიადვილდებოდა თამაში, რადგან სამხრეთელთა ფეხბურთი ჩვენთვის უფრო ნაცნობია და ალღოსაც უფრო იოლად ვუღებთ... შედარებით უცხო სტილით მოთამაშე ბრიტანელებთან კი გვიჭირდა. თანაც, ირლანდიელები „მეორე სართულზე" ჩვენზე უკეთ თამაშობენ და ესეც მათი უპირატესობაა. ამიტომ, რაც რა უნდა ძლიერი მწვრთნელი იყოს კუპერი, ის მოედანზე ვერ გავა. მწვრთნელის დავალებები ფეხბურთელებმა უნდა შეასრულონ, ტრავმირებულთა სიმრავლე კი ჩვენი ამოცანის შესრულებას ართულებს... თუმცა უიმედოდ მაინც არ ვარ. საქართველოს ნაკრებს მეტოქისთვის სიურპრიზების შეთავაზება შეუძლია. მაგალითად, 20 აგვისტოს უელსთან პირველი ტაიმი ისე ვითამაშეთ, მოგების იმედი არ მქონდა. მეორე ნახევარში კი მოედანზე სურათი ისე შეიცვალა, 2:1 მოვიგეთ. უბრალოდ, ასეთ მოგებებს სისტემატური სახე არ აქვს და ამიტომაც ვარ ფრთხილად".*

**მერაბ მამულაშვილი**



ტრაპატონი და კინი მშვენიერ განწყობაზე არიან

ჯოვანი ტრაპატონის პრესკონფერენცია

# მოვუგოთ საქართველოს და დავეწიოთ იტალიას

## ირლანდიელთა თავკაცმა საიდუმლო გაამხილა

**ექტორ კუპერის პრესკონფერენციამდე მედიას ირლანდიის ნაკრების თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი შეხვდა. მან ბევრი ისაუბრა თავის გუნდზე, მიზნებზე... იტალიასთან მატჩსაც კი შეეხო. ტრაპის პრესკონფერენციას საინტერესო ფრაზების სახით გთავაზობთ...**

- საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი სწორედ საქართველოსთან გვქონდა. სექტემბერში იქ მშვიდობა არ იყო და გახსოვთ, ეს თამაში მაინცში ჩატარდა. იმ დროისთვის ექტორ კუპერს ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა ამ გუნდში, შესაბამისად, საქართველოს ნაკრების თამაშშიც არა ერთი პრობლემა იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ გერმანიაში დამსახურებულად მოვიგეთ... მას მერე საქართველომ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა და ერთი რამ აშკარაა - პროგრესი განიცადა, თამაში დახვეწა. თითქმის 6 თვეა, რაც კუპერი ამ გუნდს წვრთნის. მან ახლა ბევრად უკეთ იცის თავისი შეგირდების შესაძლებლობები. შესაბამისად, საქართველო ის გუნდი აღარ არის, რომელსაც მაინცში ვეთამაშეთ.

- ბოლოს ჩატარებული ამხანაგური მატჩი პოლონელებთან წავაგეთ. თუმცა ამასაც თავისი ახსნა აქვს. ჩვენ არ გვყავდა რობი კინი და გუნდს აშკარად აკლდა საბრძოლო სულისკვეთება. ოთხშაბათის მატჩში ეს არ უნდა დავუშვათ. ყველა საუკეთესო თვისების დემონსტრირების გარეშე საქართველოსთან ქულების აღება ძალიან ძნელი იქნება. მჯერა, ჩვენი გუნდი ბოლომდე იბრძოლებს. უკვე რამდენიმე დღეა, რაც საქართველოსთან თამაშისთვის ვემზადებით და რასაც ვხედავ, ჩემს გუნდში ბრძოლის ჟინის დეფიციტი არ არის. ჩვენი ტაქტიკა-სტრატეგია სწორედ ბოლომდე ბრძოლაზეა დაფუძნებული. მჯერა, ფეხბურთელები სწორედ ამ შემართებითი გავლენ „კროკ პარკზე" სათამაშოდ. ვიცი, ამაში გულშემატკივარიც დაგვეხმარება.

- ჩვენ ქართველებს უნდა შევუტიოთ და არ უნდა მივცეთ ბურთის გაკონტროლების საშუალება. საჭიროა მათთვის სივრცის შეზღუდვა, თორემ ისე გაგვიჭირდება. ორგანიზებულ და მწვავე შეტევებთან ერთად მეტოქის კონტრიერიშებისთვისაც უნდა ვემზადოთ. ამიტომ, ჩვენს დაცვას მაქსიმალური ყურადღება და სიფხიზლე სჭირდება.

- ჩვენ შეგვიძლია, ამ წლის პირველი თამაში მოვიგოთ, მერე კი ამაყად შევხედოთ სატურნირო ცხრილს. საქართველოს ძლევით იტალიას ქულებით გავუთანაბრდებით.

*დაბოლოს, ირლანდიური წყაროების მტკიცებით ტრაპატონის ნაკრების სასტარტო შემადგენლობა ასეთი იქნება:* ***გივენი, მაკშეინი, ოში, დანი, კილბეინი, მაკგიდი, უილენი, ენდრიუსი, დაფი, დოილი, კინი.***

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტრაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უბულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებაში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია



2003 წლის 11 ივნისი. ირლანდია-საქართველო. გარი დოჰერტი (№9) ანგარიშს ხსნის

# ჩვენ და ირლანდიელები

საქართველოს ნაკრების დღევანდელი მეტოქე ევროპული ფეხბურთის გრანდთა რიცხვს არასდროს განეკუთვნებოდა. თავად განსაჯეთ - 1988 წლამდე ირლანდიის ნაკრებს არასდროს მიუღია მონაწილეობა ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე. არადა, ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ფიფაში 1923 წელს გაწევრდა, ხოლო უეფაში - 1954 წელს. არანაკლებ უცნაური იყო ის ფაქტიც, რომ „კარის მეზობლებისგან" (შოტლანდია, უელსი, ჩრდილოეთი ირლანდია) განსხვავებით ირლანდიურ ფეხბურთში გამორჩეული, საერთაშორისო დონის ვარსკვლავებიც არ ყოფილან (ინგლისზე საერთოდ, ალარაფერს ვამბობთ). ერთადერთს, ალბათ, **ლაიამ ბრეიდის** თუ დავასახელებდით - გასული საუკუნის 80-იანი წლების ირლანდიური ფეხბურთის ლეგენდა, მართლაც, ჩინებული ოსტატი გახლდათ. ჯერ ლონდონის „არსენალში", მერე კი ტურინის „იუვენტუსში" ბრეიდიმ არაერთი შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა და საერთოდაც, თამამად შეგვიძლია დავასახელოთ ირლანდიური ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად. კი, ირლანდიელებს ყოველთვის ჰყავდათ ჩინებული ფეხბურთელები: **დევიდ ოლირი, ტონი კასკარინო, ნილ ქუინი, რონი ველანი, მარკ ლოურენსონი, კრის სტაუნტონი, ენდი თაუნსენდი, როი კინი, შეი გივენი, დემიენ დაფი, რობი კინი, დონ გივენსი, დენის ირვინი, პოლ მაკგრათი, ჯონ ოლდრიჯი, სტივ ჰეივეი**... თუმცა ბრეიდი ყველა მათგანს აღემატებოდა. ერთადერთი, შესაძლოა როი კინი თუ გაუტოლდება მასშტაბებით - ისიც იმიტომ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულმა კაპიტანმა ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში უამრავი საკლუბო ტიტული მოიპოვა. აი, ნაკრებს რაც შეეხება, აქ საქმე აშკარად სხვაგვარად არის: ირლანდიის ნაკრებმა მხოლოდ ერთხელ იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე (1988 წელს) და სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა (1990, 1994 და 2002 წლებში). ანუ, ფაქტობრივად, ირლანდიური ფეხბურთის საერთაშორისო ალმავლობა ბოლო 20 წელიწადში მოხდა. ეს კი, უპირველესად, ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელის, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონის **ჯეკი ჩარლტონის** დამსახურებაა. სწორედ ჩარლტონის ხელმძღვანელობით შეძლო ირლანდიამ 1988 წლის ევროპისა და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე გასვლა. რახან მწვრთნელები ვახსენეთ, **მიკ მაკარტი** და **ბრაიან კერიც** არ დაგვავიწყდეს - ჩარლტონის მერე რომ ხელმძღვანელობდნენ ირლანდიის ნაკრებს. თანაც სამივე სპეციალისტმა ნაკრების თავკაცის პოსტზე საკმაოდ დიდხანს იმუშავა, ანუ საქართველოს მსგავსი სიტუაცია კი არ იყო, წელიწადში ორსამ მწვრთნელს რომ ვიცვლიდით...

ირლანდიის ნაკრების ახლანდელ თავკაცზე, მართლაც, ლეგენდარულ და უბერებელ **ჯოვანი ტრაპატონიზე** კი ახალი რა უნდა ვთქვათ. ფეხბურთელობის დროს საკლუბო დონეზე თითქმის ყველაფერი მოიგო; მერე მწვრთნელობა რომ დაიწყო, უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია; თანაც, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად მუშაობდა: ტრაპატონის მდიდარ კოლექციაში იტალიის, გერმანიის, პორტუგალიის და ავსტრიის ჩემპიონატების ოქროს მედლები საპატიო ადგილს იკავებს. თუმცა ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ტურინის „იუვენტუსში" გატარებული პერიოდი იყო: გასული საუკუნის 80-იან წლებში იტალიური გრანდი მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად მიიჩნეოდა. სამწუხაროდ, იტალიის ნაკრებში ტრაპატონიმ ღირებულს ვერაფერს მიაღწია და ალბათ, უკვე ირლანდიის ნაკრებში შეეცდება საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცებას.

....ქართულ-ირლანდიური პირველი დაპირისპირება საკლუბო დონეზე იყო: 1980 წელს, თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში თბილისის „დინამოს" ირლანდიური „უოტერფორდი" შეხვდა. პირველი შეხვედრა „დინამომ" სტუმრად ჩაატარა და **რამაზ შენგელიას** ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა. განმეორებითი შეხვედრა უკვე თბილისში ჩატარდა და ჩვენი გუნდის შთამბეჭდავი გამარჯვებით დამთავრდა - 4:0. დინამოელთაგან გოლები გაიტანეს: **ვიტალი დარასელიამ (2), გიორგი ჭილაიამ** და **ალექსანდრე ჩივაძემ**. სხვათა შორის, ეს ის გათამაშებაა, თბილისის „დინამოს" ტრიუმფული გამარჯვებით რომ დასრულდა - 1981 წლის 13 მაისი დღემდე რჩება ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ წარმატებად!

სანაკრებო დონეზე კი საქართველო და ირლანდია დღემდე სამჯერ შეხვდნენ. სამივე მატჩი ოფიციალური იყო: 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველო და ირლანდია ერთ ჯგუფში მოხვდნენ. იმ საკვალიფიკაციო ციკლში ჩვენებისთვის ეს მეორე შეხვედრა იყო - მანამდე საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით (1:4) წააგო შვეიცარიასთან. ჰოდა, საქართველოს ნაკრებში ხელმეორედ მობრუნებულ **ალექსანდრე ჩივაძეს** კრიტიკოსები ისევ მოუმრავლდნენ. არადა, 2001 წლის 15 აგვისტოდან (ანუ ჩივაძის ნაკრებში ხელმეორედ დანიშვნიდან) საქართველოს ნაკრებმა წარმატებული სერია შემოგვთავაზა. ლუქსემბურგთან სტუმრად ამხანაგური მატჩის მოგების მერე თბილისში ზედიზედ ორ ოფიციალურ შეხვედრაში გავიმარჯვეთ (უნგრეთთან და ლიტვასთან); ამას რუმინეთთან სტუმრად ფრე მოჰყვა და არ დავმალავთ, თუ ვიტყვით, რომ ახალ შესარჩევ ციკლს დიდი იმედებით ველოდით. სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველივე მატჩმა, როგორც იტყვიან, საკუთარი ადგილი გვაპოვნინა. თუმცა ისევე, როგორც ყოველთვის, ირლანდიასთან მატჩის წინ ჩვენი უპირველესი გუნდის ბანაკში ერთობ ოპტიმისტური განწყობა იყო. მით უმეტეს, რომ ირლანდიელები თბილისში საუკეთესო ფეხბურთელის - რობი კინის გარეშე იყვნენ ჩამოსულნი. ამ მატჩის საბოლოო შედეგი ყველას ახსოვს - სტუმრებმა აკადემიურ სტილში დაგვამარცხეს და ერთადერთი გულის მოსაოხებელი მხოლოდ ის იყო, როცა **ლევან კობიაშვილმა** პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს შეი გივენს საჯარიმოდან ეფექტური გოლი გაუტანა.

ამის მერე ჩივაძემ საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთხელ უთავკაცა (შვეიცარიასთან) და პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა. მის ნაცვლად კი, ერთობ უცნაური ვადით (ორი მატჩით!?) თბილისის „დინამოს" მაშინდელი მთავარი მწვრთნელი **ივო შუშაკი** დაინიშნა. ხორვატი სპეციალისტის სადებიუტო მატჩს ვერავინ და ვერაფერი დაგვავიწყებს: 2003 წლის 30 აპრილს საქართველოს ნაკრებმა **მალხაზ ასათიანის** გოლით ხომ რუსეთის ნაკრები დაამარცხა. აი, შუშაკის მეორე სანაკრებო მატჩი კი წარუმატებლად დასრულდა - დუბლინში, ბრაიან კერის გაწვრთნილმა ირლანდიის ნაკრებმა **გიორგი ლომაიას** კარში ორი უპასუხო გოლი გაიტანა...

მესამედ კი დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს გასულ შემოდგომაზე შეხვდნენ. ეს მატჩი თბილისის ნაცვლად... გერმანულ ქალაქ მაინცში ჩატარდა - აგვისტოში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების გამო, უეფამ საქართველოში თამაშის უფლება არ მოგვცა. სამწუხაროდ, ირლანდიელებთან მესამე შეხვედრაშიც დავმარცხდით...

**გია ტუხაშვილი**

**საქართველო-ირლანდია 1:2**

29.03.02. თბილისი. მიხეილ მესხი. 10 000 მაყურებელი

**0:1 დაფი (20), 1:1 კობიაშვილი (62), 1:2 დოჰერტი (86)**

საქართველო: **ლომაია - ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია (46. დემეტრაძე) - ქინქლაძე (72. დიდავა) - იაშვილი.**

ირლანდია: **გივენი - კარი, კანინგემი, ბრინი, ოში - კარსლი, ჰოლანდი, კინსელა, კილბეინი, დაფი - დოჰერტი.**

გაფრთხილება: **დოჰერტი, ხიზანეიშვილი**

არბიტრი: **კ. ვასარასი (საბერძნეთი)**

**ირლანდია-საქართველო 2:0**

11.06.03. დუბლინი. ლენსდაუნ როუდი. 35 000 მაყურებელი

**1:0 დოჰერტი (43), 2:0 რობი კინი (59)**

ირლანდია: **გივენი - კარი, ბრინი, კანინგემი, ოში - კარსლი (86. კინსელა), ჰოლანდი, ჰელი, კილბეინი - დოჰერტი (88. ლი), რობი კინი.**

საქართველო: **ლომაია - ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, ამისულაშვილი - ბურდული, დიდავა (77. ალექსიძე), რეხვიაშვილი, ასათიანი, დემეტრაძე (60. დარასელია) - შ. არველაძე.**

გაფრთხილება: **ხიზანეიშვილი**

არბიტრი: **ი. გონსალესი (ესპანეთი)**

**საქართველო-ირლანდია 1:2**

06.09.08. მაინცი. ბრუხვეგშტადიონი. 14 000 მაყურებელი

**0:1 დოილი (13), 0:2 უელანი (70), 1:2 ყენია (90)**

საქართველო: **ლორია - ლობჟანიძე, კალაძე, ხიზანიშვილი (83. ასათიანი), შაშიაშვილი - ოდიკაძე, მენთეშაშვილი, ყენია, კობიაშვილი - ალექსიძე (62. სირაძე), იაშვილი (78. მჭედლიძე).**

ირლანდია: **გივენი - ფინენი (79. მაკშეინი), ოში, დანი, კილბეინი - მაკგიდი (87. კოგი), უელანი, რიდი, ჰანტი - კინი, დოილი (77. მილერი).**

გაფრთხილება: **ხიზანიშვილი, ალექსიძე**

არბიტრი: **შანდორ შაბო (უნგრეთი)**

*ზურაბ ხიზანიშვილი*

# ირლანდიასთან ორი თამაშის წაგება არ შეიძლება!

## ქართველები ირლანდიურ პრესაში

**ირლანდია-საქართველოს დღევანდელი დაპირისპირების თემას იქაურ პრესაში მოწინავე ადგილი უკავია. ირლანდიურმა „ჰერალდმა" გამოაქვეყნა ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო წერილი, რომლის სათაური ოპტიმისტურად ჟღერს - „ბლექბერნის" ვარსკვლავი ხიზანიშვილი აცხადებს, რომ საქართველო მოსაგებად იბრძოლებს"...**

*„დუბლინში შეკრებილი საქართველოს ეროვნული გუნდი „კროკ პარკზე" ირლანდიასთან ოთხშაბათის მატჩისთვის ემზადება. მეტოქის ბანაკში რამდენიმე ცნობილი ფიგურაა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქართველთა ნაკრების კაპიტანი „მილანის" ვარსკვლავი კახა კალაძეა, რომელსაც „როსონერიში" არა ერთი ტიტული აქვს მოგებული. მას სახელი, კლასი და გამოცდილება არ აკლია. დაცვაში კალაძეს ზურგს უმაგრებს პრემიერლიგური „ბლექბერნის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილი... და, რაც მთავარია, შარშანდელი აგვისტოდან მოყოლებული, საქართველოს ნაკრებს „ვალენსიას" ყოფილი მწვრთნელი ექტორ კუპერი წვრთნის...*

*ქართველები დუბლინს ბრძოლისთვის კი ეწვივნენ, მაგრამ... საბრძოლო შემადგენლობა არ ჰყავთ. კუპერის კრებულს ორი მცველი - რუსეთში მოთამაშე ლაშა სალუქვაძე და ავსტრიული „შტურმის" ფეხბურთელი გიორგი შაშიაშვილი აკლია. თუმცა ირლანდიაში მცხოვრები ქართველები აღნიშნავენ, რომ კუპერის ნაკრებისთვის უფრო დიდი დანაკლისი ორი თინეიჯერის, „შალკეს" ნახევარმცველ ლევან ყენიასა და „პალერმოს" ფორვარდ ლევან მჭედლიძის არყოფნაა".*

პრაქტიკულად, ამ აზრს იზიარებს **ზურაბ ხიზანიშვილიც**, რომელიც აღნიშნავს: *„ყენია და მჭედლიძე ჩვენთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია. პირველს თამაშის წარმართვა შეუძლია, მეორე კი - ნებისმიერი მეტოქის საჯარიმოში სახიფათოა. რას ვიზამთ, მათ გარეშე მოგვიწევს თამაში. მართალია, ეს ორი ფეხბურთელი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და ბევრი არ იცნობს, მაგრამ ნახეთ, 2-3 წელიწადში, მათი გვარები ბევრად უფრო ცნობილი იქნება".*

ხიზანიშვილი ოპტიმისტურადაა განწყობილი და საქართველოს ნაკრების მიზნებზე ხმამაღლა საუბრობს:

*„დუბლინში 3 ქულის მოპოვება ჩვენთვის იდეალური იქნებოდა. ჩვენ აქედან უქულოდ არ წავალთ. არც შეიძლება, ირლანდიასთან ჩვენმა ნაკრებმა ორივე თამაში წააგოს. თუმცა ეს რა მოსატანია, როცა ჩვენ ფრე ზეც არ ვიქნებით კმაყოფილი. ისიც კარგად მესმის, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელება იოლი ნამდვილად არ იქნება".*

ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელები სწორედ ინგლისურ კლუბებში ასპარეზობენ და დიდი მარჩიელობა არ სჭირდება იმას, რომ „ბლექბერნის" მცველი ხიზანიშვილი **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდის ბირთვს კარგად იცნობს. როგორც ქართველი მცველი აცხადებს, მეტოქის ფეხბურთელებზე მას **ექტორ კუპერთანაც** ჰქონდა საუბარი...

*„ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელებიდან არაერთს ვიცნობ - დაფს, კინს, გივენს, დანის და სხვებს ინგლისსა და საერთოდ, ევროპულ ფეხბურთში წარდგენა არ სჭირდებათ. ირლანდია ისეთი გუნდია, რომ მის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერ ნაკრებს გაუჭირდება. ირლანიელებს შეუძლიათ, პირველიდან ბოლო წუთებამდე ერთნაირად მაღალ ტემპში იბრძოლონ მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე. მეტოქეს ჩინებული მწვრთნელი ჰყავს, ჯოვანი ტრაპატონი გამოცდილი, ტიტულოვანი სპეციალისტია და კონტინგენტიც ხელს უწყობს. ირლანდიას კიდევ ერთი კოზირი აქვს - ეს არის გულშემატკივარი, რომელიც ქართველებისთვის სასურველ ატმოსფეროს ნამდვილად არ შექმნის. თუმცა ტრიბუნაზე რამდენიმე ათეული ქართველი ქომაგიც იქნება ჩვენი დროშებით და ყველანაირად ვეცდებით, ისინი გამარჯვებითა და კარგი თამაშით გავახაროთ".*

გერმანული, ლატვიური, რუსული, უკრაინული... ქართული კლუბების წარმომადგენლებისგან შედგება საქართველოს ნაკრების ის შემადგენლობა, რომელიც ოთხშაბათის მატჩისთვის ემზადება. ამ გუნდის თავკაცი არგენტინელია, რომელმაც ინგლისური ცუდად იცის. საინტერესოა, თუ რამდენად უგებენ ერთმანეთს საქართველოს ნაკრების მწვრთნელები და ფეხბურთელები. ხიზანიშვილს ამაზეც ვკითხეთ:

*„ურთიერთგაგების მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. კუპერი ინგლისურად და ესპანურად საუბრობს. კალაძემ იტალიური იცის. გარდა ამისა, არგენტინელის შტაბში არიან ქართველებიც, რომლებმაც ესპანური და იტალიური იციან. მეტსაც გეტყვით - კუპერმა უკვე რამდენიმე სიტყვა იცის ქართულად... ურთიერთგაგება ჩვენთვის პრობლემა არ არის. კუპერის დავალებები კარგად გვესმის. ის ყველაფერს მარტივად და იოლად გვიხსნის"...*

**დავით ცაბაძე**



2008 წლის 6 სექტემბერი. საქართველო-ირლანდია. ზურაბ ხიზანიშვილი კევინ დოილის წინააღმდეგ

მეტოქე სხვა ჭრილში

# ირლანდია საყვარლპუროდ



მარცხნიდან: პირველი რობი კინი, ბოლო როი კინი

ირლანდია დიდი ქვეყანაა. ის არ იზომება კვადრატული კილომეტრებით, მოსახლეობის რაოდენობით, მარგი ნიალისეულითა თუ შეიარაღებული ძალებით - ამ ქვეყანას სხვა მეტრები აქვს...

**რენე დეკარტი** ამბობდა - ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობო, ირლანდიელმა **სამუელ ბეკეტმა** კი თქვა - იტანჯება, ესე იგი ცოცხლობსო. მოფილოსოფოსო მწერლებში ირლანდიელებს ბევრი ვერ დაეტოლება. ვერავინ იქნება ისეთი თავისებური, **ჯეიმს ჯოისი** რომ იყო, ვერავინ იქნება ისეთი ესთეტი და გენიოსი, **ოსკარ უაილდი** რომ გახლდათ. **ჯონათან სვიფტმა** კი სამყაროს „გულივერის მოგზაურობა" აჩუქა...

ირლანდია ყოველთვის იყო რაღაცნაირი ქვეყანა - საინტერესო, ლამაზი და უცხაური. ირლანდიაში ფეხბურთიც კი ორია - ჩვეულებრივი და გელური. ირლანდიელები სხვა ქვეყნებშიც ქმნიდნენ ისტორიას. გლაზგოს „სელტიკიც" ხომ ირლანდიური ამბავია. ირლანდიელი ლტოლვილები მხრებზე კარტოფილის ტომრებს მოიკიდებდნენ და გაერთიანებულ სამეფოში სახლდებოდნენ - პროტესტანტ გლაზგოელებს თუ ჰკითხავთ, სწორედ ისინი იყვნენ „სელტიკის" გულშემატკივრების წინაპრები. ირლანდიურია როკ-ჯგუფი U2, ძალიან მახვილი, დისიდენტური და ალტერნატიული. **ბონო** კი მხოლოდ მუსიკოსი არ არის, მსოფლიო მნიშვნელობის საზოგადო მოღვაწეა.

ირლანდიელები აღარ იბრძვიან გაერთიანებისთვის - ჩრდილოეთი ირლანდია გაერთიანებულ სამეფოს დარჩა, მაგრამ ამ ხალხს რუსებთან კი არა, ინგლისელებთან აქვს საქმე - ცხოვრების დონემ და კეთილდღეობამ ირლანდიელთა ვნებაზრახვანი დააცხრო...

## მუნდიალზე

ირლანდიის საფეხბურთო ლიგა დიდი ხვითო არასდროს ყოფილა და იქაურებიც ინგლისში გაიკრიფნენ ფეხბურთელობისთვის. ირლანდიის ნაკრების ისტორია არ არის მდიდარი - მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველად 1990 წელს მოხვდა. გუნდს მაშინ **ჯეკი ჩარლტონი** წვრთნიდა. ირლანდიელებმა ჯგუფში სამივე მატჩი ფრედ ითამაშეს - ინგლისთან 1:1, ეგვიპტესთან 0:0 და ჰოლანდიასთან 1:1. ნიდერლანდებთან **ნაიალ ქუინის** გამთანაბრებელი გოლით ირლანდია ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა. მერვედფინალში ჩარლტონის გუნდი რუმინეთს გადაეყარა (0:0) და პენალტების სერიით მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ტურნირის მასპინძელი იტალია ელოდა. „სკუადრა აძურამ" ირლანდია **სალვატორე სკილაჩის** გოლით დააშამათა, თუმცა ჩარლტონის გუნდისთვის მეოთხედფინალი უკვე უდიდესი წარმატება იყო.

ირლანდიამ თითქოს წყენა ჩაიდო გულში - მომდევნო მუნდიალზეც მოხვდა და პირველივე შეხვედრაში იტალიას 1:0 მოუგო. ისტორიული გოლი **რეი ჰოუტონმა** გაიტანა. ირლანდიას კვლავ ჩარლტონი თავკაცობდა. მეორე შეხვედრაში მათ მექსიკასთან 1:2 წააგეს, მერე ნორვეგიასთან ფრეს გამორჩნენ და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. იქ კი უკვე ველარაფერი გააწყვეს ჰოლანდიასთან (0:2), თუმც შინ მაინც კმაყოფილები დაბრუნდნენ.

ბოლოს, ირლანდიამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 2002 წელს ითამაშა. კამერუნის (1:1) მერე **რუდი ფიოლერის** გაწვრთნილ გერმანიას დაუპირისპირდა. ძალიან საინტერესო, დრამატული თამაში გამოვიდა. გერმანია **მიროსლავ კლოზეს** გოლით დაწინაურდა, 90 წუთი ამოწურული იყო და მსაჯის მიერ დამატებულ დროში **რობი კინმა** შეაგდო - ირლანდიამ ძალიან გემრიელ ფრეს მიაღწია.

მეორე ეტაპზე **მიკ მაკარტის** ირლანდია ესპანეთს შეხვდა, ისევ 0:1-ს აგებდა და ისევ მატჩის მიწურულს გაათანაბრა, გოლიც ისევ რობი კინმა შეაგდო (პენალტი), 11-მეტრიანების სერიაში კი ესპანელებმა იმარჯვეს.

იმ მუნდილაზე ირლანდიამ **როი კინი** მოისაკლისა, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და იმ დროისთვის, ალბათ, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც. მაკარტისა და მას კონფლიქტი მოუვიდათ და მწვრთნელმაც პრინციპული, თან ძალზე რისკიანი გადაწყვეტილება მიილო - დიდი როი ნაკრებს ჩამოაშორა.

## კინო

როი კინი მართლაც ეპოქალური ფეხბურთელი იყო არა მხოლოდ ირლანდიისთვის, არამედ ინგლისური და საერთოდ, ევროპული ფეხბურთისთვის. ის სერ **ალექს ფერგიუსონის** ჯილა გახლდათ. ფერგიმ მასზე თქვა - სპორტის იმ ნებისმიერ სახეობაში, სადაც ერთი-ერთზეა მოსაგები, კინი რომ დააყენოთ, ყოველთვის გამარჯვებული დარჩებაო. კინმა იცოდა გამარჯვება, მოედნის ცენტრში ის ყველაფერი იყო „მანჩესტერისთვის"...

რა არის ირლანდიური ფეხბურთი? როი კინი. იყო ასეთი კითხვა და მარტივი, მაგრამ ზუსტი პასუხი. კინი დაუნდობელიც იყო და სამართლიანიც, უკმეხიც და ნიჭიერიც, ბოლმიანიც და გულახდილიც. როცა მასზე ლაპარაკობენ, **ალფ-ინგე ჰაალანდსაც** იხსენებენ. 1997-98 წლების სეზონში კინსა და „ლიდსის" ნორვეგიელ მცველს შორის ინციდენტი მოხდა. როის ხისტად და აგრესიულად უნდა ეთამაშა ჰაალანდის წინააღმდეგ, თუმცა... თავად დაშავდა. ჰაალანდმა ის გააკრიტიკა, სამწლიანახევრის შემდეგ კი, როცა ჰაალანდი უკვე „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა, კინმა მას მძიმე ტრავმა მიაყენა, რისთვისაც 5 000 გირვანქით დააჯარიმეს. ერთი წლის შემდეგ კი მან გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი, სადაც შავით თეთრზე დაწერა - ჰაალანდს განგებ ჩავარტყიო. ამის მერე კინი უკვე 150 000 გირვანქით დააჯარიმეს. ხოლო ჰაალანდმა იმ ტრავმის მერე ფეხბურთი ველარ ითამაშა...

კინი მაინც უყვართ. ინგლისში მასი „კინო" შეარქვეს. უბრალოდ, გვარის გამო...

## დღეს...

**ჯოვანი ტრაპატონი, მარკო ტარდელი** და **ლაიამ ბრეიდი** - ასეთი თანავარსკვლავედია შეკრებილი ირლანდიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში. ფეხბურთელობისას, ტრაპატონი „მილანის" და იტალიის ნაკრების მცველი იყო, მწვრთნელობაში კი უდიდეს წარმატებებს მიაღწია „იუვენტუსში" მუშაობისას. დიდი გუნდებიდან კიდევ „მილანი", „ინტერი" და „ბაიერნი" გაუწვრთნია. სანაკრებო მწვრთნელობა „სკუადრა აძურათი" დაიწყო (2000-04), ირლანდიას კი ხელი შარშან მოჰკიდა. მის გაწვრთნილ იტალიასთან საქართველომ ორჯერ ითამაშა მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევში (0:2, 1:2). მოკლედ, ტრაპატონი ქართულ ფეხბურთს კარგად უნდა იცნობდეს...

გახსოვთ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი (იტალია-გფრ 3:1) და ტარდელი? იტალიელთაგან დასავლეთ გერმანიას მეორე გოლი სწორედ მან გაუტანა და ისეთი არაჩვეულებრივი ემოციით აღნიშნა ეს, ამის დავიწყება წარმოუდგენელია.

ბრეიდი კი ირლანდიური ფეხბურთის ალბათ ყველაზე დიდი „ათი ნომერი" იყო. 80-იანი წლების შუა ხანებში „ინტერში" თამაშობდა, მისი პასებით გაჰქონდათ გოლები **ალესანდრო ალტობელისა** და **კარლ-ჰაინც რუმენიგეს**. მანამდე კი ტრაპატონის „იუვენტუსში" იყო **პაოლო როსის, გაეტანო შირეას, ანტონი კაბრინისა** და სხვა ვარსკვლავთა გვერდით.

ტრაპი, ტარდელი და ბრეიდი - ამ სახელიან ხალხს ისეთი სამწყსო აბარია, თითქმის ყველა ფეხბურთელი ინგლისურ პრემიერლიგაში რომ თამაშობს.

დღეს ნაკრების კარს **შეი გივენი** დაიცავს. მან „ნიუკასლში" მთელი 12 წელი ითამაშა, წლეულს კი შეიხთა ფულით გამდიდრებულ „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა. როცა გამოცდილ მეკარეებზეა საუბარი, იქ გივენზეც უნდა ითქვას. ნაკრებში 1996 წლიდან თამაშობს და დღემდე იქ 91 მატჩი ჩაუტარებია.

ირლანდიურმა მედიამ დღევანდელი მატჩისთვის სავარაუდო თერთმეტეული რომ დაასახელა, თითქმის ყველა გამოცემა ერთ აზრზე იყო და ჩვენც ამის მიხედვით ჩამოვთვლით მეტოქე მოთამაშეებს.

## დაცვა

დაცვაში **პოლ მაკშეინი, ჯონ ოში, რიჩარდ დანი** და **კევინ კილბეინი** იქნებიან. მაკშეინი 22 წლისაა და „სანდერლენდში" თამაშობს. ის ხუთი წლის წინ „მანჩესტერმა" აიყვანა, თუმც ამ გრანდში არასდროს უთამაშია. ნაკრებში 13 შეხვედრა ჩაატარა.

ჯონ ოში ირლანდიელთა ყველაზე სახელგანთქმული მცველია. ის უნივერსალური ფეხბურთელია, შეტევაშიც ჩინებულად ირჯება. „მანჩესტერ იუნაიტედმა" მასთან კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა. ნაკრებში 50-ჯერ უთამაშია.

29 წლის რიჩარდ დანი კლასიან მცველად ითვლება, მისი ჯაფა მხოლოდ ორთაბრძოლებით არ ფასდება, მას **რიო ფერდინანდსა** და **ჯონ ტერისაც** კი ადარებენ. ვინძლო, ეს გადაჭარბებულიც კი იყოს, მაგრამ ფაქტია - დანის კარგი რეპუტაცია აქვს. „მანჩესტერ სიტისა" და ნაკრებში 2000 წლიდან თამაშობს.

32 წლის კევინ კილბეინი მარცხენა მცველია. ის ინგლისში დაიბადა, თუმცა ირლანდიური ფესვები აქვს და ამ ქვეყნის ნაკრებშიც ამიტომ თამაშობს. 92 მატჩი და 7 გოლი - ასეთია მისი სანაკრებო მონაგარი.

## ნახევარდაცვა

**აიდენ მაკგიდიც** არ დაბადებულა ირლანდიაში, სამყაროს გლაზგოში მოევლინა და იქაურ „სელტიკშიც" თამაშობს. ის 22 წლისაა. შარშან სქოთთა პრემიერლიგაში საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელადაც დაასახელეს და საერთოდ, საუკეთესო ფეხბურთელადაც.

**გლენ ველანს** მდიდარი ბიოგრაფია ჯერ არ აქვს. „სტოკ სიტის" შუა ხაზს ამაგრებს, ნაკრებში შვიდჯერ უთამაშია. მისი კოზირი ტექნიკაა, რაც საშუალებას აძლევს, პლეიმეიკერად ითამაშოს.

**კიტ ენდრიუსი ზურაბ ხიზანიშვილის** თანაგუნდელია. ნაკრებში ოდენ ერთხელ უთამაშია და იმედია, საქართველოსთან არ მოუნდება მთების გადაგორება.

**დემიენ დაფზე** მოსაყოლი ბევრიც აღარაფერია - თუ თამაში წაუვიდა, მისი ყურება ერთი სიამოვნებაა. ბევრისმნახველი კაცია, ბურთის დიდებულად მომთვინიერებელი. 2002 წლის მუნდიალზე გოლიც გაუტანია. 71 მატჩი ნაკრებში და 7 გოლი - თითქოს, არ არის ურიგო ნადავლი.

## თავდასხმა

25 წლის **კევინ დოილი** 2005 წლიდან „რედინგში" თამაშობს. კლუბში ის ლამის პირველი კაცია. ნაკრებში პირველად 2006 წელს ითამაშა და დღემდე 6 გოლი გაუტანია. ყოჩაღი ფორვარდია, თუმც ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს.

## ...და რობი კინი

ნაკრების კაპიტანი და ყველა დროის საუკეთესო მეგოლე - 35 ბურთი გაიტანა ეროვნული გუნდისთვის. 19 წლისა „ქოვენთრიში" ისე გამოირჩა, ჯიქურ „ინტერში" ამოაყოფინეს თავი. ჭაბუკმა იტალიაში თავი ვერ გამოიჩინა. ვინძლო, ადრე იყო მისი იქ წასვლა და ერთი სეზონის შემდეგ ინგლისში დაბრუნდა. საუკეთესო წლები „ტოტენჰემში" გაატარა. მუხლი და გული ახლაც ერჩის. ახლახან, ის „ლივერპულიდან" კვლავ „ტოტენჰემში" მივიდა. კინი ირლანდიის რკინა და იმედია.

**დავით თავართქილაძე**

U21

# აზერბაიჯანი ჩაშლის პროცს, სხვები?

### ახალგაზრდულს ხუთი ამხანაგურის ჩატარება შეუძლია

შესაძლოა, 25 თებერვალს აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრა ჩაიშალოს. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** მოთამაშეთა მასშტაბურ შემოწმებას აპირებდა, თუმცა თავი იჩინა მრავალმა პრობლემამ, რამაც მატჩის ჩატარება საეჭვო გახდა.

ცხადაძეს უცხოეთში მოთამაშე ქართველების ჩამოყვანა სურდა, მაგრამ 25 თებერვალი საერთაშორისო კალენდარში არ არის შეტანილი და კლუბებს უფლება აქვთ, მოთამაშეები ნაკრებში არ გამოუშვან. ამდენად, სპარინგმატჩის მთავარი მისია - მწვრთნელს ყველა საინტერესო მოთამაშე ენახა, ვერ შესრულდებოდა.

ფეხბურთის ფედერაცია საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში მიიღებს. თუმცა, გარდა აზერბაიჯანელებისა, საქართველოს ნაკრებს კიდევ 5 საკონტროლო შეხვედრის ჩატარება შეუძლია. საამისოდ, საერთაშორისო კალენდარში 28 მარტი, 1 აპრილი, 6 და 10 ივნისი, ასევე 12 აგვისტოა გამოყოფილი. აქედან, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობა ყველაზე მისაღებ ვარიანტს შეარჩევს. სავარაუდო მეტოქეთა შორის კვიპროსი, ლიტვა, ბელარუსი, მოლდოვა და ჩერნოგორია ფიგურირებენ, მაგრამ ჯერ ამაზეც სამუშაოა.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17. ამხანაგური მატჩი

# მესამე წავაგეთ

### ორი არჩათვლილი და ერთიც უსამართლო გოლი

**ხორვატია-საქართველო 4:1**

საქართველო: აზნიაშვილი, ხარაბაძე, მირცხულავა (74. კუბლაშვილი), კვეკვესკირი, აფაქიძე (43. ჭანტურია), კობახიძე, სირბილაძე, ჩელებაძე (41. ჩაფიძე), ძალამიძე, დეკანოიძე, კუხიანიძე.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ ხორვატიაში მეორე ამხანაგური მატჩი გამართა. ეს იყო ჩვენი ჭაბუკთა გუნდის რიგით მე-100 მატჩი, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის არსებობის დღიდან. სამწუხაროდ, **გელა შეყილაძის** კრებულმა საიუბილეო თამაში დიდი ანგარიშით წააგო...

წვიმის გამო მატჩი კვლავ ხელოვნურსაფრიან მოედანზე ჩატარდა. ჩვენს გუნდს თავდამსხმელი **დავით ხოჭოლავა** აკლდა. მან ხორვატებთან წინა შეხვედრაში ტვინის შერყევა მიიღო, თუმცა ახლა უკეთ გრძნობს თავს და რამდენიმე დღეში ვარჯიშსაც შეძლებს.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. როგორც შეყილაძემ გვითხრა, ანგარიშის გახსნა ჩვენს გუნდს შეეძლო, მაგრამ **კუხიანიძემ** და **ძალამიძემ** ვერ იმარჯვეს, მასპინძლებმა კი ისარგებლეს ამით და ერთ-ერთი კუთხურის შემდეგ დაწინაურდნენ. ჩვენები არ გატყდნენ და 37-ე წუთზე წონასწორობაც აღადგინეს, მაგრამ... ხორვატმა არბიტრმა (რომელიც, შეყილაძის თქმით, სუბიექტური იყო) **დეკანოიძის** მიერ გატანილი გოლი თამაშგარე მდგომარეობის მოტივით არ ჩათვალა.

მალევე, ხორვატებმა კიდევ ერთი კუთხურისას იმარჯვეს და სხვაობა გაზარდეს. ჩვენი ჭაბუკები არც ამჯერად მოდუნდნენ და სხვაობა შეაცირეს. 52-ე წუთზე დეკანოიძემ მეტოქეს ბურთი მოჰპარა და შეცვლაზე ახალშესული **გიორგი ჭანტურია** მოძებნა, ამან კი ისევ დეკანოიძეს გადააწოდა და მეკარე უშანსოდ დარჩა.

ამის შემდეგ უპირატესობა შეყილაძის გუნდმა იგდო ხელთ და კიდევ ერთი გოლი გაიტანა - ჭანტურიამ ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ... ადგილობრივმა არბიტრმა ქართველებს სტანდარტული ხელახლა შეასრულებინა - ბურთი საჭირო ადგილას არ იდოო...

ჩვენებს კიდევ ჰქონდათ საგოლე მომენტები, მაგრამ **ძალამიძემ** და **ჩაფიძემ** შანსები ხელიდან გაუშვეს. ხორვატები კი უფრო გათამამდნენ და კიდევ ორი ბურთი გაგვიტანეს.

*„ხისტი თამაში იყო. საერთოდ, მსაჯებზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ რაც ამ შეხვედრაში მოხდა, მსგავსი რამ არსად მინახავს. არბიტრმა ორი წალდი გოლი არ ჩაგვითვალა, მასპინძლების მიერ თამაშგარიდან გატანილ ბურთზე კი თვალები დახუჭა. მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, უპირატესობა გარდამავალი იყო, ფიზიკურად კი მეტოქე დავჯაბნეთ კიდეც"*, - გვითხრა ნამატჩევს შეყილაძემ.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს მორიგი ტესტმატჩები აზერბაიჯანელ თანატოლებთან, 26 და 28 თებერვალს ელის.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# რაინერ ცობელი
# საქართველოში თამაში ადვილია? არ მოტყუვდეთ!
## გერმანელმა, დინამოში ერთ ადგილზე ორი კაცი მეგულებაო...



ალექსანდრე კოშკაძე, დანილო ტომიჩი, მარკოს ჩარასი, შოთა ლომია
ფოტო www. fcdinamo.ge-დან

თბილისის „დინამომ" ახალწვეულები წარადგინა. სეზონის განახლების წინ გუნდში ოთხი ახალი ფეხბურთელი ჩაირიცხა - ბოლნისის „სიონის" პლეიმეიკერი **ალექსანდრე კოშკაძე**, ზუგდიდის „მგლების" მარცხენა ნახევარმცველი **შოთა ლომია**, ჩერნოგორიელი მარჯვენა ნახევარმცველი **დანილო ტომიჩი** და არგენტინელი მარცხენა მცველი **მარკოს ჩარასი**.

გუშინ დილმის ბაზაზე კლუბის მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** და ტექნიკურმა დირექტორმა **ამირან ლიბრაძემ** ახალწვეულებს ნომრიანი მაისურები გადასცეს და წარმატებებიც უსურვეს.

კოშკაძეს 2,5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. „დინამოში" ის 7-ნომრიან მაისურს მოირგებს. ლომიასთან 3-წლიანი ხელშეკრულება დაიდო, მისი ნომერია 30. ტომიჩის კონტრაქტის დამაფიქრებელია - 4 თვე + 3 წელი. ჩერნოგორიელი 19-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. **ხავიერ მასკერანოსა** და **კარლოს ტევესის** ყოფილი თანაგუნდელი ჩარასი კი 2 წლით იქნება დინამოელი და 13-ნომრით ითამაშებს. ეს ნომერი არგენტინელმა თავად შეარჩია, რამაც, ცოტა არ იყოს, გაოცება გამოიწვია. ისე კი, ჩარასი 13 მაისს არის დაბადებული და ეტყობა, ეს რიცხვი ამიტომაც შეარჩია. მართლა უცნაური რამაა, რადგან მოგეხსენებათ, ფეხბურთელებს ცრუმორწმუნეობა ახასიათებთ...

პრეზენტაციის შემდეგ „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **რაინერ ცობელმა** ილაპარაკა:

- მიხარია, დღეს ამდენი ჟურნალისტი რომ შეიკრიბეთ. ნახევარი წელია, რაც საქართველოში ვმუშაობ და მსურს, თანამშრომლობისთვის მადლობა გადაგიხადოთ... ახლა, რაც შეეხება გუნდის მომზადებას. პირველი ეტაპი თბილისში გავიარეთ და უმთავრესად, ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვიმუშავეთ. ანთალიაში კი თავიდან არ გაგვიმართლა - ქარმა და წვიმებმა მოედანზე ვარჯიშის საშუალება მოგვისპო. ძირითადი დრო ტრენაჟორებსა და ცურვას დავუთმეთ. მერე უკვე გამოიდარა და სისწრაფესა და ტაქტიკურ ვაჯიშებზე გადავედით. ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ ბოლო ერთ კვირაში ბევრი საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ და ამ სპარინგებში ოცდაოთხივე ფეხბურთელი ვათამაშეთ. სასიამოვნო იყო ისიც, რომ შემადგენლობას ხშირად ვცვლიდი, თუმცა მათ შორის მცირე განსხვავება იყო. ანთალიაში ერთი საზრუნავიც გამიჩნდა - არ ვიცი, ვინ დავაყენო შემადგენლობაში ჩემპიონატის პირველ ტურში. ახალწვეულებმა ადაპტაცია იოლად გაიარეს და გუნდს უპრობლემოდ შეეწყვნენ. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ თითოეულ პოზიციაზე რამდენიმე ფეხბურთელის დაყენება შემიძლია. ეს კლუბის ხელმძღვანელობის, პირადად ბუბა ტყავაძის დამსახურებაა, რომ სასურველი ფეხბურთელების აყვანა შევძელით. სულ 9 ახალი მოთამაშე გვყავს. ამიტომ, „დინამოს" დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. აქვე, მსურს, მივმართო ჩვენი გუნდის ახალწვეულ ლეგიონერებს - შესაძლოა, მიიჩნევთ, რომ უცხოეთის ძლიერი ლიგების შემდეგ საქართველოში თამაში ადვილია, მაგრამ ნამდვილად არ არის ასე, არ მოტყუვდეთ... ახლა ბევრად ძლიერია „დინამო", ვიდრე პირველ წრეში და დარწმუნებული ვარ, გაცილებით სანახაობრივ ფეხბურთს ვითამაშებთ. მთავარია, ფეხბურთელებმა თითოეული მატჩისთვის კონცენტრირება შეძლონ, რათა შარშანდელი ზაფხულის მსგავსი პრეცედენტი გამოვრიცხოთ. როგორც გახსოვთ, „პანათინაიკოსთან" შინ ძალიან ძლიერად ვითამაშეთ, მაგრამ შემდეგ, „გაგრასთან", მოვეშვით და სეზონი მარცხით დავიწყეთ, თან უსუსტესი ფეხბურთიც ვაჩვენეთ. ასე რომ, პირველ მატჩამდე დარჩენილ დღეებში მაქსიმალურად ვიმუშავებთ, რათა მოთამაშეებმა კონცენტრაციის მაქსიმალურ დონეს მიაღწიონ.

**- თქვენ ბრძანეთ, რომ 9 ახალი ფეხბურთელი დაიმატეთ. „დინამო 2-ში" აყვანილი მოთამაშეებიც იგულისხმეთ?**

- რა თქმა უნდა. მაგალითად, კაკუბავამ შეკრებაზე თავი მშვენივრად წარმოაჩინა...

მთავარი მწვრთნელის შემდეგ ახალწვეულებმაც ისაუბრეს:

**დანილო ტომიჩი:** *„გუნდზე ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დამრჩა. ჩემი მეგობრის, ილია სპასოევიჩის ნათქვამი აბსოლუტურად გამართლდა - მოვედი გუნდში, რომელიც უაღრესად მეგობრული სულისკვეთებით გამოირჩევა. მე და ჩემი მეგობრები ჩემპიონატსა და თასზე მხოლოდ გამარჯვებებისთვის ვიბრძოლებთ".*

**მარკოს ჩარასი:** *„ვიცი, რომ მოვხვდი ძლიერ და ტრადიციებით მდიდარ კლუბში. ვეცდები, რომ გუნდთან ერთად დიდ წარმატებას მივაღწიო. „დინამომ" ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა".*

**შოთა ლომია:** *„ამ გუნდში თავი უცხოდ ნამდვილად არ მიგრძვნია და ეს ბიჭების დამსახურებაა. მათ ძალიან თბილად და მეგობრულად მიმიღეს. მიხარია, ასეთ სახელოვან კლუბში რომ ჩავირიცხე და მსურს, „დინამოსთან" ერთად, ტიტულები მოვიპოვო".*

**ალექსანდრე კოშკაძე:** *„ვიდრე „დინამოში" მოვიდოდი, ნახევარ გუნდს ვიცნობდი და შეკრებაზე ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა. ვფიქრობ, საკონტროლო შეხვედრების შედეგად, მწვრთნელსაც გავუგე და ფეხბურთელებსაც".*

თბილისის „დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** მნიშვნელოვან სიახლეზე ისაუბრა: *„ამიერიდან, კლუბის ერთ-ერთი სპონსორი ცნობილი ავსტრიული ფირმა „იუ-სპორტი" იქნება, რომელიც თანამედროვე სპორტულ მედიცინაში ნოვატორია. მისი მომსახურებით იტალიის, გერმანიის, ესპანეთის, ჰოლანდიისა და ავსტრიის კლუბები სარგებლობენ. მაგალითად, ავსტრიაში „ადმირა ვაკერი", „შტურმი", ლუსტენაუს „აუსტრია", „ალტახი", „მატერსბურგი"... ჩვენი გუნდი მიიღებს ფეხბურთელებისთვის საჭირო თანამედროვე ვიტამინებსა და აღდგენით პრეპარატებს, გამაყუჩებელ-საანესთეზიო საშუალებებს, შესახვევ მასალებს".*

ვიდრე მედიას შეხვდებოდნენ, დინამოელებმა ფანკლუბის წევრებს უმასპინძლეს, შემდეგ კი ფანები „დინამოს" ვარჯიშსაც დაესწრნენ, ხოლო მერე ცობელსა და მეორე მწვრთნელ **კახა კაჭარავას** გაესაუბრნენ. ჰერ რაინერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ყველა პოზიციაზე თანაბარი ძალის ორი ფეხბურთელი ეგულება. ასე რომ, ეგრეთ წოდებული მოკლე სათადარიგო სკამის პრობლემა აღარ არსებობს. გერმანელმა ერთი განცხადებაც გააკეთა: *„საერთაშორისო არენაზე წარმატებულ თამაშზე ფიქრი ჯერ ნაადრევად მიმაჩნია, რადგან დღეს უმთავრესი - ჩემპიონატსა და თასზე გამარჯვებაა".*

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ მალხაზ ასათიანი


მალხაზ ასათიანი (მარცხნივ) კიევის დინამოს მარბელიაში შეუერთდა

# სეზონის განახლებამდე მოვასწრებ...
## ასათიანს იმედი აქვს, რომ სიომინის ნდობას გაამართლებს

მაშ ასე, მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი მალხაზ ასათიანი 31 მაისამდე კიევის „დინამოში" ითამაშებს. ის უკვე ესპანურ კურორტ მარბელიაშია, სადაც უკრაინული გრანდი საწვრთნელ შეკრებას გადის. გუშინ დილით მალხაზმა გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა და კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს ინტერვიუც მისცა.

- „დინამოს" დაინტერესების შესახებ იური სიომინთან სატელეფონო საუბარში შევიტყვე. ყველა ნიუანსზე შევთანხმდით და მაისის ბოლომდე საიჯარო ხელშეკრულებასაც მოეწერა ხელი.

**- თუ იქონია გავლენა თქვენს სურვილზე კიევში გატარებულმა ნახევარმა სეზონმა?**

- რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა მუშაობა ასეთ მეგობრულ გარემოში. ბიჭებთან საერთო ენა უმალ გამოვნახე, თავად იური სიომინი კი ზედმიწევნით კარგად იცნობს ჩემს საფეხბურთო შესაძლებლობებს. იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ თავად გამოვთქვი კიევში დარჩენის სურვილი, მაგრამ მაშინ პრობლემები შეიქმნა. ხელშეკრულება ორივე მხარისთვის სასარგებლო პირობებით გაფორმდა, მე კი მოხარული ვარ, რომ კვლავ დინამოელი გავხდი.

**- თქვენ „დინამოს" მეორე შეკრებაზე შეუერთდით. მანამდე როგორ ინარჩუნებდით ფორმას?**

- მოსკოვში ვვარჯიშობდი, ძირითადად - ინდივიდუალურად. ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი მიკლია ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმამდე, თუმცა სეზონის განახლებამდე კიდევ რჩება დრო და ვფიქრობ, ბევრ რამეს მოვასწრებ.

**- იური სიომინს უკვე ესაუბრეთ?**

- დიახ, მან მითხრა, რომ ჩემზე იმედს ამყარებს. ვეცდები, ეს იმედი გავამართლო.

ასათიანი ხელახლა 12 თებერვალს, დანიური „ესბიერგის" წინაალმდეგ მოირგებს კიევის „დინამოს" ფორმას, 14 თებერვალს კი გუნდი მოსკოვის „დინამოს" შეხვდება და მარბელიურ შეკრებას ამით დაასრულებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# გვაზავამ, ნაკრებში გამომიძახეთო...

რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა" გროზნოს „ტერეკის" ახალწვეულ **ლევან გვაზავას** ინტერვიუ ჩამოართვა. ჟურნალისტი სანაკრებო თემასაც შეეხო და დაინტერესდა, რატომ არ იძახებენ 28 წლის ნახევარმცველს საქართველოს ეროვნულ გუნდში:

*„მხოლოდ ერთხელ დაინტერესდნენ ჩემით, როცა „ალანიაში" ვთამაშობდი. ალენ ჟირესმა მიმიწვია ნაკრებში. მაგრამ ბედი არ გინდა? - ზუსტად მაშინ, „როტორთან" მატჩის მე-4 წუთზე, უკნიდან ისე ჩამარტყეს ფეხი, ნახევარი წელიწადი მოედანს ვერ გავეკარე. როცა „ლუჩში" ვთამაშდი, მშობლები მეუბნებოდნენ - ქართულმა პრესამ ხმაური ატეხა, გვაზავას ნაკრებში რატომ არ იძახებთო. ძალიან გამიხარდება, თუ ერთხელაც გამომიძახებენ ეროვნულ გუნდში, მაგრამ ჯერჯერობით არავის გავხსენებივარ"*, - განაცხადა გვაზავამ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონი

## კანკავა და კობახიძე დამარცხდნენ

გუშინ თურქულ შეკრებაზე მყოფმა „დნიპრომ" პირველი სპარინგმატჩი გამართა. ბუნებრივია, მასში მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ნაკრებში გამოძახებულ **ბექა გოცირიძეს**, თუმცა ჩერნოგორიულ „რუდართან" სასტარტო შემადგენლობაში ორი ქართველი ფეხბურთელი იყო - **ჯაბა კანკავამ** საყრდენ ნახევარმცველად, ხოლო **სანდრო კობახიძემ** ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა.

21-ე წუთზე „რუდარმა" პენალტით გახსნა ანგარიში. უკრაინელთა პირველი საგოლე მომენტი კი კობახიძემ შექმნა, როცა ორი მცველი ჩამოიცილა და საჯარიმოს ხაზიდან ოდნავ ააცილა ბურთი კარს. ტაიმის მიწურულს „დნიპრომ" კიდევ ერთი გოლი გაუშვა და მატჩი 0:2 დასრულდა. 57-ე წუთზე კობახიძე **ფერეირამ** შეცვალა, კანკავამ კი 90 წუთი ითამაშა.

## ჯაკობია გამოჩნდა

კარგა ხანია, ხარკოვის „მეტალისტის" ფორვარდი **ლაშა ჯაკობია** არსად გამოჩენილა. ხარკოვულმა გუნდმა მეორე შეკრება (არაბთა გაერთიანებულ საამიროებში) ქართველის გარეშე გაიარა. დღეს „მეტალისტი" მესამე საწვრთნელ შეკრებაზე, ამჯერად თურქულ კურორტ ბელექში გაემგზავრება. წამსვლელთა სიას ორი ფეხბურთელი დაემატა და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ჯაკობიაა. ჩვენი თანამემამულე წლევანდელ ვიშალიგაში ერთხელაც არ გამოსულა მოედანზე, 28 წლის ფორვარდმა ორჯერ თასზე და ორჯერაც დუბლებში ითამაშა.

## მხოლოდ ფარცვანია...

კიევის „დინამოს" მეორე გუნდი შეკრებაზე კვიპროსში იმყოფება. გუნდთან ერთად მხოლოდ ორი ქართველია - **თემურ ფარცვანია** და **ლაშა თოთაძე**, რაც შეეხება **დავით იმედაშვილს**, ის კიევში დარჩა. „დინამო 2" მორიგ სპარინგში ჩეხურ „იაბლონეცს" შეხვდა და 1:1 ითამაშა. ჩვენებურთაგან მოედანზე მხოლოდ ფარცვანია იყო, რომელმაც მატჩი ბოლომდე ჩაამთავრა.

## ჭელიძემ კლუბი შეიცვალა

ყაზახურ „კაისარში" მოთამაშე მცველმა **ლაშა ჭელიძემ** კლუბი შეიცვალა. ის კვლავ ყაზახეთში, ამჯერად - ტალდი-კურგანის „ჟეტისუში" ითამაშებს. შარშან ყაზახურ პრემიერ-ლიგაში „ჟეტისუმ" მე-6 ადგილი დაიკავა, მისი ყოფილი გუნდი „კაისარი" კი მეოთხე იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


# ინდივიდუალური მომზადება კარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ჩელსი

# ჰიდინკი სეზონის ბოლომდე

### ვინ გაუძღვება არისტოკრატებს მომავალ სეზონში: ჰიდინკი თუ მაინც ძოლა? ვესტ ჰემის დამრიგებელს კომენტარი საერთოდ არ გაუკეთებია



გუუს ჰიდინკი რუსეთის ნაკრებთან ერთად ჩელსისაც გაუძღვება

„ჩელსის" დროებით მწვრთნელად **გუუს ჰიდინკი** ინიშნება. გუშინ ეს ინფორმაცია უკლებლივ ყველა ევროპულმა სააგენტომ გაავრცელა. საკითხის მოგვარება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ჰოლანდიელ სპეციალისტს „ჩელსის" მწვრთნელობის შეთავსებაზე თანხმობა განუცხადა.

ჰიდინკის დამსახურებებზე საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია. ის ერთნაირად წარმატებული დამრიგებელია საკლუბო და სანაკრებო სარბიელზე. მისტერ გუუსი ლონდონში უახლოეს დღეებში ჩავა და გუნდის საქმეებს გადაიბარებს. წინასწარი შეთანხმებით, მან „არისტოკრატებს" სეზონის ბოლომდე უნდა უხელმძღვანელოს.

ალსანიშნავია, რომ ჰიდინკს კლუბისა და ნაკრების ერთად გაწვრთნის გამოცდილებაც გააჩნია. 2006 წლის მუნდიალის წინ ის „ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელიც იყო და ავსტრალიის ეროვნული ნაკრებისაც, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში გაიყვანა.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა დირექტორმა **ალექსეი სოროკინმა** განაცხადა: *„პრობლემას ვერ ვხედავთ, თუ ჰიდინკი „ჩელსიშიც" იმუშავებს. რუსეთის ნაკრების თამაშების განრიგი ისეთია, რომ ის ორ სამსახურს ადვილად გასწვდება."* გუშინვე პირველი კომენტარი გააკეთა პირადად მწვრთნელმა. როდესაც ჰკითხეს, ის გაიყვანს თუ არა გუნდს „უოტფორდთან" სათასო მატჩში, ჰიდინკმა მიუგო: *„არა მგონია..."*

პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე რუსეთის ნაკრების მხოლოდ ორი მატჩი აქვს გასამართი. ჰიდინკს არ დაუმალავს, რომ „ჩელსის" წინადადებას კლუბის მფლობელ **რომან აბრამოვიჩთან** განსაკუთრებული ურთიერთობის გამო დათანხმდა. *„ამგვარი წინადადებით სხვა კლუბს რომ მოემართა, დაუფიქრებლად უარით გავისტუმრებდი,"* – განაცხადა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** დათხოვნამ ინგლისში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. „არისტოკრატების" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** ისიც კი თქვა, შოკიდან ჯერაც ვერ გამოსულვარო. ინგლისელი მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ბრაზილიელის დათხოვნა სულაც არ გახლდათ ემოციურ ნიადაგზე მიღებული გადაწყვეტილება. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ აბრამოვიჩმა და მისმა ადმინისტრაციამ ახალი დამრიგებელი 24 საათში შეარჩია.

„დეილი მეილის" ცნობით, ლონდონელებს სკოლარის დათხოვნა 15 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. ბრაზილიელს კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. ის მუშაობას გასულ ზაფხულს შეუდგა. ხელშეკრულების ნაადრევად გაწყვეტის სანაცვლოდ მას სოლიდური კომპენსაცია ერგება.

საინტერესოა, რომ „არისტოკრატები" უკვე მესამე მწვრთნელს უწყვეტენ კონტრაქტს. სკოლარიმდე იგივე ბედი გაიზიარეს **ჟოზე მოურინიომ** (2007 წლის სექტემბერში) და **ავრამ გრანტმა** (შარშან მაისში). აბრამოვიჩს მათი კომპენსაციები 40 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

დღე-დღეზე „ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** გასული წლის ფინანსურ ანგარიშს წარადგენს. მართალია, გუნდს წინა წლების მსგავსი თანხები არ დაუხარჯავს, მაგრამ მან ეს წელიც ნაგებით დაასრულა (აქვე გეტყვით, რომ 2006 წელს „არისტოკრატების" საბიუჯეტო გარღვევა 140 მილიონი გირვანქა იყო, ხოლო 2007 წელს საგრძნობლად ნაკლები, მაგრამ მაინც ასტრონომიული თანხა – 75 მილიონი გირვანქა). კენიონი ბიუჯეტის მორიგ გარღვევას, ალბათ, მწვრთნელებისათვის გადახდილი ფულით ახსნისო, ასკვნის „დეილი მეილი". ის ხომ ჯიუტად გვარწმუნებს, რომ 2010 წელი პირველი იქნება აბრამოვიჩის გუნდის ისტორიაში, რომელსაც ის დაბალანსებული ბიუჯეტით დაასრულებს.

დავუბრუნდეთ „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის თემას. „დეილი მეილმა" „არისტოკრატების" აწ უკვე ყოფილი დამრიგებლის შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. პოპულარული გამოცემა ირწმუნება, რომ სკოლარი აბრამოვიჩის ფავორიტი არ იყო. რომ რუს ოლიგარქს ბრაზილიელის დანიშვნა იმთავითვე არ სურდა, მაგრამ **კარლო ანჩელოტი** ვერ გადაიბირა. ამიტომ საბოლოოდ, ისევ მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელზე შეაჩერა არჩევანი.

*„მე მას (აბრამოვიჩს) მხოლოდ სამჯერ თუ ოთხჯერ შევხვდი,"* – განაცხადა დაახლოებით ერთი თვის წინ ფელიპემ. უცნაურია, რომ „ჩელსის" ბოსი ასეთ ნაკლებ ინტერესს იჩენდა თავისი გუნდისა და მისი თავკაცის მიმართ. ის „არისტოკრატების" თამაშებზე მხოლოდ სეზონის დასაწყისში დადიოდა. სკოლარის გუნდმა შთამბეჭდავად დაიწყო, ცხრა ტურის შემდეგ 27 შესაძლებლიდან 23 ქულა დააგროვა და „მანჩესტერ იუნაიტედს" დიდი მანძილით გაუსწრო.

მაგრამ მერე შედეგი გაუარესდა, გუნდმა ერთმანეთის მიყოლებით წააგო ყველა კონკურენტთან – „ლივერპულთან", „არსენალსა" და „მანჩესტერ იუნაიტედთან", ჩემპიონობის შანსი ფაქტობრივად დაიკარგა, აბრამოვიჩი სტადიონიდან საერთოდ გაქრა და იანვრის ტრანსფერებისას შემადგენლობის გასაძლიერებლად, ფაქტობრივად, ერთი პენსიც არ დაუხარჯავს.

სკოლარისათვის ინგლისის ჩემპიონატში წარმატების მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა ცხოვრება გრძელდება. სეუ ლუიშ ფელიპე ლონდონიდან გვარიანად გასქელებული ჯიბით მიდის.

„ჩელსიზე" საუბარს ერთი ინფორმაციით დავასრულებთ. რა იქნება მას მერე, რაც ჰიდინკს ხანმოკლე კონტრაქტი ამოეწურება? გამოეთხოვება თუ არა ის რუსეთის ნაკრებს? კვლავ ორ სამსახურში გააგრძელებს მუშაობას, თუ „არისტოკრატები" ახალ მწვრთნელს ნახავენ? არც ერთი ამ ვარიანტის გამორიცხვა არ შეიძლება. მაგრამ „დეილი მეილს" თუ დავუჯერებთ, „ჩელსის" წამყვანი მოთამაშეები და თავგადაკლული გულშემატკივრები გუნდში **ჯანფრანკო ძოლას** მიწვევას ითხოვენ. ძოლა და „ჩელსის" კიდევ ერთი ყოფილი მწვრთნელი **სტივ კლარკი**, მოგეხსენებათ, „ვესტ ჰემში" მუშაობენ და საკმაოდ შთამბეჭდავადაც.



ჯანფრანკო ძოლა და სტივ კლარკი: არისტოკრატების კიდევ ერთი ფავორიტი წყვილი

სხვათა შორის, სპეკულაციები ძოლას შესაძლო დანიშვნის თაობაზე ჯერ კიდევ ჰიდინკის გვარის გაჟღერებამდე გავრცელდა. „ვესტ ჰემმა" უმალ საგანგებო განცხადება გაავრცელა. მან კატეგორიულად გამორიცხა მწვრთნელის გაშვება და „ჩელსის" ამ ვარიანტის თავიდან ამოგდება ურჩია. „დეილი მეილისათვის" ცნობილი გახდა ისიც, რომ მინიმუმ სეზონის ბოლომდე „აპტონ პარკიდან" აბარგება ძოლამაც გამორიცხა. მან უსამართლოდ მიიჩნია გუნდის შუა სეზონში მიტოვება. თუმცა იტალიელს მომავალ სეზონთან დაკავშირებით არაფერი უთქვამს.

მომდევნო რამდენიმე თვე ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგაში აქვს სათამაშო. მართალია, პრემიერლიგის მოგების შანსი მიზერულია, მაგრამ ის ჯერ კიდევ არსებობს. თუ ჰიდინკი წარმატებას მიაღწევს, ძნელი წარმოსადგენია, ხელმძღვანელობამ მას მოსკოვში დაბრუნების საშუალება მისცეს. თუ არადა, ძოლასა და სტივ კლარკის კანდიდატურების განხილვა ყოველთვის შეიძლება.

**შალვა ბიბილაშვილი**

დაუჯერებელი ამბავი

# რატომ ვერ გახდა რაიკაარდი ატლეტიკოს მწვრთნელი

### მობილური ტელეფონის გათიშვა კარიერისთვის სახიფათოა

გუშინ „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** „რადიო მარკას" ვრცელი ინტერვიუ მისცა და საზოგადოებას ძალიან საინტერესო ამბავი ამცნო. როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობამ **ხავიერ აგირე** თანამდებობიდან გადააყენა და მის ნაცვლად **აბელ რესინო** დანიშნა. პრეზიდენტის ინტერვიუდან გაირკვა, რომ „როხიბლანკოს" ხელმძღვანელობას სულ სხვა კაცის დანიშვნა უნდოდა. ამ სპეციალისტს **ფრანკ რაიკაარდი** ჰქვია. რატომ ვერ მოხერხდა მისი დანიშვნა, ამას თავად პრეზიდენტის განცხადების წაკითხვისას გაიგებთ: *„რაიკაარდთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით. ჰოლანდიელ სპეციალისტს ყველაფერი აინტერესებდა, პირობები, სატრანსფერო პოლიტიკა, გავაძლიერებდით თუ არა შემადგენლობას. თითქმის ყველაფერი შეთანხმებული გვქონდა. კონტრაქტის გაფორმებაზე დადებითი პასუხიც გაგვცა. ჩვენ საჭირო დოკუმენტების მომზადებას შევუდექით, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში რაიკაარდი ველარ ვიპოვეთ. 21-ე საუკუნეში ეს ამბავი, რა თქმა უნდა, დაუჯერებელია, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ვამატებ. რაიკაარდს სამი დღის განმავლობაში ვურეკავდით. თუმცა ვერაფრით დავუკავშირდით. რამდენიმე ნომერი გვქონდა, მაგრამ ყველა გათიშული იყო. სახლშიც ვრეკავდით, მაგრამ ყურმილს არავინ იღებდა. ბოლოს ჩვენი წარმომადგენელი მის სახლში გავუშვით, მაგრამ სენიორ ფრანკი არ დახვდა. კარი არავინ გაუღო. ძალიან გვეწყინა, გაოგნებული ვიყავით და გადავწყვიტეთ, რაიკაარდის ძებნაში დრო აღარ დაგვეკარგა. ამის შემდეგ აბელ რესინოს დავუკავშირდით და კონტრაქტიც გავუფორმეთ."*

**ილია ნიკოლაიშვილი**



ფრანკ რაიკაარდი

პრიმერა დივიზიონი

# უსამართლობის, ჩაგვრისა და ბრწყინვალების 80 წელი

10 თებერვალს პრიმერა დივიზიონს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდა. ლა ლიგა 1929 წელს დაიწყო. დიახ, 80 წლის წინ 10 თებერვალს ქვეყნის ჩემპიონატში 10 გუნდი ჩაერთო. აი, მათი ჩამონათვალიც: „რეალი", „ბარსელონა", „ბილბაო", „ატლეტიკო", „ესპანიოლი", „სოსიედადი", „რეალ უნიონი", „არენას დე გუეჩო", „ევროპა" და „რასინგი". პირველი ჩემპიონი „ბარსელონაა", თუმცა 80 წლის შემდეგ ყველაზე მეტ საჩემპიონო ტიტულს (31) მადრიდის „რეალი" ფლობს. მომავალ უქმეებზე პრიმერა დივიზიონის არსებობის განმავლობაში 2443-ე ტური ჩატარდება. საიუბილეო სეზონი „ბარსას" ჰეგემონიის ფონზე მიმდინარეობს. კატალონიელები თამაშს თამაშზე იგებენ. დემოკრატიულ ესპანეთში „ბარსელონას" აღარანაირი პრობლემა არ აქვს, მაგრამ გასული 80 წლის განმავლობაში პრიმიერა დივიზიონში ისინი არა ერთ უსამართლობას წაწყდომიან. ესპანური ლიგა გენერალ **ფრანკოს** დიქტატურის გამო სხვა ევროპული ჩემპიონატებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. გასული 80 წლის სრულ სტატისტიკაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ, ჯობია, ერთ ყველაზე ხმაურიან ისტორიულ ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება.

100 წლის შემდეგაც ყველას ეცოდინება, რომ დიქტატურის ხანაში „ბარსელონასა" და „ბილბაოს" ულმერთოდ ჩაგრავდნენ. **ალფრედო დი სტეფანოს** მადრიდული ტრანსფერი დღემდე უსამართლობის ქრესტომათიულ მაგალითად მიიჩნევა. 1953 წლამდე სამეფო კლუბმა პრიმერა დივიზიონში მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა და მესამე ტიტულის მოსაპოვებლად თავგანწირვით იბრძოდა. დედაქალაქელებმა სამართლიან პირობებში ამ მიზანს ვერ მიაღწიეს და ამის შემდეგ ფრანკოს შავბნელი მანქანა ამოქმედდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის მთავრობამ „რეალის" კეთილდღეობა კატალონიური გრანდის უბედურებაზე ააგო. თავად განსაჯეთ, დი სტეფანო „ბარსამ" გადაიბირა. გაუდის ქალაქში ჩაიყვანა და მისი პრეზენტაციაც გამართა, მაგრამ მეორე დღეს დონ ალფრედო მატარებელში ჩასვეს და დედაქალაქში ჩაიყვანეს. იმავე საღამოს ის სამეფო კლუბში ჩარიცხეს. თანაც ისე, რომ კატალონიელებისთვის საკომპენსაციოდ ერთი გროშიც არ გადაუხადეს.

„რეალის" აღორძინება სწორედ დი სტეფანოს მოტაცების შემდეგ დაიწყო. „ბარსელონაში" ამ გაუგონარ უსამართლობას დღემდე არ ივიწყებენ. როგორც კი საშუალება მიეცემათ, მაშინვე იხსენებენ, რომ გასული საუკუნის შორეულ 50-იან წლებში ფრანკომ ყოველგვარი კანონის დარღვევით გენიალური მოთამაშე წაიყვანა და მისი კანონიერი მფლობელი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. ალსანიშნავია, რომ ხელისუფლების უსამართლობა ამით არ შემოიფარგლებოდა. ეს, უბრალოდ, ყველაზე ხმაურიანი შემთხვევა იყო, თორემ წვრილ-წვრილ ბოროტებას რა დათვლის. უამრავი ადამიანი იხსენებს, რომ იმ შავ-ბნელ დროს ბასკებსა და კატალონიელებს აშანტაჟებდნენ, აშინებდნენ და ქულებს აკარგვინებდნენ. ამისათვის მრავალი მეთოდი არსებობდა. ყველაზე ნაცადი მსაჯების დაშინება და გადაბირება გახლდათ. „ბარსელონის" მესვეურები სწორედ ამ გაუსაძლისი წარსულით ხსნიან იმ ფაქტს, რომ „რეალმა" პრიმერა დივიზიონში 31-ჯერ გაიმარჯვა. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამეფო კლუბი სახელმწიფო ფულით ფინანსდებოდა და ამ თანხებით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდულობდა.

მადლობა ღმერთს, რომ პრიმერა დივიზიონის დაარსებიდან 80 წლის შემდეგ ასეთი ბოროტება აღარ ხდება. გასულ რვა ათწლეულში დარჩა ის დროც, როცა პრიმერას გუნდებს ელემენტარული პირობები არ ჰქონდათ. ისინი ვარჯიშზე მისასვლელად ფეხით ათეულობით კილომეტრს გადიოდნენ, ვარჯიშის შემდეგ კი წყლის გადავლების საშუალებაც არ ჰქონდათ. ნულიდან დაწყებული საქმე გენიალური შედეგით დაგვირგვინდა. პრიმერა დივიზიონი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა. ესპანური გუნდების ღვაწლზე აღარაფერს ვამბობთ. ძალიან მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთი ესპანელი ხალხის განუყოფელი ნაწილია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ ფერნანდო ტორესი

# ინგლისთან მოგება პრესტიჟისა და თავმოყვარეობის საქმეა

## ესპანეთმა უნდა დაამტკიცოს, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოა




დღეს „სანჩეს პისხუანზე“ ესპანეთისა და ინგლისის ნაკრებები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამხანაგური შეხვედრაა, ინტრიგა და ინტერესი ძალიან დიდია. ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ სელექსიონს ასეთი დონის მეტოქე არ შეხვედრია. ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ხომ დიადი ადამიანი, ფაბიო კაპელოა. მისი და ვისენტე დელ ბოსკეს დუელის ნახვა ერთი სიამოვნება უნდა იყოს. გუშინ „ეკიპში“ გამოქვეყნებული დიეგო მარადონას ინტერვიუს ფრაგმენტები შემოგთავაზეთ. არგენტინელმა მწვრთნელმა კორესპონდენტს განუცხადა, საფრანგეთთან მატჩი ჩემთვის უბრალო ამხანაგური შეხვედრა არ არისო. დიეგო შეგირდებისგან ისეთივე თავგანწირვას ითხოვს, როგორითაც მუნდიალზე თამაშობენ ხოლმე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვისენტე დელ ბოსკეს სელექსიონშიც ასეთივე განწყობაა. ინგლისთან პაექრობას ესპანელები სრული სერიოზულობით ეკიდებიან. მათ განცხადებებში სულაც არ ჩანს, რომ „სანჩეს პისხუანზე“ ამხანაგური თამაში უნდა გაიმართოს. ამის ნათელი დადასტურება ფერნანდო ტორესის ის ინტერვიუა, რომელიც „რადიო მარკას“ ეთერით გადაიცა.

**- პირველ რიგში სავალდებულო კითხვა უნდა დაგისვათ. მორიგი ტრავმის მოშუშების შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?**

- ბევრად უკეთ. არ დაგიმალავთ, რომ მიმდინარე სეზონში ყველაზე სერიოზულ პრობლემას ტრავმები მიქმნის. გასული სეზონი ევროპის ჩემპიონატის გამო ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებისთვის ძალიან გრძელი და დამღლელი აღმოჩნდა. სერიოზული დატვირთვები გვქონდა. ამ დატვირთვების მძიმე შედეგებს ბევრი ჩვენგანი დღემდე იმკის. ეტყობა ორგანიზმი გადაგვეღალა და ტრავმებს უფრო ხშირად ამიტომ ვიღებთ. ყოველ შემთხვევაში, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე სწორედ ასეთი დასკვნა გამომაქვს. მაგრამ რას ვიზამთ, ტრავმა ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. მოთამაშემ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ტრავმას შეძლებისდაგვარად თავი აარიდოს. ერთი შეხედვით ეს უცნაური და გაუგებარი თეორიაა, მაგრამ თუ ყურადღებით ითამაშებ, უფრო მეტი შანსი გექნება იმისთვის, რომ ტრავმისგან თავი დაიცვა. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, რომ ტრავმის შიშით ორთაბრძოლებს თავი უნდა აარიდო.

**- არ დაგიმალავთ, რომ ერთი გარემოების გამო თქვენ ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო რესპონდენტი ხართ. იცით რატომ? იმიტომ, რომ „ლივერპულისა“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი ბრძანდებით. რაფა ბენიტესმა განაცხადა, რომ ესპანეთის ეროვნულ გუნდში თქვენი გამოძახება ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო. ეთანხმებით მის მოსაზრებას? მზად ხართ ამ პოლემიკაში მონაწილეობისთვის?**

- რომელ პოლემიკაში? ბენიტესს არანაირი პოლემიკა არ წამოუწყია. ეს ტყუილია და სხვა არაფერი. მას მიაჩნია, რომ ტრავმის შემდეგ ფეხბურთელები ნელ-ნელა უნდა დაიტვირთონ. ეს არის და ეს, თუმცა მე სელექსიონში გამომიძახეს და ყოყმანი არ დამიწყია. შემოთავაზებას, რა თქმა უნდა, მაშინვე დავთანხმდი. მიმაჩნია, რომ ესპანეთის ნაკრებში თამაშისთვის მზად ვარ. მუდმივად ტრავმაზე ფიქრი და საუბარი ჯანმრთელობისთვის ძალიან სახიფათოა. პირველ რიგში ფსიქიკურ ჯანმრთელობას ვგულისხმობ. მთავარია, რომ ეროვნულ გუნდში ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც ვისენტე დამავალებს. არ მეგულება ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებში თამაში არ უნდა.

**- როგორ ფიქრობთ, ოთხშაბათს რთული მატჩი გექნებათ? აშკარაა, რომ ფაბიო კაპელოს მისვლის შემდეგ ინგლისის ნაკრები ერთიორად გაძლიერდა.**

- მე ვიტყოდი, რომ განსაკუთრებული შეხვედრის ჩატარება მოგვიწევს. აქ ორი აზრი არ არსებობს. ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ყველას ჩვენი დამარცხება სურს. ჩვენ ვარსკვლავებით დახუნძლული მეტოქე გვეყოლება. ინგლისს ფაბიო კაპელოს დანიშვნის შემდეგ საკვალიფიკაციო მატჩებში ერთი ქულაც არ დაუკარგავს. ჩემი აზრით, დღესდღეობით ესპანეთისა და ინგლისის ნაკრებები ევროპის ყველაზე ძლიერი გუნდები არიან. ძალიან გვინდა, რომ ბრიტანელებს მოვუგოთ და საფეხბურთო საზოგადოებას კიდევ ერთხელ დავუმტკიცოთ, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ვართ. მჯერა, ჩვენ ამას შევძლებთ.

**- ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ამხანაგური შეხვედრისთვის კი არა, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისთვის ემზადებით.**

- დიახ, ეს ასეა. ამ შეხვედრის მოგება პრესტიჟისა და თავმოყვარეობის საქმეა. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ინგლისელებთან პაექრობას ისე მივუდგეთ, როგორც არაფრისმომცემ შეხვედრას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპის ჩემპიონები ვართ. ჩემთვის ოთხშაბათის მატჩს ძალიან დიდი ფასი აქვს.

**- ფეხბურთი სპეკულაციებისგან სტერილური, ალბათ, ვერასოდეს გახდება. ჩვენი, ჟურნალისტების მიზანია, რომ სპეკულაციების დიდი ტალღიდან სიმართლე გამოვწუროთ. ძალიან ხშირად იწერება, რომ მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალში“ ითამაშებთ....**

- რა საინტერესო ჰიპოთეზაა. სპეკულაციებიდან სიმართლის გამოწურვაზე საუბრობთ, როცა ამ სპეკულაციებს თავად ჟურნალისტები ავრცელებენ ხოლმე. არ ვიცი, სამეფო კლუბში ჩემი გადასვლის შესახებ არაფერი მსმენია. თეორიულად ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასე ზერელედ ვერაფერს ვიტყვი. თანაც, „ლივერპულიდან“ წასვლას სულაც არ ვაპირებ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს გუნდში კიდევ დიდ ხანს ვითამაშებ.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენი ყოფილი კლუბი, „ატლეტიკო“ აბელ რესინოს მისვლის შემდეგ უკეთ ათამაშდება?**

- პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ აგირეს „ატლეტიკოს“ ბოლო წლების საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ. გამოსათხოვარ პრესკონფერენციაზე სენიორ ხავიერმა დიდი თვითკრიტიკულობა გამოიჩინა. ეს არაჩვეულებრივი თვისებაა, თუმცა სულაც არ ვთვლი, რომ გუნდში შექმნილი სირთულეები მისი ცუდი მუშაობის შედეგია. აბელ რესინოს რაც შეეხება, მას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და ვისურვებდი, რომ „ატლეტიკოსთან“ ერთად დიდ წარმატებებს მიაღწიოს.

დაპირისპირება

# დელ ბოსკე ბენიტესის წინააღმდეგ

## ლივერპულის მწვრთნელმა ხმაური იმიტომ დაიწყო, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა

ესპანეთის ნაკრებზე საუბარს ვისენტე დელ ბოსკეს ძალიან საინტერესო პრესკონფერენციით გავაგრძელებთ. სელექსიონის მთავარმა მწვრთნელმა ინგლისთან შეხვედრამდე ჟურნალისტებს უმასპინძლა და ძალიან ბევრ აქტუალურ კითხვას უპასუხა. ობიექტური მიზეზების გამო, პრესკონფერენციის სრულ რეპორტაჟს ვერ შემოგთავაზებთ. მოდით, ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებზე გავამახვილოთ ყურადღება. სენიორ დელ ბოსკეს პირველ რიგში ეროვნული გუნდის მდგომარეობაზე ჰკითხეს. ნაკრების თავკაცმა გულშემატკივრებისთვის ძალიან სასიხარულო განცხადება გააკეთა:

*„ვერ ვიტყვი, რომ სელექსიონი ოთხშაბათს სრულყოფილ ფეხბურთს ითამაშებს, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ შთამბეჭდავ შეხვედრას ჩავატარებთ. ამის თქმის საფუძველს ჩემი ფეხბურთელების მზადყოფნა მაძლევს, ისინი ჩინებულ ფორმაში არიან. გადატვირთული საკლუბო კალენდრის გამო მცირე გადაღლას ვერ გავექეცით, მაგრამ მთლიანობაში, მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამ შემადგენლობას ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხების უნარი შესწევს. ინგლისი ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ სევილიაში ჩვენ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ. მერე რა, რომ ამხანაგურ შეხვედრას ვატარებთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ „სანჩეს პისხუანზე“ მისული გულშემატკივარი შინ კმაყოფილი დაბრუნდეს და ოჯახის წევრებთან მოგებული მატჩის სასიამოვნო ეპიზოდებზე საუბრის შემდეგ ტკბილად დაეძინოს. ყველას კარგად მოგვეხსენება ეს რამდენად სასიამოვნო გრძნობაა. პირადად მე, ასეთი შეხვედრების შემდეგ მინდება ხოლმე, გაუთავებლად ვისაუბრო და დასაძინებლად დროის დაკარგვა მენანება.“*

როგორც კი დელ ბოსკემ ინგლისთან მატჩისთვის ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, **რაფა ბენიტესმა** ერთი ამბავი ატეხა, გაგანია საკლუბო სეზონის მსვლელობისას „ლივერპულიდან“ ოთხი ფეხბურთელის გამოძახება რა უბედურებააო. ვისენტე დელ ბოსკემ ინგლისში გადახვეწილ კოლეგას მშვიდად და ამომწურავად უპასუხა:

*„მესმის ბენიტესის, მაგრამ ესპანეთის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობას უკანონო არაფერი ჩაუდენია. ჩვენ ფიფას მიერ დადგენილი რეგლამენტით ვხელმძღვანელობთ და წელიწადში შვიდ შეხვედრას ვმართავთ. სრული უფლება გვაქვს, რომ ამ შვიდი დაპირისპირებისთვის ის ფეხბურთელები გამოვიძახოთ, რომლებსაც საჭიროდ ჩავთვლით. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რაფას ვერაფრით დავეხმარები. გასაგებია, ერთი კლუბიდან ოთხი ფეხბურთელის წამოყვანა კლუბის მწვრთნელს სერიოზულ პრობლემებს უქმნის, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ესპანელი ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელებისა და ზოგადად დიდი ესპანური საფეხბურთო ოჯახისთვის სელექსიონი უმაღლესი ღირებულებაა. ეროვნულ გუნდზე მნიშვნელოვანი არაფერია. ბენიტესს ჭკუას არ ვასწავლი, არც შენიშვნას ვაძლევ, უბრალოდ, ჩემი წარსული მინდა გავიხსენო. როცა „რეალის“ მწვრთნელი ვიყავი, სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებში ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად 8-9 ფეხბურთელი მიჰყავდათ ხოლმე, მაგრამ პროტესტი არასოდეს გამომითქვამს. თანამედროვე ფეხბურთი კლუბებისა და ნაკრებებისგან შედგება. ასე რომ, მოთამაშეების გამოძახებას ვერავინ აგვიკრძალავს. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ვიტყვი, რომ ნაკრებში ფეხბურთელების წასვლა კლუბს პრობლემებს უქმნის. ზოგი ტრავმირებული ბრუნდება, ზოგი კი გადაღლილი... მაგრამ ასეთია ფეხბურთის რეალობა და მას ვერსად გავექცევით. ბენიტესმა ხმაური, ალბათ, იმიტომ წამოიწყო, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ჩვენ ხმაურის გამო უხერხულად რომ გვეგრძნო თავი და უკან დაგვეხია, „ლივერპული“ მოგებული დარჩებოდა. ჩვენ კომპრომისზე არ წავედით.“*



ვისენტე დელ ბოსკე

ბარსელონური ღვაწლი



ესპანეთის 1959 წლის ნაკრები: ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად რვა ბარსელონელმა ითამაშა

# კატალონიელებმა ესპანეთს ყველაზე მეტი ფეხბურთელი გაუზარდეს

რაკი ამ გვერდში ესპანეთის ნაკრებზე ვსაუბრობთ, უპრიანი იქნება, თუ ისტორიასაც გადავხედავთ. ესპანეთის ნაკრების დაარსებიდან დღემდე სელექსიონში ყველაზე მეტი ფეხბურთელი „ბარსელონას“ ჰყავს მივლენილი. კატალონიურმა გრანდმა ამ თვალსაზრისით ლიდერობა მას შემდეგ განიმტკიცა, რაც ვისენტე დელ ბოსკემ ეროვნულ გუნდში **ჟერარდ პიკესა** და **სერხიო ბუსკეტსს** უხმო. მთლიანობაში ესპანეთის ნაკრებში „ბარსას“ 117 ფეხბურთელს უთამაშია, თუ დედით ესპანელ **თომას კრისტიანსენსაც** ჩავთვლით, მაშინ რიცხვი 118-მდე გაიზრდება. თუმცა როცა დანიელი ფეხბურთელი **ხავიერ კლემენტემ** სელექსიონში გამოიძახა, ის „ბარსელონის“ სათადარიგო გუნდში თამაშობდა.

მეორე ადგილზე „რეალია“. სხვადასხვა დროს ესპანეთის ნაკრებში სამეფო კლუბის 113 ფეხბურთელს უთამაშია. უნდა აღინიშნოს, რომ მადრიდელებს თამაში უფრო ხშირად უწევდათ. მთლიანობაში დედაქალაქელებმა "სელექსიონის" ღირსება 1 603 შეხვედრაში დაიცვეს, კატალონიელებმა კი - 1 539 ორთაბრძოლაში. მესამე საფეხურზე „ბილბაო“ აღმოჩნდა. ბასკების მონაგარი ასეთია - 91 ფეხბურთელი და 749 მატჩი.

მართალია, შეხვედრების რაოდენობით სამეფო კლუბი ლიდერობს, მაგრამ ესპანური ფეხბურთის ყველაზე დიდ წარმატებაში ყველაზე დიდი როლი მაინც კატალონიელებმა ითამაშეს. თავად განსაჯეთ: 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე "სელექსიონის" ღირსებას „ბარსელონის“ რვა აღზრდილი იცავდა. აი, მათი ჩამონათვალი: **ჩავი, პუიოლი, ინიესტა, ფაბრეგასი, რეინა, სერხიო გარსია, ფერნანდო ნავარო, გუისა.**

მასალას „დიარიო ასის“ არქივში დაცული საკმაოდ საინტერესო ფოტო დავურთეთ. ეს ფოტო 1959 წელს პოლონეთთან შეხვედრის წინ არის გადაღებული. ის ერთი გარემოების გამო უნიკალურია. იმ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრების მაისურა ერთბაშად რვა ბარსელონელს ეცვა, ასეთი რამ არც მანამდე და არც მას შემდეგ არ მომხდარა. სხვა კლუბებს მხოლოდ, სამი კაცი გარაი, დი სტეფანო და ხენტო წარმოადგენდნენ. ალბათ, უპრიანი იქნება, "სელექსიონის" მაშინდელი შემადგენლობა სრულად გაგაცნოთ. ზედა რიგში: **რამალიეტსი, ოლიველია, გარაი, გრასია, სეგარა, აგაჩადოსი;** ქვედა რიგში: **ტეხედა, კუბალა, დი სტეფანო, სუარესი, ხენტო.**

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

იუვენტუსი

# სკუდეტოსთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბებერი ქალბატონი ზაფხულში გაძლიერებასაც ეცდება

გასულ უიქენდზე, ტურინის „იუვენტუსმა" წარუმატებელი სერია შეწყვიტა და „კატანია" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. თუმცა, ვინც ეს მატჩი ნახა, ყველა ერთხმად აცხადებს, რომ სიცილიელები უკეთ გამოიყურებოდნენ და მინიმუმ ქულას იმსახურებდნენ. პრესასთან საუბარში იგივე განაცხადა **ჯანლუიჯი ბუფონმა**, „იუვეს" კიპერი გამოტყდა, რომ კატანიაში მის გუნდს ძალიან გაუმართლა. თუმცა იქვე კმაყოფილება გამოთქვა მოპოვებული სამი ქულით და დასძინა, რომ „ბებერ ქალბატონს" სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ არ შეუწყვეტია. აი, ჯიჯის კომენტარიც:

*„მინდა დავეთანხმო ექსპერტების და ჟურნალისტების მოსაზრებებს და განვაცხადო, რომ „კატანია" მარცხს არ იმსახურებდა. მეტიც, თუ ვინმეს ეკუთვნოდა სამი ქულა, ეს სიცილიური გუნდი გახლდათ. მასპინძლებმა ძალიან ორგანიზებული და მძლავრი ფეხბურთი ითამაშეს. სიმართლე გითხრათ, არც კი მეგონა სიცილიაში ასე თუ გაგვიჭირდებოდა. სიძნელეების მიუხედავად, წარუმატებელი სერია შევწყვიტეთ და გავიმარჯვეთ. მთავარი მაინც ეს გახლავთ და იმედია, დაუგეგმავ ქულებს აღარ დავკარგავთ. ეს გამარჯვება ახალი, წარმატებული ციკლის დასაბამი უნდა გახდეს. „ინტერი" წინ არის გაჭრილი, შვიდი ქულა ცოტა არაა, თუმცა დანებებას არ ვაპირებთ. მთავარია, ჩვენი საქმე ვაკეთოთ და მეტოქეებს ყურადღება არ მივაქციოთ. იმედია, ოპტიმალურ ფორმაში მალე შევალთ და „ნერაძურის" ფორას დროულად ამოვუქაჩავთ".*

ბუფონმა მილანურ დერბიზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ „მადონინაში" „მილანს" უგულშემატკივრებს: *„ჩვენი მიზანი რომ მეორე ადგილზე გასვლა იყოს, აუცილებლად „ინტერს" ვუქომაგებდი, თუმცა რეალობა სულ სხვაგვარია. „იუვენტუსის" ამოცანა ჩემპიონობაა და ბუნებრივია, ყველაზე მეტად „ინტერის" წაფორხილება გამახარებს. არც ფრე იქნება ურიგო შედეგი, მაგრამ უმჯობესია, თუ გამარჯვებას „მილანი" მოიპოვებს და ლიდერს ქულის გარეშე დატოვებს. მხოლოდ ქულებში არ არის საქმე, კიდევ ერთი დერბის წაგება „ინტერის" ფსიქოლოგიურ მდგრადობაზეც იმოქმედებს და ეს შედეგებზეც აისახება. ასე რომ, კვირის შეხვედრას დიდი ინტერესით ველოდები".*

ამასობაში, „იუვენტუსთან" დაკავშირებით, იტალიურ პრესაში ათასგვარი ინფორმაცია ვრცელდება. უმეტესობა სატრანსფერო საკითხებს ეხება და ჩვენც, ორიოდე სიტყვით მიმოვიხილოთ არსებული მდგომარეობა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზაფხულში ტურინელები **ანტონიო კასანოს** გადაბირებას შეეცდებიან. ამის თაობაზე კლუბის მესვეურები უკვე აქტიურად საუბრობენ და არ მალავენ, რომ გენუური კლუბიდან მისი გამოსყიდვა სურთ. ინფორმაცია არ უარყო **კლაუდიო რანიერიმ** და პრესას შემდეგი განუცხადა:

*„გეთანხმებით, ანტონიო მიმდინარე სეზონში ისე ველარ ბრწყინავს, როგორც გასულ წელს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. ფაქტია, რომ დღესაც უდიდესი ტალანტის პატრონია და ეს ნიჭი არ დაუკარგავს. ახალი გარემო სჭირდება და ნახავთ, როგორ ათამაშდება. ჩემი აზრით, ის თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშეა და შეუძლია განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე ავიდეს. არ დავმალავ, რომ ანტონიოს თამაში ძალიან მომწონს და „იუვენტუსში" სიამოვნებით ვიხილავდი".*

რანიერის ეს სიტყვები ყველაფერზე ნათლად მეტყველებს, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას „იუვე" კასანოს გადაბირებას აუცილებლად შეეცდება. ვრცელდება სხვა ინფორმაციებიც და ორიოდე სიტყვა მათზეც ვთქვათ.

სეზონის ბოლოს, საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს ჩეხი ნახევარმცველი **პაველ ნედვედი**. „იუვეს" მესვეურები მის შემცვლელს აქედანვე ეძებენ და რამდენიმე მოთამაშის გვარი მონიშნულიც აქვთ. ნედვედის შემცვლელად ყველაზე სასურველი კანდიდატი **ფრენკ რიბერი** გახლავთ, რომელიც თავის მხრივ, ახალი სეზონიდან კლუბის გამოცვლას აპირებს. ტურინელები ფრანგის შესაძენად ცდას არ დააკლებენ, თუმცა აქედანვე უნდა იცოდნენ, რომ მძაფრი კონკურენციის დაძლევა მოუწევთ. რიბერის შეძენა მადრიდის „რეალს" სურს, რომელსაც სავარაუდოდ ზაფხულში ახალი პრეზიდენტი, **ფლორენტინო პერესი** ეყოლება. მადრიდელებთან კონკურენცია ძალიან რთული საქმეა და იტალიელებს ეს კარგად ესმით. ამიტომ, განიხილება სათადარიგო ვარიანტებიც. ერთ-ერთი კანდიდატი ბრაზილიელი **დიეგოა**, ვისაც „ვერდერში" ალბათ დიდხანს აღარავინ გააჩერებს. საერთოდ, ბრაზილიელი გამთამაშებელია და მეტწილად ცენტრში თამაშობს, თუმცა ხანდახან ფლანგზეც უწევს გადასვლა და დაკისრებულ მოვალეობას თავს ყოველთვის კარგად ართმევს. ლაპარაკია კიდევ ერთ ფეხბურთელზე, ბრაზილიელ **დუგლას კოშტაზე**. ეს მოთამაშე „გრემიოში" ირიცხება და ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. მას ხშირად ახალ რონალდინიოს უწოდებენ, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. „იუვეს" სელექციონერები კლუბის მესვეურებს კოშტას გადაბირებას კი ურჩევენ, მაგრამ იქვე აფრთხილებენ, მის სანაცვლოდ მინიმუმ 30 მილიონი დოლარის გაღება მოგიწევთო. მოკლედ, არჩევანი არის და იტალიელებმაც უნდა გადაწყვიტონ, ვინ სჭირდებათ ნედვედის ალტერნატივად.

აპენინელი ჟურნალისტების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ნედვედის შემცვლელის ძიება საჭირო არ არის და რომ „იუვენტუსის" ხელმძღვანელები დროს სულ ტყუილად კარგავენ. „ვეკია სენიორაში" ირიცხება **პაოლო დე ჩელიე**, ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც მიმდინარე სეზონში თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. ის თანაბრად ძლიერია დაცვითი და შეტევითი ფუნქციების შესრულებისას, ასე რომ, ახლის ძიება შესაძლოა მართლაც არ იყოს საჭირო. „იუვე" არც თავდამსხმელების ნაკლებობას განიცდის, მაგრამ კლუბის მესვეურებს ფორვარდზე მაინც უჭირავთ თვალი. როგორც ამბობენ, კლაუდიო რანიერი **კლაას იან ჰუნტელაარის** დიდი მოტრფიალე ყოფილა. ჰოლანდიელი თავდამსხმელის გადაბირება ადრეც არაერთხელ უცდია და მიზნის მიღწევის იმედი ახლა გასჩენია. საქმე იმაშია, რომ ექსაიაქსელმა „რეალში" ფეხი ვერაფრით მოიკიდა და მადრიდიდან წასვლა მყარად გადაწყვიტა, თანაც სამეფო კლუბს ის ტყუილში ადანაშაულებს. ამ შემთხვევაშიც, ტურინელებს დიდი კონკურენციის დაძლევა მოუწევთ, რადგან კლაას იანის გადაბირების სურვილი უკვე გამოთქვეს ევროპული ფეხბურთის გრანდებმა.

მილანური დერბის წინ

# მანჩინი ინტერს და ზლატანს აღიარებს



კვირას მილანური დერბია და მთელი იტალიური საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ამ შეხვედრისკენ იქნება მიპყრობილი. მადონინაზე აქედანვე ლაპარაკობენ და პროგნოზებსაც აკეთებენ. გუშინ, პრესასთან გასაუბრება **რობერტო მანჩინიმ** გადაწყვიტა და მოახლოებულ დაპირისპირებაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა. მოვუსმინოთ „ნერაძურის" ყოფილ დამრიგებელს, რომელიც საკმაოდ ვრცელი გახლდათ:

*„მილანური დერბი დიდი მოვლენაა და ამის უარყოფა სისულელეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ერთი თამაშით ერთბაშად რვა ქულას ვერ აიღებ. „ინტერი" გაცილებით სტაბილური და მძლავრია, ჩემი აზრით, სკუდეტოს სწორედ „ნერაძური" მოიპოვებს. მოურინიოს გუნდმა დიდი ფორა აიღო და სასწაული უნდა მოხდეს, რომ ეს სხვაობა გაანიავოს. რაშია „ინტერის" წარმატების საიდუმლო? - ცივსისხლიანობაში. ეს გუნდი გაცილებით იოლად უმკლავდება შედარებით სუსტ მეტოქეებს, ვიდრე „მილანი". პირდაპირ ვთქვათ, „მილანმა" ვერ ისწავლა საკუთარ საჯარიმოში გამაგრებული და დაცვაზე ორიენტირებული მეტოქის დამარცხება...*

*გარდა ამისა, „ინტერის" ძალა ზლატან იბრაჰიმოვიჩშია. ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც მარტოს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა. გოლის გასატანად მას არც პარტნიორი სჭირდება და არც მეტოქე მცველის შეცდომა, თავისას მაინც გააკეთებს. „ინტერის" მთავარი ძალა შვედის გოლებია, დიახ, ერთ ფეხბურთელს ძალიან ბევრი რამ შეუძლია და ჩემს სიტყვებში გასაკვირი არაფერია...*

*დიდი ფეხბურთელები ჰყავს „მილანსაც" და ეს ცხადზე ცხადია. პირადად მე, კაკას გამოვარჩევდი, ბრაზილიელი ყველასგან განსხვავებულია და მეტოქეთათვის ძალიან სახიფათოა. კაკა ყველაზე სწრაფი ფეხბურთელია, ვინც კი ოდესმე მინახავს. ნამდვილი ფენომენია რონალდინიო, უნიჭიერესია პატო, შეუდარებელი დირიჟორია პირლო, მაგრამ მათ ის ცივსისხლიანობა აკლიათ, რაც ზლატანს აქვს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ დღეს შვედი მსოფლიოს ნომერი პირველი ფეხბურთელია, „ინტერი" კი სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტი".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



გერმანიის ნაკრები

# ნორვეგიას გომესი და კლოზე შეუტევენ!

## დიტმარ ჰოპი ბუნდესგუნდს დაეხმარა....

**დღეს გერმანიის ნაკრები დიუსელდორფში ნორვეგიასთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი მოხარულია, რომ ნაკრებში დაბრუნდნენ მიხაელ ბალაკი და ტორსტენ ფრინგსი, რომლებსაც 2008 წლის მიწურულს მწვრთნელთან და ზოგადად გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელებთან ურთიერთობა გაუფუჭდათ, მაგრამ იოგიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ 2010 წლისთვის გუნდში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ფეხბურთელის ინტეგრირებას გეგმავს...**

გერმანიის ნაკრებში ნოვაციების კასკადი **იურგენ კლინსმანის** დაწყებულია. კლინსი ბუნდესგუნდს სათავეში 2004 წელს ჩაუდგა და როგორც გახსოვთ, თავიდანვე არაერთი გასაოცარი ნაბიჯი გადადგა. **იოახიმ ლიოვი** კი, რომელიც გერმანიის პირველ გუნდს 2006 წლის ზაფხულიდან წვრთნის, მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელია. უახლესი ნოვაცია ბუნდესგუნდის ახალი მონაცემთა ბაზაა. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უახლესი ბაზა ჟურნალისტებს ორშაბათს წარუდგინა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ბაზა სააქციო საზოგადოება „ინტერკომპონენტვარეს" დახმარებით შეიქმნა, რომლის უმთავრესი სპონსორი ბუნდესლიგის ლიდერი, „ჰოფენჰაიმის" მფლობელი, მილიარდერი მეცენატი **დიტმარ ჰოპია**...

*„ახალი მონაცემთა ბაზა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ჩვენი ფეხბურთელები 2010 წლის მუნდიალისთვის დღემდე არნახული, გრანდიოზული სისტემის მიხედვით მოვამზადოთ. ეს არის უახლესი ტექნოლოგია, რომელსაც პირველად სწორედ ბუნდესგუნდი გამოიყენებს,"* - განაცხადა ლიოვმა პრეზენტაციაზე. მონაცემთა ბაზის დახმარებით გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებზე ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება და ანალიზია შესაძლებელი. ასე რომ, გერმანიის ნაკრების მწვრთნელებსა და მესვეურებს ექნებათ იმის შესაძლებლობა, რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეამოწმონ ბუნდესფეხბურთელების მონაცემები, მიიღონ მათზე ამომწურავი ინფორმაცია ადგილზე ჩაუსვლელად. ბაზაში შევა ინფორმაცია ფეხბურთელებზე დაკვირვების შესახებ, მათი თამაშის სპეციალური ვიდეოანალიზი, შედეგები, სტატისტიკა და ხარისხის დიაგნოსტიკა. ამ პროექტს სათავეში ლიოვის პირველი ასისტენტი **ჰანსი ფლიკი** ჩაუდგა.

რაკი ფლიკი ვახსენეთ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ უკანასკნელის განცხადებით, გადაწყვეტილია, რომ ნორვეგიასთან მატჩში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ გერმანიის ნაკრების ახალწვეულები: „ვერდერის" ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** და „ჰოფენჰაიმის" მარჯვენა მცველი **ანდრეას ბეკი**.

ამასთან, ლიოვი მიესალმება იმ ფაქტს, რომ თემა „ფრინგსისა და ბალაკის სკანდალი" წარსულს ჩაჰბარდა. დღეს ორივე ფეხბურთელი ნაკრებში ვარჯიშობს. გეხსომებათ, 2008 წლის მიწურულს კაპიტანი და „ვერდერის" ნახევარმცველი ბუნდესმწვრთნელს აკრიტიკებდნენ და ნაკრებიდან წასვლაზე ლაპარაკობდნენ:

*„ტორსტენსა და მიხაელს გუნდში უდიდესი ავტორიტეტი აქვთ, მაგრამ პირველ რიგში მათთვისაა აუცილებელი ის, რომ უმაღლეს დონეზე თამაშობდნენ და საუკეთესო ფორმაში იყვნენ. ბალაკი და ფრინგსი ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის მისაბაძი მაგალითები არიან. სტატუსის შესანარჩუნებლად მათ უდიდესი თავდადება მართებთ, უნდა დაამტკიცონ, რომ ნამდვილი ლიდერები არიან. ორივე მათგანი გერმანიის ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ყველა გუნდს სჭირდება ასაკოვანი მოთამაშეები, რათა მათ ახალგაზრდებს გამოცდილება გაუზიარონ. მიხარია, რომ გაუგებრობა წარსულს ჩაჰბარდა და მიხაელი და ტორსტენი ისევ ჩვენთან არიან"!* - ასე ცდილობს ლიოვი ბალაკისა და ფრინგსის მოტივირებას.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლიოვმა განაცხადა, რომ ნორვეგიასთან, თავდასხმაში **მიროსლავ კლოზესა** და **მარიო გომესის** დუეტს ათამაშებს, კარში კი „ლევერკუზენის" კიპერი **რენე ადლერი** ჩადგება. როგორც იცით, ბუნდესნაკრებში გამოძახებულია „ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზეც**, სამაგიეროდ, ლიოვმა უარი თქვა „ჰანოვერის" გოლკიპერ **რობერტ ენკეზე**. იოგი ამბობს, ენკეს უკმაყოფილების საფუძველი ნამდვილად არ აქვს, მას მომდევნო მატჩებში აუცილებლად გამოვცდიო. ნორვეგიასთან მატჩისთვის კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გერმანიის კარს პირველიდან ბოლო წუთამდე ადლერი დაიცავს, ვიზე კი სათადარიგოთა სკამზე იქნება. ჟურნალისტებმა ლიოვს სთხოვეს, დაესახელებინა ფეხბურთელი, რომელიც დაცვის მარჯვენა ფლანგზე ითამაშებდა - **ანდრეას ჰინკელი** თუ დებიუტანტი ბეკი? იოგიმ თქვა, რომ ამას უშუალოდ მატჩის წინ გადაწყვეტს.

ასე რომ, გერმანიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა თითქმის გარკვეულია. გასარკვევია მხოლოდ მარჯვენა მცველის პოზიცია. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ თამაშს ჰინკელი (26 წლის, 18 მატჩი ბუნდესგუნდში) დაიწყებს და შესვენებაზე ბეკით (21/0) შეიცვლება, ან პირიქით.

ადლერმა, რომელსაც ბუნდესგუნდში ჯერ მხოლოდ 3 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ ნომერ პირველ მეკარედ მიიჩნევა, ბუნდესლიგის ბოლო ტურში ცუდად ითამაშა (2:4 „შტუტგარტთან"), მაგრამ ლიოვის თქმით, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ „ლევერკუზენის" კარის დარაჯმა ნორვეგიასთან მოედანზე 90 წუთი გაატაროს - მიუხედავად იმისა, რომ უკვე პარასკევს ადლერს ბუნდესლიგის მეოცე ტურის მატჩი უწევს, თანაც ისეთ მეტოქესთან, როგორიცაა „ჰოფენჰაიმი". ლიოვი ამბობს, ვიზემ ბოლო დროს ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ნაკრებში ამიტომაც გამოვიძახე, მაგრამ თუ რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი, 27 წლის ბრემენელი მეკარე (1 მატჩი ბუნდესგუნდში) ბოლომდე სკამზე დარჩებაო. ენკეს კი, ბუნდესმწვრთნელი ნაკრებში მარტიდან დააბრუნებს.

ზემოთაც ვწერდით, რომ დღევანდელ მატჩში სასტარტოში იასპარეზებს მარიო გომესი. მისთვის ეს ბუნდესგუნდში რიგით 21-ე თამაში იქნება. „შტუტგარტის" თავდამსხმელმა გუშინ დილით შეიტყო, რომ ნორვეგიასთან კლოზეს მეწყვილე სწორედ ის იქნება და არა „ლევერკუზენის" რომელიმე ფორვარდი, **შტეფან კისლინგი** ან **პატრიკ ჰელმესი**, რომლებიც ბუნდესნაკრებში ასევე გამოძახებულები არიან. მაგრამ ლიოვის თქმით, თავის გამოჩენის შანსი, სავარაუდოდ, ორივეს მიეცემა. 2008 წლის მეორე ნახევარში გომესმა გერმანიის ნაკრებში აბსოლუტურად ყველა თამაში ჩააგდო. შესაბამისად, ძალიან მოტივირებულია და ამბობს, ყველაფერი ნორვეგიასთან უნდა გამოვასწორო. მარიომ გერმანიის ნაკრების ქომაგებსა და ხელმძღვანელებს იმედები განსაკუთრებით ევროპის ჩემპიონატზე გაუცრუა, ბოლო დროს კი ბუნდესლიგაში საკმაოდ კარგად ასპარეზობს და საუკეთესო ბომბარდირთა სიაშიც გამოჩნდა (10 გოლი).

ბალაკი აუცილებლად სასტარტოში ითამაშებს, რასაც ვერ ვიტყვით ფრინგსზე, რომელსაც ლიოვი ძირითად შემადგენლობაში გამწესების გარანტიას ვერ აძლევს. მისი კონკურენტი ლევერკუზენელი **სიმონ როლფესია**. ტორსტენმა ინტერვიუებში იმედი გამოთქვა, რომ ლიოვი პირველი წუთებიდანვე ათამაშებდა. ლიოვი ამბობს, ფრინგსს ნამდვილად აქვს იმის საფუძველი, რომ იმედი იქონიოსო.

ბოლოს კი გერმანიის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა: **რ. ადლერი - ჰინკელი, მერტეზაკერი, ვესტერმანი, ლამი - ფრინგსი (ან როლფესი), ბალაკი - შვაინშტაიგერი, ტროხოვსკი - კლოზე, გომესი.**



დიტმარ ჰოპი და ბუნდესკაპიტანი მიხაელ ბალაკი. ჰოფენჰაიმის მფლობელი გერმანიის ნაკრებშიც გამოჩნდა

ბაიერნი




# კლინსმანი: ტონი ხელშეუხებელია!

## რიბერი: მიუნხენიდან ჯერ არ მივდივარ!

**მიროსლავ კლოზემ** ნავსი გატეხა და დორტმუნდის „ბორუსიასთან" მატჩში დუბლი შეასრულა, რითაც „ბაიერნმა" ბუნდესლიგის მეორე წრეში პირველი თამაშის მოგება შეძლო. *„დასახულ მიზანთან ძალიან ახლოს ვართ - რაც შეიძლება მალე უნდა გავხდეთ ლიდერები,"* - ასეთი იყო რეკორდმაისტერის თავკაც **იურგენ კლინსმანის** მატჩისშემდგომი კომენტარი.

მეორე დღეს კლინსმანმა და მისმა თანაშემწეებმა „დორტმუნდთან" მატჩი დაწვრილებით გააანალიზეს და გარდა იმ მომენტისა, როდესაც „ბაიერნმა" ნაადრევი გოლი გაუშვა (**მარტინ დემიკელისმა** დაუშვა შეცდომა), ყველაფრით კმაყოფილები დარჩნენ. ერთადერთი, რითაც კლინსი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე კმაყოფილი, ისევ და ისევ, შექმნილი საგოლე მომენტების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელია. რაკი კლოზემ „დორტმუნდთან" დუბლი შეასრულა, კრიტიკოსები ახლა **ლუკა ტონის** მისდგნენ, მაგრამ კლინსმანმა იტალიელი დაიცვა და მას აბსოლუტური ნდობა აღუთქვა. *„ტონი „ბაიერნისთვის" შეუცვლელი ფიგურაა, ბასტა! ლუკა ხელშეუხებელია!"* - განაცხადა კლინსიმ.

ბავარიელთა დამრიგებლის აზრით, ტონი გოლების გატანას მალე განაახლებს, მისი ფორმაში შესვლა მხოლოდ დროის ამბავიაო. საინტერესოა ის, რომ ტონიმ საფინალო სასტვენის შემდეგ კლოზეს ტაში არ დაუკრა. კლინსმანის აზრით, ამაში საგანგაშო არაფერია. *„ფაქტი ის არის, რომ კლოზეს და ტონის დუეტი იდეალურია და ჩვენ სხვა ალტერნატივა არც გვაქვს,"* - ამბობს რეკორდმაისტერის მწვრთნელი.

ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, უახლოეს მომავალში **ფრანკ რიბერიმ** „ბაიერნი" დატოვოს. ბავარიელთა ფრანგმა ლიდერმა პრესკონფერენცია გამართა და ყველანაირი ჭორი უარყო. რიბერიმ განაცხადა, რომ მიუნხენში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

*„მიუნხენში საკუთარი ადგილი ვიპოვე და არაერთხელ მითქვამს, რომ აქ თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობთ მეც და ჩემი ოჯახიც. ცხადია, როდესაც ვიგებ, რომ ჩემით „მილანი", „რეალი" ან „ბარსელონა" არიან დაინტერესებულები, ძალიან მიხარია და არ დაგიმალავთ, ვიწყებ ოცნებას, რომ ოდესმე ასეთ სუპერგრანდში თამაშის საშუალება მომეცემა. მაგრამ ეს იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ მზად ვარ, „ბაიერნიდან" გავიქცე. აქ ძალიან კარგად ვარ,"* - განაცხადა რიბერიმ. მისი თქმით, „ბაიერნიდან" მალე წასვლა გამორიცხულია: *„დღეს გუნდის გამოცვლაზე ერთი წამითაც არ ვფიქრობ. აქ ყველაფერი შესანიშნავია."*

რაც შეეხება მომავალს: რიბერი „ბაიერნის" ფანებს ვერ აძლევს გარანტიას, რომ კარიერას მიუნხენში დაასრულებს. *„არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. ჩემს კონტრაქტს ვადა 2011 წლამდე აქვს. რა მოხდება გაისად, მე კი არა, არავინ იცის!"* - აცხადებს ფრანგი „მიუნხენერ აბენდცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

„ბაიერნის" პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** კი სკეპტიკურადაა განწყობილი: *„დამისახელეთ თუნდაც ერთი ფეხბურთელი, რომელსაც „რეალში" გადასვლა არ უნდა. თუკი მადრიდელები რიბერის გადაბირებას მოისურვებენ, არა მგონია, რომ „ბაიერნს" მისი შენარჩუნების შანსი ჰქონდეს,"* - ამბობს კაიზერი.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ჰოლანდიური ამბები

# ისევ ფეიენოორდი და ბეენჰაკერი

## იბრაჰიმ აფელაი ნაკრებს დააკლდება

ორიოდე კვირის წინ **მარიო ბეენი** "ფეიენოორდის" წინადადებას დათანხმდა. მომავალი სეზონიდან ის როტერდამული კლუბის მთავარ მწვრთნელად იმუშავებს. „ფეიენოორდის" ხელმძღვანელობა საგაისო სამზადისს ამით არ ასრულებს. მას პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ლეო ბეენჰაკერის** კლუბში დაბრუნება სურს. ვეტერანმა სპეციალისტმა ტექნიკური დირექტორის პოსტი უნდა ჩაიბაროს. მოლაპარაკება დაწყებულია, მაგრამ მხარეებს შორის შეთანხმებას სასიკეთო პირი არ უჩანს. „ფეიენოორდის" ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, ბეენჰაკერმა კლუბისგან უსაშველოდ მაღალი ანაზღაურება მოითხოვა. ამასთან, მას „ფეიენოორდსა" და პოლონეთის ნაკრებში სამსახურების შეთავსება უნდა, რაც ჰოლანდიურ მხარეს დამატებით პრობლემას უქმნის.

ბეენჰაკერის მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა **გჟეგოშ ლატომ:**

*„ბეენჰაკერმა მითხრა, რომ ის „ფეიენოორდს" მხოლოდ თავისუფალ დროს დაუთმობს. ასეთ შემთხვევაში, მას თავისუფლად შეეძლება ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდში დარჩენა. ბეენჰაკერმა შემატყობინა, რომ როტერდამელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ჩვენ რამდენიმე დღეში შევხვდებით და ყველაფერზე დეტალურად ვილაპარაკებთ..."*

„ფეიენოორდში", გარდა სამწვრთნელო კრიზისისა, ტრავმების ეპიდემიაც მძვინვარებდა. სიტუაცია იმდენად მძიმე იყო, რომ ყოფილმა დამრიგებელმა **გეტრან ფერბეეკმა** გუნდის მთავარი ექიმიც კი გაათავისუფლა. საკადრო კრიზისთან ერთად, გუნდში აშკარად მოიკოჭლებს დისციპლინაც. და აი, გუნდის მორიგი დანაკარგი: „ფეიენოორდის" 19 წლის მცველი **ნორიჩიო ნიეველდი** „გრონინგენთან" სადებიუტო შეხვედრაში პირველი ტაიმის 42-ე წუთზევე გააძევეს. ჰოლანდიის საფეხბურთო კავშირმა განიხილა წითელი ბარათის მართებულობა და დაასკვნა, რომ მატჩის მთავარმა არბიტრმა კანონის ფარგლებში იმოქმედა. ფეხბურთელმა სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. მან სასჯელი სტუმართა თავდამსხმელის, **კოენ ვან დე ლააკის** წინააღმდეგ უხეშობისათვის დაიმსახურა. 15 თებერვალს, „ამსტერდამ არენაზე", "ფეიენოორდს" გამოცდილი **კევინ ჰოფლანდიც** დააკლდება. ამ უკანასკნელმა „გრონინგენთან" მატჩისას მეხუთე ყვითელი დაიმსახურა და ავტომატური ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერა...

გადავინაცვლოთ „ეინდჰოვენის" ბანაკში. კლუბის ერთ-ერთ ლიდერს, **იბრაჰიმ აფელაის** ჰოლანდიისა და ტუნისის ნაკრებების ამხანაგური მატჩი გაუცდება. ფეხბურთელი ერედივიზიონის ბოლო ტურში, „ვოლენდამთან" შეხვედრისას დაშავდა. მატჩის ბოლო წუთებზე მასპინძელთა თავდამსხმელმა **ჯეკ ტაიპმა** იბრაჰიმის წინააღმდეგ სასტიკად იუხეშა, რისთვისაც წითელი ბარათი აუფრიალეს. ტაიპმა მიზანს მიაღწია, აფელაიმ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. აი, კომენტარი, რომელიც იბრაჰიმმა "ვოლენდამთან" ნამატჩევს გააკეთა: *„ტერფი ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე მაწუხებდა. მეორე ტაიმში უხეშად მომექცნენ და ტკივილი აუტანელი გახდა. ტრავმის სირთულეზე ვერაფერს მოგახსენებთ. პროგნოზებისაგან თავს შევიკავებ. ჯანმრთელობის გარისკვა ნამდვილად არ მინდა. სჯობს, ცოტა ხანი შესვენება ავიღო..."* აქვე გეტყვით, რომ აფელაის გარდა, **ბერტ ვან მარვიიკს დემი დე ზეეუვი და გრეგორი ვან დერ ვილიც** ვერ დაეხმარებიან.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო ბეენჰაკერი, პოლონეთის გარდა, ფეიენოორდში მუშაობასაც აპირებს



ემანუელ ადებაიორი

ინგლისური ამბები

# არსენალს კლიში და ადებაიორი გამოაკლდნენ

## რაიტ-ფილიპსს ფეხის გაქნევა სამმატჩიან სასჯელად დაუჯდა

„არსენალის" თავდამსხმელი **ემანუელ ადებაიორი** „ტოტენჰემთან" მატჩისას დაიმტვრა. მას მინიმუმ სამი კვირა გაუცდებაო, გვამცნობს ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი. ადებაიორმა მუხლი მატჩის 35-ე წუთზე იტკინა. იმ წუთას მას არავინ შეხებია. ემანუელი ბურთისაკენ მირბოდა, როცა აუტანელი ტკივილი იგრძნო. ტოგოელი მინდორზე მოწყვეტით დაეცა. მის ნაცვლად თამაშში დანიელი **ნიკლას ბენდტნერი** ჩაერთო. ადებაიორს, სავარაუდოდ, სამ შეხვედრაში ვერ ვიხილავთ - 16 თებერვალს ინგლისის თასზე „კარდიფ სიტის" წინააღმდეგ, 21 თებერვალს პრემიერლიგაში „სანდერლენდთან" და 24-ში ჩემპიონთა ლიგაში „რომასთან". **არსენ ვენგერის** განცხადებით, ტოგოელის გამოკლება გუნდისთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ „არსენალს" მის შესაცვლელად სათანადო რესურსები გააჩნია. "მეთოფეთა" განკარგულებაში არიან: **ველა**, ბენდტნერი, **ედუარდო, არშავინი** და **ვან პერსი**.

ადებაიორის გარდა, გუნდს გარკვეული დროით ჩამოშორდა ფრანგი **გაელ კლიშიც**. ისიც „ტოტენჰემთან" მატჩში, **დარენ ბენტთან** შეჯახებისას დაშავდა. როგორც ექიმებმა დაასკვნეს, მას ტვინის შერყევა აქვს. შესაბამისად, საფრანგეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **რაიმონ დომენეკს** 11 თებერვალს, არგენტინასთან შეხვედრაში მისი იმედი ველარ ექნება. აქვე გეტყვით, რომ „სამფეროვანთა" თავკაცმა მის ნაცვლად „ლიონის" ცენტრალური მცველი **ჟან ალენ ბუმსონგი** გამოიძახა.

**შონ რაიტ-ფილიპსს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ის „პორტსმუთის" (14 თებერვალი), „ლივერპულისა (22 თებერვალი)" და „ვესტ ჰემის" (1 მარტი) წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, თუმცა ამ მატჩებს შორის შუალედებში თავის გუნდს უეფას თასზე, „კოპენჰაგენთან" ორრაუნდიან შეხვედრაში დაეხმარება. „სტოკ სიტისთან" მატჩისას, რაიტ-ფილიპსმა ირლანდიელი **რორი დელაპის** წინააღმდეგ იუხეშა (დელაპმა რაიტ-ფილიპსი წააქცია, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს, რაიტ-ფილიპსმა კი მეტოქეს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ წიხლი უთავაზა). შეხვედრის არბიტრმა **მარტინ ატკინსონმა** განაცხადა, მისი საქციელი რომ დამენახა, დაუფიქრებლად წითელ ბარათს ვუჩვენებდიო. „მანჩესტერ სიტის" კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, თუმცა კლუბი ფეხბურთელის დისკვალიფიკაციას, სავარაუდოდ, არ გააპროტესტებს...

„ლივერპულის" ცენტრალური მცველის **დანიელ აგერის** აგენტმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს მისმა კლიენტმა კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტა. აღნიშნული ხმები შაბათს გავრცელდა. გამოქვეყნდა, ვითომდა, ახალი კონტრაქტის დეტალებიც. ამ ინფორმაციის თანახმად, „ლივერპულმა" ფეხბურთელს კვირაში 70 ათასი გირვანქა შესთავაზა, რაც დანიელის დღევანდელ ხელფასთან შედარებით, ორჯერ მეტია. *„ხმები თითიდან გამოწოვილს ჰგავს. არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა. მეტიც, ჩემი კლიენტის მომავალზე მე თვითონაც კი ვერაფერს გეტყვით,"* - განუცხადა აგერის აგენტმა **პერ სტეფენსენმა** "დეილი მეილს"...

ზაფხულის ტრანსფერებისას, „ტოტენჰემმა", შეიძლება, ნატვრა აიხდინოს და მაღალი კლასის ინგლისელი მეკარე იყიდოს. **ჰარი რედნაპი** ბრაზილიელი **ეურელიო გომესის** ასპარეზობით უკმაყოფილოა. „მამლებმა" ექვსთვიანი იჯარით „ჩელსის" იტალიელი მეკარე, **კარლო კუდიჩინი** გადაიბირეს, თუმცა ზაფხულში ის ალბათ „სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნდება. კუდიჩინის ასაკი ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმების საშუალებას არ იძლევა. ის უკვე 36 წლის გახლავთ.

რედნაპმა მზერა „მანჩესტერ სიტის" მიაპყრო. მას მერე, რაც "ქალაქელებმა" „ნიუკასლიდან" **შეი გივენი** იყიდეს, მათ გუნდში სამმა მაღალი დონის მეკარემ მოიყარა თავი. საუბარია **ჯო ჰარტზე, კასპარ შმაიხელსა** და გივენზე. ახალგაზრდა გოლკიპერებს ირლანდიელთან შანსი არ აქვთ. რედნაპს სწორედ ამით სურს, ისარგებლოს. მას „მანჩესტერ სიტიდან" ჰარტის წაყვანა უნდა. არ გვგონია, ჯო ამ გარიგების წინააღმდეგი წავიდეს. ის ხომ სკამზე ჯდომით **ფაბიო კაპელოს** ყურადღების მიღმა რჩება.

„ტოტენჰემი"-"არსენალის" დერბიში ერთი ფეხბურთელი „მამლებსაც" გამოაკლდათ. დაშავდა **აარონ ლენონი**. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავკაც **სტიუარტ პირსს** ის ეკვადორთან სათამაშოდ გამოძახებული ჰყავდა. შეხვედრა გუშინ ჩატარდა და რა თქმა უნდა, ლენონის გარეშე. აარონს საზარდული აწუხებს. მისი მინდორზე დაბრუნების თარიღი უცნობია.

ფრანგული ამბები

# ფრედმა პალმეირასი იუარა

## რას იტყვის თავდამსხმელი ფლუმინენსეზე?

სატრანსფერო ფანჯარა ისე დაიხურა, რომ „ლიონის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ფრედმა** სამსახურის შეცვლა ვერ მოასწრო. უნდა ვივარაუდოთ, რომ სეზონის ბოლომდე ის „სტად ჟერლანზე" დარჩება, თუმცა თუ შინ დაბრუნებას მოინდომებს, ბრაზილიურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება აპრილის ბოლომდეც კი შეუძლია. ამიტომ ფეხბურთელის ტრანსფერზე სპეკულაციები არა და არ წყდება.

ფრანგი მიმომხილველები ეჭვობენ, ფრედს ბრაზილიაში გამგზავრება მოუწიოს. მას ევროპაშიც საკმარისად ბევრი მსურველი ჰყავს. ევროპული კლუბები თადარიგს იჭერენ და უკვე დღეიდან ცდილობენ ფეხბურთელის დაბევებას. მაგრამ ფრედს რატომღაც არც ერთი მათგანი არ მოსდის თვალში. რა გასაკვირია: „ლიონი" ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდია. ფეხბურთელს დიახაც სურს, „ლიონის" შემდეგ კვლავ რომელიმე გრანდში მოსინჯოს ძალა, მაგრამ მას უმთავრესად მეორე ეშელონის კლუბები იწვევენ, თვით იმის მიუხედავად, რომ სეზონის ბოლოს ფრედი თავისუფალი აგენტი ხდება და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს მისი ხელში ჩაგდება უფასოდ შეეძლება.

იანვარში მისი შეძენა „ტოტენჰემს" სურდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც **ჯერმეინ დეფო** და **რობი კინი** დაიბრუნა, ინტერესი გაუნელდა. ახლახან ირკვევა, რომ რამდენიმე დღის წინ ფრედს „პალმეირასში" გადასვლის რეალური შანსი ჰქონდა. კლუბები უკვე შეთანხმდნენ კიდეც, მაგრამ ფრედმა კონტრაქტზე ხელის მოწერა იუარა. ფრედის კვალიფიკაციაში ეჭვის შეტანა ძნელია, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ფეხბურთელი ცუდ სეზონს ატარებს. სტატისტიკა კოშმარულია - 15 თამაშში მხოლოდ ორი გოლი და ერთადერთი საგოლე გადაცემა...

ლიონიდან ნანტს მივაშუროთ. ადგილობრივი კლუბი 2016 წლისათვის ახალი სტადიონის აშენებას გეგმავს. „იადონების" ახლანდელი საშინაო არენა „ლუი ფონტენ ლა ბოჟუარი" 1984 წელს გაიხსნა და ის თანამედროვე მოთხოვნილებებს ველარ აკმაყოფილებს. თუ ქალაქის ახალი სტადიონის მშენებლობა გეგმის მიხედვით წარიმართება და თუ საფრანგეთი ევრო 2016 წლის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს (ის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტია), , ტურნირის მატჩები, შესაძლოა, ნანტშიც გაიმართოს. კლუბი ქალაქის ხელმძღვანელობასთან ამ საკითხზე ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავს...

ახლა ვნახოთ, რა ხდება დედაქალაქში. „პარი სენ ჟერმენმა" სერბი თავდამსხმელი **მატეა კეჟმანი** ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი ფეხბურთელის უდისციპლინობაა. მოგეხსენებათ, 4 თებერვალს პარიზში, ლიგის თასის მატჩი გაიმართა. „სენ ჟერმენმა" „ბორდოსთან" ვერაფერი გააწყო, 0:3. მთავარმა მწვრთნელმა **პოლ ლე გუენმა** კეჟმანი 59-ე წუთზე შეცვალა. მატეას ამ გადაწყვეტილებაზე არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა. მინდვრიდან გასვლისას მან მაისური უხეშად მოისროლა. კლუბის ხელმძღვანელთა რეაქციამ არ დააყოვნა. ფეხბურთელს საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ნანტის" წინააღმდეგ არ უთამაშია. ის ჩემპიონატის კიდევ ორ თამაშსა („სენტ ეტიენსა" და „გრენობლთან") და უეფას თასის ერთ შეხვედრას გამოტოვებს („ვოლფსბურგთან" შინ). *„ამის შემდეგ მან უნდა დაგვიმტკიცოს, რომ „პარი სენ ჟერმენში" თამაშის ღირსია,"* - ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

და კიდევ ერთი ინფორმაცია პარიზელთა ბანაკიდან. „რეალის" მცველმა **გაბრიელ ჰაინცემ** ფრანგების წინადადებაზე თავაზიანი უარი განაცხადა. შეგახსენებთ, რომ 2001/04 წლებში ის უკვე იცავდა „სენ ჟერმენის"ღირსებას, თუმცა იქიდან ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა, ხოლო შემდეგ მადრიდის „რეალში" დაიდო ბინა. ჰაინცე ამბობს, რომ „პარი სენ ჟერმენის" წარმომადგენლებთან არ უსაუბრია. ის არ მალავს, რომ ამ ეტაპზე მადრიდიდან აბარგება გამორიცხულია, თუმცა ოდესმე პარიზში დაბრუნებაზე აუცილებლად იფიქრებს. არგენტინელ ლეგიონერს „რეალთან" კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



ჯერჯერობით ფრედი ლიონში რჩება

(გაგრძელება)

სულ უფრო ხშირად ვფიქრობ იტალიაში გადაბარგებაზე. რა თქმა უნდა, ფინანსური ფაქტორიც გასათვალისწინებელია, მით უმეტეს, რომ საკუთარ კარიერაზე სულ უფრო ხშირად ვფიქრობ. ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ფეხბურთში ყოფნა, შესაძლოა, საკმაოდ მცირე ხანი გაგრძელდეს. „ლივერპულის“ წამყვანი მოთამაშე **კევინ კიგანი** სწორედ ფინანსური მოსაზრებებითა და მაღალ გადასახადებთან დაკავშირებული პრობლემების გამო გახდა იძულებული დაეტოვებინა ინგლისი და „ჰამბურგში“ წასულიყო სათამაშოდ. მაგრამ მხოლოდ ფინანსური მიზეზის გამო არ მსურს ლონდონის „არსენალისა“ და „ტოტენჰემის“ წინადადებებს გამოვეხმაურო, დავჯდე საზღვაო ბორანზე და ლა მანში იმ მიმართულებით გადავცურო, რომლის საპირისპირო გეზიც კევინ კიგანმა აირჩია.

მაგრამ საფრანგეთში დავბრუნდეთ.

**კლოდ კიუნი** სამართლიანად თვლის, რომ „ნანსი-ლოტარინგიას“ განსაკუთრებული უფლებები გააჩნია ისეთ ფეხბურთელზე, როგორიც **მიშელ პლატინია.**

დრო და დრო აუდიტორიის გასახალისებლად რეპლიკებს ვისვრი.

ინტერვიუერი: - „ნანსის“ გარდა, რომელ ფრანგულ კლუბში ხართ მზად სათამაშოდ?

მე: - უპირატესობას ვანიჭებ კლუბებს, სადაც ის ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც მე მიყვარს, სადაც ისეთი პუბლიკაა, რომელიც მომწონს და სადაც ისეთი სტადიონია, სადაც თამაში მაწყობს...

ინტერვიუერი: - „ნანსის“ თუ არ ჩავთვლით, რამდენი კლუბი გაქვთ შერჩეული?

მე: - ცხრამეტი!

ჟურნალისტები თავებს ხრიან, ცხვირებს ბლოკნოტებში ყოფენ და სწრაფად ინიშნავენ ჩემს ფრაზებს...

იქვე სერიოზულ ლაპარაკს ვიწყებ და მათ ვატყობინებ, რომ ჩემით მართლაც არის დაინტერესებული ოთხი-ხუთი კლუბი, რომლებიც ქვეყნის ჩემპიონის ტიტულზე აცხადებენ პრეტენზიას, ამას ემატება სამი-ოთხი გუნდი - ისინი მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძვიან, მაგრამ თანხებისა და ამბიციების მხრივ არავის ჩამოუვარდებიან. თითქოს ტოტალიზატორში თამაშობენო, ჟურნალისტებმა ჩემი „ფავორიტი“ კლუბების სია შეადგინეს: „სტრასბური“, „მონაკო“, „ბორდო“, „ნანტი“, „პარი სენჟერმენი“, „პარიზი“, „მარსელი“, „ნიცა“ და რა თქმა უნდა, „სენტ ეტიენი“.

„მწვანეების“ ხსენებისას ვიგრძენი, როგორ აენთო გამოცდილი რეპორტიორების თვალები. გლაზგოს 1976 წლის ფინალის ეფექტი ჯერაც მუშაობს. დღეს „სენტ ეტიენი“ - ორმაგად ფრანგული კლუბია. მას მთელ ქვეყანაში მიმოფანტული 42 ფილიალი აქვს. 42 „მწვანე“ ბაზა. კლუბში სულ 6 ათასი წევრი ირიცხება. „სენტ ეტიენის“ პრეზიდენტ **როშეს** თამამი ოცნება აქვს - მას სურს ეს რიცხვი 10 ათასამდე აიყვანოს. დიდი ინგლისური კლუბების - „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დარად, უნდა თავისი გუნდიც ევროპულ გრანდად აქციოს. და ის ამ ფრონტზე გარკვეულ წარმატებას აღწევს. როშე დაჟინებით გამოთქვამს სურვილს, რომ მე ამ ფრანგული კლუბის საზეიმო ფორმა ჩავიცვა, რომელზეც სიმბოლური პირველი ნომერი იქნება გამოსახული.

ამასთან, უამრავ წერილს ვიღებ. ყოველი მხრიდან მეხმიანებიან. მთელი ქვეყნიდან - ობენასიდან სენ-სიურ-მერამდე, ორილაკიდან ბანოლ-სიურ-სეზამდე, კოლმარიდან კომპიენამდე .. ამ წერილებში ერთადერთი სურვილია გამოხატული: „პლატინი - „სენტ ეტიენში“. „ნანსის“ გულშემატკივრებიც მირჩევენ გავაკეთო „ბრწყინვალე არჩევანი საფრანგეთის სასარგებლოდ“.

გარდა ამისა, „სენტ ეტიენის“ თაყვანისმცემელთა რიგებში უამრავი მეგობარი მყავს. ბევრი მათგანი პრესაში მუშაობს - „ეკიპში“, „ფიგაროში“, „ჟურნალ დე დიმანშში“, მაგრამ უმეტესობა ტელევიზიასა და რადიოს წარმოადგენს. არც ერთი მატჩის შემდგომი ინტერვიუ ისე არ ჩაივლის, რომ „მწვანეთა რაზმში“ ჩემს სავარაუდო ჩარიცხვას არ გაუკეთონ აგიტაცია.

ჟურნალისტების ეს ოდნავ „თავხედური“, მაგრამ ამავდროულად კეთილი სურვილი ერთგვარი რეფერენდუმით გაამყარეს - გაზეთმა FOOT-2-მა 1979 წლის 27 აპრილს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა.

აი, მოკლედ მისი შედეგები: მკითხველთა 94.7 პროცენტი ეწინააღმდეგება ჩემს საზღვარგარეთ გამგზავრებას; 49.88 პროცენტი „სენტ ეტიენში“ მიშვებს (13.99 პროცენტი „ნანტში“ გადასვლას უჭერს მხარს, თუმცა **ანრი მიშელმა** მიმანიშნა, რომ იქ არავინ მელის).

ეს უკვე მეტისმეტია. მსგავსი შეტყობინება **რობერ ერბენს** აიძულებს აუზიდან ამოვიდეს და საჩოგბურთო კორტი მიატოვოს. როჟე როშე ჩვენს პირველ სატელეფონო საუბარს ესწრება, რომელშიც ერბენი ასეთი სიტყვებით ხსნის თავის თანხმობას: *„რადგან ასი ფრანგიდან ორმოცდაათი თვლის, რომ პლატინი „სენტ ეტიენში“ უნდა გადავიდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მიშელს ავიყვანთ“.*




არანაკლები წონა ჰქონდა როშეს განცხადებას, რომელიც მაშინ ურყევი მორალური ავტორიტეტით სარგებლობდა: *„პლატინი ფრანგული სპორტის საკუთრებაა. აუცილებელია, რომ ის ჩვენ შორის დარჩეს. „სენტ ეტიენი“ მას სამუშაოს მოუნახავს“.*

ერთი თვის შემდეგ, 29 მაისს, როჟე როშე პირად თვითმფრინავში ჩაჯდა, თავისი განთქმული აგენტის **პიერ გარონერის** თანხლებით ჩემი სახლის კარებს მოადგა და ზარს დარეკა. მის შავ პორტფელში კონტრაქტი დევს, რომელმაც ჩემი ბედი „მწვანეებს“ უნდა დაუკავშიროს. ორი წლით. ეს ტრანსფერი რა თქმა უნდა, სამუდამოდ დარჩება ფეხბურთის ისტორიაში.

## ეს სასაცილო პრეზიდენტი

მიუხედავად იმისა, რომ „ნანსის“ თავისი არსებობის ისტორიაში პირველი ეროვნული ტიტული მოვაპოვებინე, კლუბის პრეზიდენტი კიუნი საკმაოდ ცივად მეპყრობა. ასე გრძელდება 1978 წლის 1 თებერვლიდან - უკვე სამთვენახევარია.

და აი, ძალა მოვიკრიბე და კლუბის ხელმძღვანელობას მშვიდი, ოფიციალური ტონით განვუცხადე, რომ არ ვაპირებ მათთან კონტრაქტის გაგრძელებას. იმ კონტრაქტისა, რომლის მიხედვითაც „ნანსისთან“ კიდევ 18 თვე ვიქნები დაკავშირებული.

კიუნი დიდი გაჭირებით იკავებს აღშფოთებას და ღალატში მადანაშაულებს. მაგრამ მას იმედი აქვს, რომ გამიჭირდება ცდუნების გადალახვა. ის ფიქრობს, რომ ვერ შევძლებ მშობლიურ საკლუბო მაისურთან, მეგობრებთან, ახლობლებთან, მშობლებთან, ნაცნობ ატმოსფეროსთან გამოთხოვებას. მას იმედი აქვს, რომ ველენში მშენებარე სახლი, რომელიც ჩემი პირველი რეკლამიდან მიღებული ფულითა და 300 ათასი ფრანკის ოდენობის საბანკო კრედიტით შევიძინე, მაინც დამტოვებს ლოტარინგიაში.

მაგრამ მე უკვე გამოვაცხადე საბოლოო გადაწყვეტილება. ასეთი იყო ჩემი სურვილი. თუმცა ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი, რამდენად სწრაფად იზრდებოდა ჩემი რეპუტაცია. ვერც კი ვივარაუდებდი, რომ ჩემს ცხოვრებაში სულ მცირედი ცვლილება ასეთ დიდ რეაქციას გამოიწვევდა.

ჩემი მომავალი სპორტული კარიერის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კონტრაქტის ამოწურვამდე დიდი ხნით ადრე აუცილებლობად ჩავთვალე „ნანსის“ ხელმძღვანელობისთვის ჩემი არჩევანის შესახებ მეცნობებინა. ჩვეულებრივ, პროფესიონალებს შორის ასეთი გაფრთხილება კლუბთან დაშორებიდან ორი თვით ადრე ხდება ხოლმე. მე კი ამის შესახებ კლუბს წელიწადნახევრით ადრე ვაცნობე!

შვიდწლიანი ერთგული სამსახურის შემდეგ ვერავინ ამიკრძალავდა გარემოს შეცვლასა და სხვაგან ძალების მოსინჯვას. კონტრაქტს მკაცრად განსაზღვრული ვადა აქვს და არ ითვალისწინებს თანამშრომლობის უცილობლად გახანგრძლივებას.

კლუბმა თავისი უკმაყოფილება არ დამალა. მანვე საზოგადოებას აუწყა, რომ კონტრაქტის გაფორმებას იმის გამო არ ვაპირებ, რომ სხვა სარფიანი წინადადებები მივიღე, მათ შორის უცხოური კლუბებიდან.

ყველამ მზერა კატალონიას მიაპყრო, კერძოდ, „ბარსელონას“. ამ გუნდის ჰოლანდიელი ლეგენდა, „აიაქსის“ რიგებში ჩემპიონთა თასის სამგზის გამარჯვებული, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი **იოჰან კრუიფი**, ფაქტობრივად, ასრულებდა თავის ესპანურ კარიერას. თანხასაც კი ასახელებდნენ: 82 მილიონი პესეტა იმას, ვინც კრუიფს შეცვლის. რა თქმა უნდა, მე მგულისხმობდნენ.

შემდეგ გამოჩნდა „ვალენსიის“, მადრიდის „რეალის“ ვარიანტები. „ნანსი“ მარსელში თამაშობდა, როცა ჩემი ტრანსფერის შესახებ დებატებმა თავის აპოგეას მიაღწია. მატჩის ორი ყველაზე ყურადღებიანი მაყურებელი მოხერხებულად მოკალათდა სტუმრების ტრიბუნის პირველ რიგში: „ვალენსიის“ პრეზიდენტი **კოსტა რამოსი** და ამ გუნდის ფრანგი მწვრთნელი - **მარსელ დომინგო.**



*(გაგრძელება იქნება)*

გია **თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი | ერთა თასი



# გერმანია გავიარეთ, შემდეგი პორტუგალიაა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი მატჩისთვის მზადებას შეუდგა. ბორჯღალოსნების მომდევნო მეტოქე პორტუგალიის ეროვნული ნაკრები იქნება. ჩვენი ნაკრები სასტუმრო „ვარაზში" დაბანაკდა და „შევარდენის" სანაკრებო რაგბის ბაზაზე ორჯერად ვარჯიშებს მართავს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა პირველ შეხვედრაში სტუმრად გერმანიის ეროვნული გუნდი 38:5 დაამარცხა. ჰაიდელბერგში მოთამაშე შემადგენლობიდან პორტუგალიის წინააღმდეგ ტრავმის გამო შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** ვერ ითამაშებს. მის ნაცვლად ნაკრების ავსტრალიელმა მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ტულონის" პირველხაზელი, **დავით ქუბრიაშვილი** იხმო.

მომავალი მეტოქე კი, რომელიც შინ დამარცხდა რუსეთის ნაკრებთან - 14:18, ლისაბონში ემზადება. პორტუგალიელებმა ასპარეზობა წარუმატებლად დაიწყეს და რეაბილიტირებას საკუთარი გულშემატკივრის თვალში თბილისში შეეცდებიან.

„ლობუშების" მთავარმა მწვრთნელმა, პროფესორმა **ტომაშ მორაიშმა** საწვრთნელ შეკრებაზე 31 მორაგბეს უხმო. მათ შორისაა ყველა ის მოთამაშეც, რომლებმაც რუსების წინააღმდეგ იასპარეზეს. უნდა აღინიშნოს, რომ პორტუგალიელებმა რუსებთან ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგეს. საქართველოს ნაკრებისთვის კი, 2005 წლის შემდეგ აღარ მოუგია.

საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებების შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე შაბათს, 16 საათზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: **დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), გოდერძი შველიძე (მონტობანი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი).**

მეორე ხაზი: **ილია ზედგინიძე (ექსი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), კახაბერ უჩავა (ფარული).**

მესამე ხაზი: **რატი ურუშაძე (ენისეი), გია ლაბაძე (ტულონი), გიორგი ჩხაიძე (მეტრო რასინგი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (მორლაა).**

№9: **ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).**

№10: **ლაშა მალაღურაძე (ბეზიე).**

№12-13: **ირაკლი გიორგაძე (დაქსი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ენისეი).**

№11-14: **ირაკლი მაჩხანელი (აჟენი), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).**

№15: **ოთარ ბარკალაია (ანდორა), მერაბ კვირიკაშვილი (მასი).**

**პორტუგალიის ნაკრები**

**ჟოაო კორეია, ჟორჟე სეგურადო, სალვადორ პალჰა, ანტონიო აგილარი, ვასკო უვა, ედუარდო აკოსტა, პედრო ლეალი (ყველა დირეიტო), პედრო სილვა, დავიდ მატეუში, ჟოაო უვა, დიოგო მატეუში, ვალტერ ჟორჟე, დიოგო მირანდა (ყველა ბელენენსეში), ბერნარდო დუარტე, დუარტე პინტუ, ფრანსისკო მირა, ჟუან სევერინო, როდრიგო საკადურა (ყველა აგრონომია), გონსალო ფორო, ჟოაო ჟუნიორი, დიოგო ფიალჰო, ფრედერიკო ოლივეირა (ყველა კდულ), ნუნო ტაფული (ტექნიკო), დავიდ პენალვა, კრისტიან სპაშუკი (ორივე ოში), გონსალო უვა (მონპელიე), ჟუან მურე (სენ ნაზერი), ჟოზე პინტუ (რომა), პედრო კაბრალი, ტიაგო გირაო, დიოგო გამა (ყველა მადრიდი).**

ბესიკ ჯანგავაძე

კალათბურთი | ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# მეოთხე პერიოდშიც რომ მეთამაშა, სამმაგ დუბლამდე ავიდოდი

სექტემბრის ბოლოს, საქართველოს ნაკრების მატჩების მოსტუმრების შემდეგ ვიქტორ სანიკიძემ მითხრა: ორი ვარიანტი მაქვს – საბერძნეთის აეკ-ი და ესტონეთის "ტარტუ როკი" მეპატიჟებაო. ვუთხარი: გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო, მაგრამ მე "ტარტუს" გირჩევ-მეთქი.

ვიქტორსაც გული ესტონეთისკენ მიუწევდა, რადგან ჩრდილოეთში მეგობარი, გიორგი ცინცაძე ელოდა და სათამაშო დროც აეკ-თან შედარებით მეტი უნდა ჰქონოდა.

5 ოქტომბერს სანიკიძემ "ტარტუ როკის" მაისურა პირველად მოირგო, თუმცა საქმე ისე არ აეწყო, როგორც წინასწარ გვეგონა. მწვრთნელი, ულარ კერდე ვიქტორს კი ენდობოდა, მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან შეჰყავდა და 15-20 წუთს რეგულარულად ათამაშებდა (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, როცა მწვრთნელმა იგი მოედანზე საერთოდ არ გაიყვანა), თუმცა ასეთ პირობებში სანიკიძე შესაძლებლობებს სრულად ვერ ავლენდა. მას ხომ მანამდე, ნაკრებში თითქმის ყოველ მატჩში ორმაგი დუბლი ჰქონდა...

იანვარში "ტარტუ როკში" განხორციელდა ცვლილება, რომლის შედეგად მთავარ მწვრთნელად ახალგაზრდა ინდრიკ ვესპაანუ დაინიშნა. სწორედ მის ხელში გაიხსნა სრულად ვიქტორი, რომელმაც სასტარტო შემადგენლობაში დაიდო ბინა და ბოლო 4 მატჩში სამი ორმაგი დუბლი მიითვალა. ამასწინანდელ შეხვედრაში, ტტუ-სთან "დაბლ-დაბლი" ვერ გამოაცხო, მაგრამ 20-ქულიან ბარიერს მაინც ასცდა – 22 ქულა ჩააგდო.

როგორც თავად კალათბურთელმა გვითხრა, სანიკიძის სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრება მწვრთნელის შეცვლასთან ერთად, კონკრეტული შემთხვევის "ბრალიცაა". ამ და სხვა საკითხებზე თავად მოგვითხრობს ვიქტორი, რომელსაც ესტონეთში შევეხმიანეთ.

**- ბოლო მატჩებში მითვლილი ორმაგი დუბლებით თუ ვიმსჯელებთ, "როკში" საბოლოოდ გაიხსენი.**

- ასეა. აქ თავს კარგად ვგრძნობ. გუნდში ჩემი მეგობარი, გიორგი ცინცაძე დამხვდა და ადაპტაცია არ გამჭირვებია.

**- შესაძლებლობები სრულად მწვრთნელის ცვლილების შემდეგ გამოამჟღავნე...**

- ახალი მწვრთნელი ინდრიკ ვესპაანუ ახალგაზრდაა და ბევრი სიახლე შემოიტანა. მის შრომას შედეგიც მოაქვს. ვესპაანუს წინამორბედი ერთგვარად ძველმოდური ტაქტიკით გვათამაშებდა და რამდენად კარგადაც უნდა გავრჯილიყავი, ჩემით მაინც უკმაყოფილო იყო. მაგრამ მხოლოდ მწვრთნელის ცვლილებამ როდი განაპირობა ჩემი სასტარტო ხუთეულში დამკვიდრება...

**- ?**

- თავიდან, ბოლომდე არც ახალი მწვრთნელი მენდობოდა. ისიც სათადარიგოდ მათამაშებდა, თუმცა დაგვემტვრა ერთი კალათბურთელი, რომლის ადგილიც სასტარტო შემადგენლობაში მე დავიკავე. მეტი ნდობის პირობებში კარგად ავთამაშდი და ჩემს შესაძლებლობებში მწვრთნელიც დავარწმუნე. ამის შემდეგ ტრავმირებული თანაგუნდელიც მომჯობინდა, მაგრამ ვესპაანუმ ტაქტიკა შეცვალა და მის გვერდით სასტარტოში მე ვთამაშობ.

**- რომელ კალათბურთელზე საუბრობ?**

- მარეკ დორონინზე. იგი კლუბის პრეზიდენტის სიძეცაა და კარგი კალათბურთელიც.

**- ზოგიერთი მატჩის ოქმში გვარის წინ ხუთიანი გიწერია. მეხუთე ნომრად (ცენტრად) ხომ არ გათამაშებენ?**

- არა, ცენტრის ფუნქციები არასოდეს დაუკისრებიათ, თუმცა, როცა საჭიროა, ფარქვეშაც ვარ და ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვისაც ვიბრძვი. როგორც ყოველთვის, მსუბუქი ფორვარდის ფუნქციებს ვასრულებ და პერიმეტრიდანაც ხშირად ვუტევ.

**- ესტონეთის ჩემპიონატში "კუარემაასთან" ორმაგი დუბლი რომ მიითვალე არ გამკვირვებია, ესტონურ ოქმში თუ სწორად გავარჩიე, 7 დაფარება გეწერა...**

- არ შემცდარხარ. მართლა შვიდჯერ დავაფარე. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ მატჩში მეტოქედ ესტონეთის ჩემპიონატის აუტსაიდერი გვყავდა.

**- სამმაგ დუბლამდე 3 დაფარება დაგაკლდა, დრო არ გეყო?**



ვიქტორ სანიკიძე

- ვფიქრობ, სამმაგი დუბლის შესრულებას შევძლებდი, მწვრთნელს მოედანზე ბოლომდე რომ დავეტოვებინე. მეოთხე პერიოდი არ მითამაშია...

**- "ტარტუ როკთან" რა ვადიანი კონტრაქტი გაკავშირებს?**

- ხელშეკრულების მიხედვით, გუნდში სეზონის ბოლომდე უნდა დავრჩე.

**- მერე რა იქნება?**

- ჯერ არ ვიცი. მაისამდე დიდი დროა, მანამდე ესტონეთის პირველობის პლეი ოფები და ბალტიის თასის მატჩები მაქვს სათამაშო. კონტრაქტზე ჯერ არ ვფიქრობ.

**- ბალტიის თასის პლეი ოფში გასვლის რა შანსი გაქვთ?**

- რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე სამი მატჩი დაგვრჩა. მათგან ერთს მაინც თუ მოვიგებთ, პირველ ეტაპს ექვსეულში დავასრულებთ. პირველ-მეორეადგილოსნები ავტომატურად გადიან ნახევარფინალში. მომდევნო 4 გუნდი დარჩენილი 2 საგზურისთვის გადათამაშებაში ჩაებმება. ჩვენც, ალბათ, გადათამაშებაში მოვხვდებით და ფინალური ოთხეულის საგზურისთვის ვიბრძოლებთ.

**- უახლოესი მატჩი ვისთან გაქვთ?**

- ლატვიურ "ვალმეირას" 13 თებერვალს ვეთამაშებით. მატჩი ტარტუში გაიმართება და გამარჯვების იმედი გვაქვს. საქმე ბოლო მატჩებამდე არ უნდა მივიყვანოთ, რადგან ბოლოს ლიტვის "ჟალგირისი" გველის.

**- ზოგჯერ გუნდთან ადაპტაციაზე მნიშვნელოვანი ქალაქთან და უცხო გარემოსთან შეგუებაა...**

- ესტონეთში გიორგი ცინცაძის წყალობით, არაფერი გამჭირვებია, თან, ხალხიც თბილია. ერთი, ამინდია ცივი და ძირითადად შეფუთნული დავდივარ. რაც შეეხება ტარტუს, იგი საუნივერსიტეტო, პატარა ქალაქია. იმდენად პატარაა, რომ აქ ყველა გვიცნობს და პატივს გვცემს. "ტარტუ როკიც" უნივერსიტეტის გუნდად ითვლება. თამაშებისას დარბაზის გავსებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – "როკს" ძალიან ერთგული ქომაგი ჰყავს. ჩვენც ვცდილობთ, იმედები გავუმართლოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

# თევზაძემ ლიდერობა დაკარგა


შოთა თევზაძე

რუმინეთის ჩემპიონატში პაუზა დასრულდა და მეორე წრე დაიწყო. საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარის, **შოთა თევზაძის** გუნდი "ბაკაუ" სტუმრად უშუალო კონკურენტ "რეშიტას" დაუპირისპირდა და 25:28 დამარცხდა. ამ ტურამდე ჩემპიონატს "ბაკაუ" ლიდერობდა, რომელსაც "რეშიტა" ერთი ქულით ჩამორჩებოდა. შესაბამისად, პირველ და მეორეადგილოსნებმა ამ მატჩის შემდეგ ადგილები გაცვალეს. რუმინეთის ჩემპიონობისთვის "კონსტანცაც" იბრძვის. ცნობისათვის, "ბაკაუს" ეს ტიტული არასოდეს მოუპოვებია, თევზაძის გუნდი ისტორიაში საუკეთესო სეზონს ატარებს.

თევზაძემ შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და მეორე ტაიმის შუაწელში შეცვალეს. *"საკუთარი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, დაცვამ კი ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. დასანანი მარცხი იყო, მაგრამ არა უშავს, მთელი მეორე წრე წინაა და ჩემპიონის ვინაობა ალბათ ბოლო ტურებამდე არ გაირკვევა"*, - გვითხრა შოთამ.

კვირას "ბაკაუ" "ჩელენჯ კაპზე" თამაშობს. მეოთხედფინალის პირველ მატჩში თევზაძის გუნდი სალონიკში ადგილობრივ პაოკ-ს შეხვდება.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემობრუნება

# სპორტის დედოფალი საქართველოში ამბიციური ხდება

## მძლეოსნობაში დაფინანსებამ საქართველოში პირველად გაუსწრო შედეგებს

**თბილისის ღია ჩემპიონატს მძლეოსნობაში, რომელსაც დიდუბის მანეჟმა უმასპინძლა, ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძეც ესწრებოდა.**

- დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, მალე ეს მანეჟი უსასყიდლოდ ჩვენს ფედერაციას გადმოეცემა, რაზეც თანხმობა მივეცით, - მითხრა ბატონმა თამაზმა, - ამ დონის სასახლეს მთელ ამიერკავკასიაში ვერ ნახავთ. მართალია, ბოლო დროს აქ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ იდეალურ მდგომარეობამდე მისაყვანად დიდი გარჯა მოგვიწევს.

**- რა საშუალებებით აპირებთ მის მოვლა-პატრონობას?**

- ისე არ გამომივიდეს, ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო. მოვლენებს გავუსწრებ და მაინც გეტყვით, რომ აქ იქნება სპორტული ცენტრი „ვიქტორი". ვფიქრობ, ჩვენი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი ამას იმსახურებს. ისეთი ცენტრი უნდა მოვაწყოთ, ხალხისთვის ხელმისაწვდომი და გამოსადეგი იყოს. აქ ივარჯიშებენ როგორც მძლეოსნები, ისე სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები, მოზარდები, მოყვარულები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფების წევრები, მაგრამ ყველაფერი ეს მძლეოსნობის ხარჯზე ვერ იქნება, რადგან მარტოს მანეჟის შენახვა გაგვიჭირდება - ამხელა ტერიტორიის გადასახადი, გათბობის სისტემის დამონტაჟება და მისი ამუშავება საკმაოდ ძვირი დაგვიჯდება. თუმცა საამისო თანხები ამჟამად მძლეოსნობას აქვს. გეცოდინებათ, რომ ვაკის მანეჟის გასხვისების წილიდან მილიონ ორასი ათასი ლარი გვერგო. იმ თანხიდან ვაკეშივე შევიძინეთ ოფისი, სოლიდური სახსრები გამოვყავით ვეტერან სპორტსმენთა დასახმარებლად, ცხადია, გარკვეულ თანხას მანეჟის რეაბილიტაციასაც მოვახმართ.

ამას წინათ უცხოეთში შევიძინეთ და ამ დღეებში მივიღებთ „ნორდიგის" ფირმის 131 ათასი დოლარის ღირებულების საუკეთესო ინვენტარს, სასტარტო საბჯენებიდან დაწყებული ჭოკით სახტომი ორმოთი დამთავრებული. მარტო ეს უკანასკნელი 15 ათასი დოლარი დაგვიჯდა. მართალია, ჭოკით ხტომაში ბოლო დროს ტრადიციები, ფაქტობრივად, დავთმეთ, მაგრამ ორმო მაინც გვჭირდება, რადგან ეროვნულ სტადიონზე მნიშვნელოვან შეჯიბრებას თუ გინდა უმასპინძლო, უინვენტაროდ არაფერი გამოვა.

**- თბილისის ზამთრის ჩემპიონატმა დაგვარწმუნა, რომ მძლეოსნობაში ბევრი პერსპექტიული მოზარდი ვარჯიშობს...**

- გეთანხმებით. ეს იმის შედეგია, რომ ბოლო დროს სახელმწიფო „სპორტის დედოფალს" მეტ ყურადღებას აქცევს. განსაკუთრებით მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, რომელმაც წლეულს ბიუჯეტიდან 200 ათასი ლარი გამოგვიყო. ჩვენს 15 მწვრთნელს ხელფასები დაუ-



თამაზ მდინარაძე

ნიშნა. დიდ დამხარებას გვიწევს თბილისის მერიის სპორტის სამსახური, რომელმაც ექვსი მწვრთნელი დაგვიფინანსა. საერთო ჯამში დღეს მძლეოსნობაში 50-მდე ადამიანი იღებს ხელფასს 100-დან 1000 ლარამდე დამსახურებისა და შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით. არადა, 1999 წლამდე თეთრიც არავის მოუცია ჩვენთვის. საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარება რომ არა, საკითხავია, ფედერაცია, საერთოდ, იარსებებდა კი?

აი, დღეს შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ ამბიციური ორგანიზაცია ვხვდებით. მართლია, ამჯერად დაფინანსებამ გაუსწრო შედეგებს, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ მალე პირიქით იქნება. გვაიმედებს, რომ უცხოეთშიც პატივს გვცემენ. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ჩვენი ოლიმპიური პრიზიორი მაია აზარაშვილი ამას წინათ დაუსწრებლად აირჩიეს ევროპის მძლეოსნობის განვითარების კომისიის წევრად და ამიერკავკასიაში „სპორტის დედოფლის" განვითარება დაავალეს. ცენტრად, ცხადია, საქართველო მოიაზრება. არ არის გამორიცხული, სულ მალე ჩვენმა რეგიონმა ევროპის ფედერაციის ალმასკომშიც დაიბევოს ადგილი.

თქვენ პერსპექტიული სპორტსმენები ახსენეთ. ისინი ქართულ მძლეოსნობას არც არასდროს დაჰკლებია, მაგრამ უსახსრობის გამო ტალანტებს ვკარგავდით. პირდაპირ გეტყვით, რომ ასეთი რამ არასდროს განმეორდება. 14 წლის ახმეტელმა ლაშა ღულელაურმა სამხტომში თოთხმეტმეტრიან ზღვარს გადააბიჯა. ამ ასაკისთვის ეს უნიკალური შედეგია, ყოველ შემთხვევაში - ჩვენი სინამდვილისთვის, შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ერთი სასიამოვნო ფაქტიც მინდა აღვნიშნო: ქუთაისის მერიამ ქალაქის მძლეოსნობის სკოლას გადასცა 120 მეტრის სიგრძისა და 11 მეტრის სიგანის მანეჟი 200-მეტრიანი სარბენი ბილიკით. იმერეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის დავით ფრუიძისა და სასპორტო სკოლის დირექტორის ლომერ ახვლედიანის მონდომებული მუშაობით იმ მანეჟშიც დღეს ნორმალური პირობებია და ნიჭიერ ათლეტებს ზრდიან.

ბოლო დროს ბაზების მომრავლებამ საშუალება მოგვცა, უფრო გაბედულად შევთავაზოთ მშობლებს, შვილები მძლეოსნობაზე მოიყვანონ. თბილისში, როგორც ვთქვი, უკვე 50 მწვრთნელი მუშაობს. თითოეულს 10-12 მოსწავლე მაინც ჰყავს. თუნდაც მარტო ექვსასამდე მოზარდიც უკვე დიდი ძალაა. ცხადია, ყველა მძლეოსანი ვერ გახდება, მაგრამ, როგორც უწინ იყო, ჩვენთან წრთობაგავლილი გოგო-ბიჭები სპორტის სხვა სახეობებში იყოჩაღებენ.

**- ეროვნული ნაკრების წევრთა დიდი ნაწილი შეჯიბრებაზე არ მინახავს. ისვენებენ თუ...**

- თვე-ნახევარზე მეტია, ათი ქართველი მძლეოსანი აზერბაიჯანის დედაქალაქში იმყოფება და მასპინძლებთან ერთობლივ წვრთნას გადის. ჩვენებმა ბაქოში უკვე ორ ტურნირშიც მოსინჯეს ძალები. მათ შორის - ორი ოლიმპიადის მონაწილე დავით ილარიანმა. იგი ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელსაც მარტში იტალია უმასპინძლებს. დათო 14 თებერვალს ჯერ ბაქოში იასპარეზებს, უკრაინის ზამთრის ღია ჩემპიონატზეც გამოვა და მერე გაემგზავრება იტალიაში. იქ სპორტსმენი ქალის გამოყვანის უფლებაც გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ჩამოვა ბირთვის მკვრელი მარიამ ქევხიშვილი, რომელიც ამერიკაში სწავლობს და ვარჯიშობს, წლეულს მან იქაურ სამ ტურნირში გაიმარჯვა. სანაცვლოდ სხვას ვერ გავუშვებთ, რადგან საერთაშორისო ნორმატივებს ვერ ასრულებენ. სამაგიეროდ, ილარიანიც და ქევხიშვილიც აგვისტოში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა, ჩვენი სპორტსმენები კიდევ რომელ შეჯიბრებებში იასპარეზებენ?**

- 26-27 თებერვალს დიდუბის მანეჟში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი გვაქვს დაგეგმილი. გაზაფხულზე ეროვნულ სტადიონზე გადავინაცვლებთ და შეჯიბრებებს იქ გავმართავთ, თან საერთაშორისო ტურნირებისთვის მოვემზადებით. ძალიან გვინდა, ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ვისახელოთ თავი, მესამე ჯგუფში ჩვენთან ერთად 13 ქვეყნის მძლეოსნები მოსინჯავენ ძალებს.

**- ბატონო თამაზ, ამქვეყნად არაფერია დამალული და ჩვენც ვიცით, რომ 11 თებერვალს დაბადებიდან 60 წელი გისრულდებათ. ჩვენი რედაქციის სახელით წინასწარ გილოცავთ იუბილეს! იქნებ, თქვენ შესახებაც გვიამბოთ რამე.**

- გმადლობთ მილოცვისთვის. მინდა იცოდეთ, რომ გაზეთ „ლელოს" მკითხველი და გულშემატკივარი ვიყავი, ვარ და ვიქნები.

რაც შემეხება მე, ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში ვიზრდებოდი ბებიასთან, რადგან მშობლები ადრე დამელუპა. ერთხელ მოსწავლეთა რაიონულ პირველობაზე გამოვედი, იქ შემამჩნია ამაგდარმა მწვრთნელმა ჟორა ერქომაიშვილმა. მან შემომთავაზა, მძლეოსნობაში მევარჯიშა. თუ კარგად ირბენ, შეჯიბრებებზე თბილისშიც წაგიყვანო, მითხრა. დედაქალაქის ნახვის სურვილით ჩავები მძლეოსნობაში. 6 თვის შემდეგ ბორჯომში სოფლის სკოლების მოსწავლეთა საქართველოს პირველობა მოვიგე 100 მეტრზე რბენაში. სტუდენტობისას 1967 წელს სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობაზე 100 და 200 მეტრზე რბენაში ყველას ვაჯობე. 40 წლის წინათ - 1969 წელს კი 200 მეტრი 21,2 წამში გავირბინე და საქართველოს რეკორდი დავამყარე. ოჯახური პირობების გამო აქტიურ სპორტს, სამწუხაროდ, 21 წლისა დავემშვიდობე. თანაც საკავშირო ნაკრებში მოხვედრის ნაკლები შანსი მქონდა, რადგანაც სახელოვან ვალერი ბორზოვს მთელი მსოფლიოს სპრინტერები კონკურენციას ვერ უწევდნენ და მე რას გავხდებოდი.

წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე ვიმუშავე. 1969 წელს ქარხანა „მიონის" დირექტორის მოადგილე ვიყავი, მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტობა რომ შემომთავაზეს, ისე დავთანხმდი, არც დავფიქრებულვარ. 11 თებერვალს ზუსტად 20 წელი გადის, რაც ახალ თანამდებობაზე კაბინეტის კარი პირველად შევაღე. ასე რომ, ერთბაშად სამი იუბილე გამომდის.

*კიდევ ერთხელ სამივე იუბილეს გილოცავთ, ბატონო თამაზ!*

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

### მილოცვები

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამეტი დაბადების 60 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს თამაზ მდინარაძეს.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების 60 წელს ულოცავს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს თამაზ მდინარაძეს.**

**საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია 60 წლის იუბილეს ულოცავს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს თამაზ მდინარაძეს.**

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# მინართან გამოცდილება არ ეყო

27 წლის ჩეხი **იან მინარი** საჩოგბურთო ოჯახის წარმომადგენელია, მისი მშობლები ყოფილი ჩოგბურთელები არიან, ასევე, ძმაც. თავადაც საკმაოდ ნორმალურ ჩოგბურთელად ითვლება. ერთი ხანობა იანი მსოფლიოს მეორე ასეულში იყო, დღეს კი ჩეხი მსოფლიოს 315-ე ჩოგანია. ასეთ ჩოგბურთელს ხვდებოდა ზაგრების ტურნირის (15 ათასი $) პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული, 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (1225), რომელიც ლამის ათასი საფეხურით ჩამორჩება რეიტინგში მინარს. მატჩმა აჩვენა, რომ ჯერჯერობით ნიკას კიდევ ბევრი აქვს სასწავლი - 1:6, 4:6, თუმცა მეორე სეტში გამართული თანაბარი ბრძოლა სამომავლოდ გვაიმედებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქვაცაბაია ძირითად ტურნირში გამოვა

ესპანურ მალიორკაში დასრულდა საკვალიფიკაციო ბადის გათამაშება და ძირითადი ტურნირის (10 ათასი $) საგზური **სოფიო ქვაცაბაიამ** (666) მოიპოვა. ფინალურ წრეში ქართველმა, რომელიც ბადეში მეორე ნომრად იყო განთესილი, ესპანელ **ლუსია საინს-პელეგრის** (883) მოუგო - 3:6, 6:0, 6:3. ძირითად ტურნირში სოფიო ისევ მასპინძელს ეთამაშება, 18 წლის **სანდრა სოლერ-სოლას** (493). მთავარ ბადეში რეიტინგით მოხვედრილმა 17 წლის **ეკა გორგოძემ** (643) კი პირველი წრე უკვე გაიარა, მან ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილი გერმანელი **დომინის რიპოლი** (433) დაამარცხა - 1:6, 6:0, 7:6 (3). ეს ეკას პირველი გამარჯვებაა წლევანდელ სეზონში. წყვილთა თანრიგში ჩვენებურებმა ერთად ითამაშეს, გორგოძის და ქვაცაბაიას დუეტმა მე-4 ნომრად განთესილ გუნდთან (**ობრეზი, პავლოვა**) წააგო - 5:7, 2:6.

პორტუგალიურ ალბუფეირაში (10 ათასი $) გამოჩნდა **მანანა შაფაქიძე** (698), რომელიც სეზონში პირველად გამოვიდა კორტებზე. მანანა ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-7 ნომრად განთესეს. იგი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მანანამ რუმინელ **დიანა მარკუსთან** დათმო - 4:6, 6:4, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოიწერეთ ლელო
ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!
„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.
დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა

# ზამთრის ჩემპიონები გამოავლინეს

9-10 თებერვალს უნივერსიტეტ "საქართველოს" სპორტულ დარბაზში მშვილდოსანთა შორის საქართველოს მეექვსე ზამთრის ჩემპიონატი გაიმართა. ტურნირში, ნაკრების წევრ **ქრისტინე ესებუას** გარდა, საქართველოს ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა.

პირველ დღეს საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდა, ფინალური ეტაპის ჯერი კი 10 თებერვალს დადგა. მთლიანობაში, ტურნირში აჭარის, თბილისის, ქუთაისისა და ასპინძის 60-მდე ჩუბინი ჩაერთო.

პირველი სენსაცია ქალთა მეოთხედფინალში დაფიქსირდა, - საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი **ხათუნა ნარიმანიძე** 18 წლის აჭარელ **ნანა მახარაძესთან** დამარცხდა. 12-12 სროლის შემდეგ ორივე მშვილდოსანმა თანაბრად 105 ქულა დააგროვა. დამატებით გასროლაში უფრო ზუსტი მახარაძე აღმოჩნდა. მახარაძემ ნახევარფინალში კიდევ ერთ გამოცდილ სპორტსმენს, **ოლგა ლადიგინას** აჯობა, თუმცა ფინალში ველარ იყოჩაღა.

ქალებს შორის, საქართველოს ზამთრის ჩემპიონი აჭარელი **ასმათ დიასამიძე** გახდა. ფინალში მან მახარაძეს საკმაოდ იოლად მოუგო – 109:93. მესამე ადგილისთვის ლადიგინამ აჭარელი **ნათია ცინცაძე** 111:105 დაამარცხა.

მამაკაცებში საქართველოს ჩემპიონობა ვეტერანმა თბილისელმა მშვილდოსანმა **შალვა წიბლიაშვილმა** მოიპოვა. ფინალში მან აჭარელ **ლადო ბოლქვაძეს** 112:104 აჯობა. მესამე საპრიზოსთვის კი აჭარულ დუელში **კახა ტრეტიაკოვმა ტარიელ ქადიძეს** 101:97 სძლია.

ტურნირის შედეგებით და ზოგადი სურათით კმაყოფილნი დარჩნენ მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი – **თენგიზ ტერუნაშვილი** და გენერალური მდივანი – **არტემ სანიშვილი.** გამარჯვებული სპორტსმენები ფედერაციამ ფასიანი საჩუქრებით, სიგელებითა და მედლებით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავა,** რომელმაც პირველ ადგილზე გასულები – წიბლიაშვილი და დიასამიძე დააჯილდოვა.

*"აქამდე საქართველოს ჩემპიონატში ამდენ მშვილდოსანს არასოდეს უასპარეზია. სასიამოვნოა, რომ ამ სახეობის გეოგრაფიაც გაიზარდა. იმედია, მომავალ წლებში შიდა კონკურენციაც საგრძნობლად გაუმჯობესდება. სანაკრებო სელექციისთვის ამ ტურნირს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. შედეგებზე მეტ ყურადღებას, ამ ეტაპზე, ახალგაზრდების გამოსვლას ვუთმობდით.*

*ივლისში ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება და იქამდე საქართველოს ნაკრები უნდა დავაკომპლექტოთ. უახლოეს ქართულ ტურნირს სწორედ იუნიორებს შორის ჩავატარებთ. სავარაუდოდ ამავე დარბაზში, ისევ 18-მეტრიან დისტანციაზე"* – განაცხადა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ ტერუნაშვილმა.

**კვარცხლბეკი**

**კაცები**

1 შალვა წიბლიაშვილი (თბილისი)
2 ლადო ბოლქვაძე (აჭარა)
3 კახა ტრეტიაკოვი (აჭარა)

**ქალები**

1 ასმათ დიასამიძე (აჭარა)
2 ნანა მახარაძე (აჭარა)
3 ოლგა ლადიგინა (აჭარა)

**გიორგი ჭანიშვილი**



რეგიონი



# კაფე გორში სპორტის პროპაგანდისათვის

ამ დღეებში ტიტულოვანმა ქართველმა მოკრივემ **გიორგი კანდელაკმა** გორში „სპორტ კაფე" გახსნა. კაფე უკვე იქცა ადგილობრივ სპორტსმენთა ერთგვარი თავშეყრის ადგილად და როგორც მეპატრონე გვამცნობს „სპორტ-კაფეს" გორელთა „გამოკვება" პირველ ყოვლისა სულ სხვა თვალსაზრისით დაუსახავს მიზნად. „ასეთი ადგილი ერთ-ერთი იმ ღირსესანიშნაობათაგანია, რაც მე მსოფლიოს ყველა იმ დიდ ქალაქში მინახავს, ასადაც ვყოფილვარ და რომლის გადმოტანა შესაძლებელი იქნებოდა შიდა ქართლის მთავარ ქალაქში. თითქმის ყველა ასეთ ქალაქში ჩემი სტუმრობისას უკან ისე არ ვბრუნდებოდი, „სპორტ-კაფეში" არ შემევლო და ამ გზით არ შემექმნა წარმოდგენა ადგილობრივ სპორტზე. სწორედ ამ თვალსაზრისით, მინდა ქართლის ყველა სტუმარს, ქართველი იქნება ის თუ უცხოელი, სურვილის შემთხვევაში, ადგილობრივ სპორტზე გარკვეული წარმოდგენა შევუქმნათ. შენობაში ყველა წარმატებულ ადგილობრივ სპორტსმენს თავის კუთხეს მივუძღვნით. გამოიფინება სურათები, მონაცემები მათი მიღწევებზე, თვითონ ჯილდოები და ა.შ. ახალგაზრდა თაობამ ძალიან ცოტა იცის **შოთა ჩოჩიშვილის, კობა კურტანიძის** და სხვათა შესახებ. ავიღოთ, თუნდაც ქართული მედიასაშუალებები, რომლებიც ძირითადად უცხოელი სპორტსმენების პროპაგანდას ეწევიან. გმირებად და მისაბაძ მაგალითებად ქართველ მოზარდებს მაინცდამაინც უცხოელს უსახავენ. არადა, პატარების დიდ უმრავლესობას ამ ვარსკვლავების სიმაღლეები მიუწდვდომლად ესახებათ. ბავშვების საუბარს რომ ვუსმენ, ბექჰემი და მისთანები აკერიათ ენაზე და თან ისე უყურებენ მათ, თითქოს ზეადამიანები იყვნენ. ასეთი სიმაღლე მათთვის ჩანს. მინდა ვუთხრა ახალ თაობას: მიხედ-მოიხედეთ, თქვენს გვერდით, თქვენს ქალაქში დადიან ისეთი გმირები, რომლებსაც არანაკლები გაუკეთებიათ. გაიხადეთ ისინი მაგალითებად და იცოდეთ, რომ ბევრი რამის გაკეთება მათსავით თქვენც შეგიძლიათ. გორელებმა უნდა იცოდნენ მათი თანაქალაქელების, ჩოჩიშვილის, **გოგშელიძის, თენაძის** შესახებ უფრო ბევრი, მეტი იციან. ამ სპორტსმენებმაც თავისი დიდი შესაძლებლობები თავიანთი კარიერის მანძილზე ისე დაამტკიცეს, რომ ამ ქალაქში იზრდებოდნენ და ვარჯიშობდნენ. მეც აგერ, ამ დაწესებულების გვერდით მდებარე სასპორტო დარბაზის შენობის ერთ პატარა დარბაზში გავიზარდე და არაერთი ტიტულის მოპოვება შევძელი. „სპორტ-კაფეში" განსაკუთრებით იმ ახალგაზრდების დანახვა გამიხარდება, რომელთაც ჩვენი სასიქადულო სპორტსმენებისადმი მიძღვნილი კუთხეების დანახვა გემრიელ ნუგბარზე მეტად მოსწყვეტს თვალს.

ცხადია, არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ამით და აუცილებლად მოეწყობა საღამოები სპორტში თავჩენილ პიროვნებათა პატივსაცემად. დიდ ეკრანზე ვაჩვენებთ შესაბამის ფილმებს. კარი ღიაა პრესკონფერენციებისათვისაც და ა.შ.

სპორტის პროპაგანდა არის ამ დაწესებულების მთავარი კრედო" — გვითხრა გიორგი კანდელაკმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭადრაკი

# სპარსეთში ცოტა დაგვაკლდა...

ჩვენს ისტორიულ სამეზობლოში - სპარსეთში, რომელთანაც ათასგზის გვაქვს ჭირ-ვარამი გადახდილი, დიდი ხნის განმავლობაში ჭადრაკის თამაში აკრძალული იყო. მზის სინათლე ჭადრაკმა უძველესი კულტურის ქვეყანაში რამდენიმე წელიწადია, რაც იხილა და როგორც აღმოჩნდა, არცთუ ცუდი რამ ყოფილა ხალხის ამგვარად თავშექცევა; და რაკი ამას მიხვდნენ ქვეყნის მმართველები, ყველა ბორკილი ახსნეს ბრძენთა თამაშს და ხელსაც კი წაუკრავენ ხოლმე ენთუზიასტებს მის გასავითარებლად. როცა ხელისუფლება წყალობას იღებს, მაშინ საქმეც სწრაფად მიიწევს წინ და ასეა ამ შემთხვევაშიც: უამრავი ტურნირი ეწყობა ირანის სხვადასხვა ქალაქში და მათ შორის საერთაშორისოც. მომრავლდნენ ძლიერი სპარსი დიდოსტატები და მსოფლიოში ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ. მადა რომ ჭამაში მოდის, ამ უძველესი კულტურის ქვეყანაშიც მშვენივრად იციან და ამიტომ მეტიც მოისურვეს, - აგერ, ახლახან ირანის ვაჟთა ნაკრების გასაწვრთნელად მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონი, ლეგენდარული **ანატოლი კარპოვი** მიიწვიეს; ალბათ სხვა ხერხებსაც მიმართავენ, რათა მსოფლიოს მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. ეჭვი არ არის, რომ ძირითადი აქცენტი მაინც გუნდურ შედეგზე გაკეთდება, რათა საჭადრაკო ოლიმპიადაზე თვალსაჩინო შედეგი მიიღონ. თუმცა ჩვენი წერილის მთავარი სათქმელი სხვა რამ არის - ირანის ქალაქ კიშში ტრადიციული, რიგით მე -17 საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, სადაც ორი ქართველი მონაწილეობდა - დიდოსტატი **ვალერიანე გაფრინდაშვილი** და საერთაშორისო ოსტატი **კახა შალამბერიძე**. საპრიზო ფონდიც საკმაოდ ნორმალურია, თუმცა ჯერჯერობით დიდი არ ეთქმის... მთავარი ის არის, რომ უამრავი ადგილობრივი ქალ-ვაჟი ეტანება ჭადრაკს და სიამოვნებით მონაწილეობენ ტურნირში. ამჯერად 191 მსურველი შეიკრიბა კიშში, აქედან კი 90 პროცენტი მასპინძელია. მცირე რაოდენობის მიუხედავად, პირველ როლებში მაინც უცხოელები იყვნენ. მასპინძელთა შორისაც არიან საკმაოდ ძლიერი დიდოსტატები - **ამირ ბაგემი** და **შოჯაათ ლანე**, თუმცა მათ სათანადოდ ვერ ითამაშეს და ათეულს გვარიანად დასცილდნენ საბოლოო ცხრილში. სანაცვლოდ თავი გამოიჩინა ახალბედა სპარსმა - ჯერაც მხოლოდ ფიდეს ოსტატმა **ჰამედ მუსავიანმა**, რომლის რეიტინგი დაბალი კია (2387), მაგრამ მესამე ადგილი მაინც დაიკავა; თანაც პირველ და მეორეადგილოსნებთან ერთად გაიყო 1-3 ადგილები და მხოლოდ კოეფიციენტი აღმოაჩნდა უარესი. სხვათა შორის, გადამწყვეტ პარტიაში ჰამედმა თეთრებით ჩვენებური კახა შალამბერიძე დაამარცხა. კახას აშკარად შეეძლო ჰამედის ადგილზე აღმოჩენილიყო, მაგრამ აქამდე შესანიშნავად მოთამაშემ ბოლოში ვერ ივარგა. შალამბერიძემ მე-12 ადგილზე დაასრულა ტურნირი.

სანაცვლოდ გადამწყვეტ მომენტში ივარგა გაფრინდაშვილმა და შავებით აჯობა ირანელ მეტოქეს, 7 ქულა დააგროვა და მე-4-11 ადგილები გაიყო; გაფრინდაშვილს რამდენიმე თანაბარქულიანზე უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და მე-9 ადგილი ერგო.

გამარჯვება კი ბელგიის სახელით მოთამაშე **ვადიმ მალახატკოს** ხვდა წილად, რომელიც რეიტინგით (2610) და შესაბამისად, განთესვითაც პირველი იყო. მეორეზე ირანელი საერთაშორისო ოსტატი **ჰომაიონ ტოუფილი** (2451) გავიდა.

ტურნირში სულ 11 დიდოსტატი და 9 საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა.

**ზვიად შათირიშვილი**

წყალბურთი

# უკრაინიდან გამარჯვებებით დაბრუნდნენ

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა უკრაინის ღია ჩემპიონატის მორიგი მატჩები ჩაატარა. პირველ შეხვედრაში ქართველებმა ხარკოვის ბმკ-სთან 5:5 ითამაშეს, შემდეგ კი მიყოლებით სძლიეს ხარკოვის ხპი-სა (14:5) და ბელარუსის ნაკრებს (17:9). აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდმა ეს სამი მატჩი ორ დღეში ჩაატარა. საქართველოს ნაკრები უკვე თბილისშია და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას განაგრძობს.

ქვეჯგუფში ჩვენი მეტოქეები მალტა, ფინეთი და ირლანდია იქნებიან. ორი საუკეთესო გუნდი შემდეგ ეტაპზე გავა. მწვრთნელთა და მოთამაშეთა შეფასებით, ჩვენს ეროვნულ გუნდს ამ ბარიერის დაძლევის კარგი შანსი აქვს.

საქართველოს ნაკრების სადღეისო შემადგენლობა ასეთია: **ნიკა ასათიანი, შალვა ნამორაძე, ბექა ქენქაძე, ზურაბ რურუა** (კაპიტანი), **გიორგი ხვედელიანი, გალაქიონ ლაითაძე, სანდრო რუსიშვილი, გურამ კოტარია, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლაიშვილი, გიორგი ბუტიკაშვილი, მიხეილ ბალათურია, პავლე ჯაფარიძე.**

გუნდს წარსულში სახელგანთქმული წყალბურთელი **ვლადიმერ ისელიძე** წვრთნის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

შეკითხვა ლელოს

**გთხოვთ მიპასუხოთ: საქართველოს რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს და რამდენი ოქროს მედალი აქვს მოპოვებული ზაფხულის თამაშებში.**

**ვახტანგ დარბაისელი**
თბილისი, სტუდენტი

*პასუხი: საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ 1952 წლიდან. ჰელსინკის ოლიმპიადიდან მოყოლებული, საქართველოდან ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა 33 სპორტსმენი. მოპოვებულია 36 ოლიმპიური ოქრო. მძლეოსანი ვიქტორ სანეევი სამჯერ გახდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სამხტომში, თავისუფალ ჭიდაობაში კი ლევან თედიაშვილმა ორჯერ მოიპოვა თამაშების ოქროს მედალი.*

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

| ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 3:0 |
|---|---|
| | 0:0, 2:0, 1:0 |

გოლები: 1:0 პოლიკი-4 (მენეჰანი-2, ელიაში-39), 2:0 პარიზე-31 (ზაიაცი-29, ლანგენბრუნერი-29), 3:0 პარიზე-32 (ლანგენბრუნერი-30, ზაიაცი-30).

| კალგარი-მონრეალი | 6:2 |
|---|---|
| | 1:2, 3:0, 2:0 |

გოლები: 0:1 დ'აგოსტინი-10 (ჰიგინსი-5, ჰამრლიკი-16), 1:1 კამალერი-28 (პერდი-7, ლომბარდი-16), 1:2 პლეკანეცი-11 (კოვალიოვი-25, ჰამრლიკი-17), 2:2 ლომბარდი-6, 3:2 ფანოფი-7 (კონროი-22, რ. ბურკი-16), 4:2 ბოიდი-9 (ნისტრიომი-5), 5:2 რ. ბურკი-18 (კამალერი-24, ლომბარდი-17), 6:2 მოსი-16 (სერიჩი-11).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ლოს ანჯელეს კინგზის" მეკარე **ჯონათან კუიკი** დაასახელა. წინა კვირას მან სამ გასვლით მატჩში მიიღო მონაწილეობა, სამივეში გაიმარჯვა, ჯამში 100-დან 95 შაიბა მოიგერია და მეტოქეთა დარტყმების 92.0 პროცენტის შეჩერება შეძლო.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "დეტროიტ რედ უინგზის" მარჯვენა ფრთას **მარიან ჰოსას** ერგო, რომელმაც 6 გოლი (გასული შვიდი დღის საუკეთესო მაჩვენებელი) და ერთი შედეგიანი პასი დააგროვა.

ზედიზედ მეორე კვირაა, მესამე ვარსკვლავი გახდა "ვაშინგტონ კეპიტალზის" მცველი **მაიკ გრინი**. მან კვირა ოთხი გოლითა და სამი შედეგიანი პასით დაასრულა და ბოლო 25 წლის განმავლობაში პირველი მცველი გახდა, ვინც ზედიზედ ექვს შეხვედრაში შეძლო მინიმუმ ერთი გოლის გატანა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 54 | 39 | 8 | 7 | 85 |
| 2. ნიუ ჯერსი | 54 | 34 | 17 | 3 | 71 |
| 3. ვაშინგტონი | 54 | 34 | 16 | 4 | 72 |
| 4. ფილადელფია | 52 | 28 | 15 | 9 | 65 |
| 5. მონრეალი | 54 | 29 | 19 | 6 | 64 |
| 6. რეინჯერსი | 54 | 29 | 20 | 5 | 63 |
| 7. ბაფალო | 54 | 28 | 20 | 6 | 62 |
| 8. კაროლინა | 54 | 27 | 22 | 5 | 59 |
| 9. ფლორიდა | 52 | 25 | 19 | 8 | 58 |
| 10. პიტსბურგი | 55 | 26 | 24 | 5 | 57 |
| 11. ტორონტო | 53 | 20 | 24 | 9 | 49 |
| 12. ტამპა ბეი | 53 | 18 | 24 | 11 | 47 |
| 13. ოტავა | 51 | 18 | 25 | 8 | 44 |
| 14. ატლანტა | 54 | 18 | 31 | 5 | 41 |
| 15. აილენდერსი | 52 | 16 | 31 | 5 | 37 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 50 | 36 | 7 | 7 | 79 |
| 2. დეტროიტი | 53 | 35 | 11 | 7 | 77 |
| 3. კალგარი | 53 | 31 | 18 | 4 | 66 |
| 4. ჩიკაგო | 51 | 29 | 14 | 8 | 66 |
| 5. დალასი | 52 | 26 | 19 | 7 | 59 |
| 6. ანაჰაიმი | 56 | 27 | 24 | 5 | 59 |
| 7. მინესოტა | 52 | 27 | 22 | 3 | 57 |
| 8. ვანკუვერი | 52 | 24 | 20 | 8 | 56 |
| 9. ედმონტონი | 53 | 26 | 23 | 4 | 56 |
| 10. კოლამბუსი | 53 | 25 | 23 | 5 | 55 |
| 11. ლოს ანჯელესი | 51 | 23 | 21 | 7 | 53 |
| 12. ნეშვილი | 53 | 25 | 25 | 3 | 53 |
| 13. ფინიქსი | 54 | 24 | 25 | 5 | 53 |
| 14. კოლორადო | 53 | 25 | 27 | 1 | 51 |
| 15. სტ. ლუისი | 52 | 22 | 24 | 6 | 50 |

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 80 (24+56) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 72 (21+51) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 69 (37+32) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 65 (22+43) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 63 (32+31) |
| მარკ სავარი (ბოს) | 62 (21+41) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 62 (18+44) |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 61 (22+39) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 58 (20+38) |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 58 (34+24) |

| გოლები | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 37 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 34 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 32 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 32 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 30 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 28 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 26 |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 25 |
| ფილ კესელი (ბოს) | 24 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 24 |
| ვენსან ლეკავალიე (ტ-ბეი) | 24 |

| პასები | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 56 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 51 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 45 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 44 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 43 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 42 |
| მარკ სავარი (ბოს) | 41 |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 39 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 39 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 38 |

## ფორმულა 1

# USF1-ის პრეზენტაცია

ამერიკულმა გუნდმა USF1-მა, რომელიც 2010 წელს გეგმავს ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში დებიუტს, პროექტის ოფიციალური პრეზენტაციის თარიღი დაასახელა. ახალ გუნდს ამერიკის ტელეარხ Speed TV-ზე 24 თებერვალს წარმოადგენენ. ამის შესახებ საჯინიბოს ხელმძღვანელი **კენ ანდერსონი** იუწყება.

სხვათა შორის, Speed TV-ის არჩევა შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან სწორედ აქ მუშაობს USF1-ის პროექტში ანდერსონის კომპანიონი **პიტერ უინძორი**.

დღეს, ფორმულა 1-ის სამყაროში ამერიკული პროექტის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ. მაგალითად, კენ ანდერსონისა და პიტერ უინძორის გეგმებზე კომენტარი გააკეთა ცნობილმა სპეციალისტმა **გიუნტერ შტაინერმა**, რომელიც "იაგუარსა" და "რედ ბულში" მუშაობით არის ცნობილი.

*"ისინი ამ პროექტზე უკვე მრავალი წელია მუშაობენ. მიმაჩნია, რომ მათ აბსოლუტურად სერიოზული და რეალური გეგმები გააჩნიათ. ფორმულა 1-ში ხარჯების შემცირება ახალი გუნდების მოსვლას უწყობს ხელს: დღეს ძნელია იპოვო 300 მილიონი, მაგრამ სავსებით რეალურია 80-100 მილიონად ახალი საჯინიბოს შექმნა.*

*ამ მომენტში ანდერსონი და უინძორი ინვესტორებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს - ეს ერთადერთი მოუგვარებელი საკითხია, გუნდს კი დანარჩენი ყველაფერი აქვს. ქალაქ შარლოტში არსებობს ყველა ტექნიკური შესაძლებლობა, აეროდინამიკური გვირაბიც კი, რომელიც საუკეთესოა მსოფლიოში.*

*ფორმულა 1-ში არ არიან ამერიკელი პილოტები, არ არის ამერიკული გუნდი და ამერიკული ძრავა. არადა, ადრე იქაური საჯინიბოებიც იყვნენ, ხოლო, როცა ფორმულაში მარიო ანდრეტი გამოდიოდა, ამ სარბოლო სერიით ამერიკაში ბევრი იყო დაინტერესებული. არ არის გუნდი, არ არის ძრავა, არ არის პილოტი - აი მიზეზი, რის გამოც ამერიკელები არ ინტერესდებიან ფორმულა 1-ით. სწორედ USF1-მა უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა"*, - ამბობს შტაინერი.

## რაგბი



# ოლდ ტრაფორდზე რაგბი ბრუნდება

ინგლისისა და არგენტინის სარაგბო ნაკრებებმა ამხანაგური მატჩის ჩატარებაზე მოილაპარაკეს. შეხვედრა 6 ივნისს, საფეხბურთო კლუბ "მანჩესტერ იუნაიტედის" კუთვნილ "ოლდ ტრაფორდზე" გაიმართება. ბოლოს ინგლისის ნაკრებმა ამ არენაზე 12 წლის წინათ ითამაშა რაგბი.

*"ეს შესანიშნავი შანსია იმისთვის, რომ რაგბი თვიქნემის საზღვრებს გასცდეს და სხვა რეგიონებში რაგბის განვითარებას შეუწყოს ხელი"*, - ამბობს ინგლისის რაგბის კავშირის თავმჯდომარე **ფრენსის ბერონი**.

"ოლდ ტრაფორდზე" სარაგბო შეხვედრის ჩატარებას დადებითად აფასებს "მანჩესტერ იუნაიტედის" აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ გილი**.

*"გვესიამოვნა, როცა ასეთი დონის საერთაშორისო შეხვედრის ჩასატარებლად "ოლდ ტრაფორდი" აირჩიეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი სტადიონი მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან არენად ითვლება. მოუთმენლად დაველოდებით "ოცნების თეატრში" დიდი რაგბის გამართვას"*, - თქვა გილმა.

ინგლისისა და არგენტინის ბოლო შეხვედრა შარშან, თვიქნემში გაიმართა და ის "პუმების" გამარჯვებით - 25:18 დასრულდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| ბრაზილია-იტალია | 2:0 |
|---|---|

ლონდონი. ემირითსი. 60 077 მაყურებელი

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი (78. ტიაგო სილვა), მარსელო, ფელიპე მელუ, ჟილბერტო სილვა (88. ჟოსუე), ელანო (70. დანი ალვეში), რონალდინიო, რობინიო (88. ბაპტიშტა), ადრიანო (81. პატო).

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, ლეგროტალიე, კანავარო, გროსო, პირლო (75. დოსენა), დე როსი (60. აკვილანი), პეპე (46. კამორანეზი), მონტოლივო (46. ჯ. როსი), დი ნატალე (46. პეროტა), ჯილარდინო (46. ტონი).

გოლები: 1:0 ელანო (13), 2:0 რობინიო (27)

| | |
|---|---|
| გაბონი-გამბია | გადაიდო |
| კვიპროსი-სერბეთი | 0:2 |
| სლოვაკეთი-უკრაინა | 2:3 |
| ანგოლა-მალი | გადაიდო |
| **Under 21** | |
| თურქეთი-უკრაინა | 2:2 |
| მალტა-დანია | 0:1 |
| ირლანდია-გერმანია | 1:1 |
| ესპანეთი-ნორვეგია | 1:1 |
| **კლუბები** | |
| ნორდსილანდი-ჰალმსტადი | 0:1 |
| დინამო (ბ)-ოსიეკი | 1:0 |
| ფრემი-სინდერილი | 0:0 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ბრაიტონი-პიტერბრო | 2:4 |
| კარლაილი-უოლსოლი | 1:1 |
| კოლჩესტერი-ტრანმერი | 0:1 |
| ქრიუ-როვერსი | გადაიდო |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ბრენტფორდი | 1:1 |
| ბარნეტი-გრიმსბი | 3:3 |
| ექსეტერი-მაკლსფილდი | 4:0 |
| მორეკამბი-ლინკოლნი | 1:1 |
| როტერჰემი-ბერი | გადაიდო |
| **კონფერენსი** | |
| კეტერინგი-ოქსფორდი | გადაიდო |
| სტივენეიჯი-ფორ. გრინი | გადაიდო |
| ტორკი-უეიმაუთი | 0:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| მოდენა-რიმინი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ცვოლე | გადაიდო |
| ვეენდამი-ომნივორლდი | გადაიდო |
| **უელსი** | |
| ბანგორი-პორტმედოგი | 1:0 |
| ქერსოუსი-ებერისტვიტი | 1:3 |
| პრესტატინი-ტნს | 1:4 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| აზოვმაში-ვალენსია | 91:88 (ო) |
| დინამო (მ)-მარუსი | 94:73 |
| ჰემოფარმი-ცრ. ზვეზდა | 88:73 |
| პანელინიოსი-ხიმკი | 73:89 |
| ლეტუვოს რიტასი-ერტლანდი | 105:64 |
| ტურკ ტელეკომი-ბენეტონი | 67:99 |
| ზადარი-უნიქსი | 93:91 |
| შარლერუა-ბილბაო | 59:79 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ურალგრეიტი-კახასოლი | 61:72 |
| ცსკ ვვს-ტრიუმფი | 65:81 |
| ლოკომოტივი-აელ | 69:87 |
| ამტრედამი-დექსია | 87:75 |
| ოლდენბურგი-გალათასარაი | 85:93 |
| შოლე-ეიფელ ტაუერსი | 85:68 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| აისბარენი-იზერლონი | 9:5 |
| **დანია** | |
| ნორდსილანდი-ოდენსე | 3:6 |
| ოლბორგი-ჰერლევი | 5:2 |
| ჰერნინგი-როდოვრე | 7:3 |
| ესბერგი-ფრედრისჰავნი | 0:3 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-კომეტი | 1:3 |
| ლორენსკოგი-ფურუსეტი | 10:2 |
| სტორჰამარი-სპარტა | 0:1 |
| სტიორნენი-ლილეჰამერი | 1:4 |
| ფრისკ ასკერი-სტავანგერი | 2:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ნიტრა | 5:1 |
| კეჟმაროკი-ბისტრიცა | 2:7 |
| კოშიცე-მიკულაში | 3:1 |
| სლოვანი-ზვოლენი | 1:5 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 3:8 |
| სლოვანი-ზვოლენი | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-პელიკანსი | 4:3 |
| კალპა-ჰიფკ | 1:3 |
| კერპეტი-ილვესი | 4:5 |
| კიეკო-იუვიასკიულა | 0:1 |
| ლუკო-ტპს | 2:4 |
| ტაპარა-ჰპკ | 1:1 |
| ესეტი-სეიპა | 6:3 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ბერნი | 3:4 |
| ციურიხი-რაპერსვილი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ბრიუნესი | 4:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. როტერდამი**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-დიმიტროვი | 6:4, 3:6, 4:6 |
| ფერერი-მელცერი | 3:6, 7:6, 7:5 |
| მონფილსი-ბოჰლი | 6:4, 6:0 |
| მიურეი-ლუბიჩიჩი | 6:3, 6:2 |
| გასკე-მატიო | 6:3, 6:7, 3:6 |
| **WTA. პარიზი** | |
| დეში-კირსტეა | 6:2, 1:6, 6:2 |
| კლეიბანოვა-პირონკოვა | 6:2, 7:6 |
| ნიკულესკუ-ბაჩინსკი | 6:4, 6:3 |
| ა. რადვანსკა-ლუბცოვა | 6:1, 6:1 |
| ლუა-ვაიდიშოვა | 6:1, 6:4 |
| კვიტოვა-შპრემი | 3:6, 1:6 |
| კორნე-სევასტოვა | 6:1, 6:3 |
| ჰანტუხოვა-მაკაროვა | 6:2, 6:2 |
| **WTA. პატაია** | |
| ვოზნიაჩკი-ჩანი | 6:3, 6:0 |
| კარატანჩევა-ლისიაკი | 2:6, 6:4, 3:6 |
| პაშეკი-შვედოვა | 3:6, 4:6 |
| ბამერი-უ. რადვანსკა | 6:4, 3:6, 6:1 |
| ზვონარევა-კლეპაჩი | 6:4, 6:3 |

## TV პროგრამა

**11 თებერვალი. ოთხშაბათი**

**I არხი**

23:40 ფეხბურთი. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ირლანდია-საქართველო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი. არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-სან ლორენსო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ჰალი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-სოშო.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:10 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
18:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო.
01:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:10 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
02:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:55 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
04:25 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან ლორენსო (არგენტინა)-სან ლუისი (მექსიკა) (LIVE).
06:30 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი. გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-ჰერტა.

**НТБ-პლუსი (სპორტი)**

07:40 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
08:00 დროთა კავშირი.
08:05 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
08:10 ბრძოლა წესების გარეშე.
11:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
11:20 დროთა კავშირი.
11:25 ჰარმონიის ფორმულა.
11:40 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
11:45 მძლეოსნობა. საფრანგეთი.
13:15 ფიგურული სრიალი. კრისტი იამაგუჩის შოუ.
14:15 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
14:30 ჰარმონიის ფორმულა.
14:45 კალათბურთი. NBA-ის საკვირაო მიმოხილვა.
15:30 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
16:00 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
16:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
17:05 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
17:20 დროთა კავშირი.
17:25 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
17:45 აფროსნობა. VOLVO OCEAN RACE.
18:15 კალათბურთი. NBA-ის საკვირაო მიმოხილვა.
18:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
19:05 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
19:40 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/8 ფინალი. I მატჩი. დინამო (რუსეთი)-სკრა (პოლონეთი) (LIVE).
21:50 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
22:05 დროთა კავშირი.
22:15 ჰოკეი.
23:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. III ტური. მონტეპასკი-ცსკა (LIVE).
01:40 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
02:00 დროთა კავშირი.
02:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. III ტური. პარტიზანი-უნიკახა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ვაშინგტონი (LIVE).
06:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/8 ფინალი. I მატჩი. დინამო (რუსეთი)-სკრა (პოლონეთი).

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. დეიტონას 24 საათი. აშშ.
12:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. პარიზი. საფრანგეთი.
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. კლიგენტალი. გერმანია.
14:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. იაპონია-ავსტრალია (LIVE).
16:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
17:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. კლიგენტალი. გერმანია.
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).
20:45 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - ფერნანდო ტორესი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:05 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
21:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
23:00 მულტისპორტი.
23:05 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ბორდო. საფრანგეთი.
00:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:10 გოლფი. US PGA-ის ტური.
01:10 გოლფ-კლუბი.
01:15 აფროსნობა. Volvo Ocean.
01:45 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:50 მულტისპორტი.
02:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
03:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.
04:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. III ტური. დინამო (რუსეთი)-მარუსი (საბერძნეთი).
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
18:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. III ტური. ზადარი (ხორვატია)-უნიქსი (რუსეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 რესტლინგი.
23:30 პროფესიული კრივი. ნახევრადსაშუალო წონა. ლ. აბრეგუ (არგენტინა)-დ. ესტრადა (აშშ). აშშ.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ტურნირი. I ტური. ჰამბურგი (გერმანია)-პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი).
02:00 ახალი ამბები.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ერთი ვარსკვლავით ნაკლები



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავები ერთიმეორის მიყოლებით ილებენ ტრავმებს. "მინესოტა ტიმბერვულვზს" სეზონის ბოლომდე გამოაკლდა თავისი ლიდერი, ფორვარდი **ელ ჯეფერსონი**. "ნიუ ორლეანთან" მატჩში კალათბურთელი პარკეტზე უხერხულად დაეცა და შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჯეფერსონმა მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და ამ სეზონის ბოლომდე ველარ შეძლებს მოედანზე გასვლას. კალათბურთელს უახლოეს დღეებში გაუკეთებენ ოპერაციას.

ამ სეზონში ჯეფერსონმა 50 მატჩის გამართვა მოასწრო და საშუალოდ 23 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

"კლივლენდ კავალიერზს" ექვსი კვირით გამოაკლდა სერბი მცველი **საშა პავლოვიჩი**. მან "ლეიკერსთან" ერთ-ერთი ბოლო ტურის შეხვედრაში ფეხი დაიზიანა და უახლოესი თვენახევრის განმავლობაში ვერ დაეხმარება გუნდს.

არადა, ბოლო პერიოდში პავლოვიჩმა კარგი სპორტული ფორმა აკრიფა და "კლივლენდის" სასტარტო ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი. ბოლო შეხვედრებში სერბი ლეგიონერის საშუალო მონაგარმა 10 ქულას გადააჭარბა.

პავლოვიჩის გარდა, "კავალიერზის" ლაზარეთში კიდევ ორი კალათბურთელი ირიცხება - მაჯა აქვს მოტეხილი **დელონტე უესტს**, ხოლო ფეხის ტრავმას მკურნალობს **ტერენს კინსი**.

**შარლოტი-კლიპერსი 94:73**

22:21, 24:22, 19:18, 29:12

შ: ოკაფორი (19+16 მოხსნა+3 დაფარება), ოგუსტინი (17), ფელტონი (15+8 პასი), დიაო (15+9 პასი), რადმანოვიჩი (13).

კ: ზ. რენდოლფი (20+10 მოხსნა), ე. გორდონი (17), ნოვაკი (13), კემბი (8+11 მოხსნა), ბ. დევისი (3+8 პასი+3 ჩაჭრა).

**ფილადელფია-ფინიქსი 108:91**

30:25, 25:19, 25:22, 28:25

ფილ: ტ. იანგი (25), სპეიტსი (24+7 მოხსნა), იგუოდალა (22+7 პასი), ლ. უილიამსი (11), ა. მილერი (7+9 მოხსნა+6 პასი), დალემბერი (6+11 მოხსნა).

ფინ: სტაუდმაიერი (19+3 დაფარება), ჯ. რიჩარდსონი (16), შ. ო'ნილი (7+10 მოხსნა), ნეში (2+8 პასი).

**მემფისი-ნიუ ორლეანი 85:80**

21:22, 19:17, 24:19, 21:22

მ: მაიო (22+16 მოხსნა), კონლი (18+8 პასი), უორიკი (15+14 მოხსნა+3 დაფარება), მ. გასოლი (10+10 მოხსნა).

ნ-ო: სტოიაკოვიჩი (23+7 მოხსნა), ა. დენიელსი (11), პოუსი (11), დ. ბრაუნი (8+9 მოხსნა).

**მილუოკი-ჰიუსტონი 124:112**

32:23, 32:35, 34:18, 26:36

მ: სეშენსი (26+7 პასი+4 ჩაჭრა), ვილანუევა (25+8 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (25), ჩ. ბელი (21), ბოგანსი (13).

ჰ: ბრუქსი (23), არტესტი (20), სკოლა (20), ლენდრი (16+7 მოხსნა), იაო მინი (7+10 მოხსნა).



## კვირის მოთამაშეები

"კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი **პაუ გასოლი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთ კონფერენციის ლაურეატმა ჯეიმსმა საშუალოდ მატჩში 33.7 ქულა, 8.0 მოხსნა და 9.0 შედეგიანი პასი მიითვალა, "კლივლენდმა" კი სამი შეხვედრიდან ორ მატჩში გაიმარჯვა. გასულ კვირას, "კავალიერზის" ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა ისტორიაში, ვინც კარიერაში 12 ათასი ქულა დააგროვა.

ზედიზედ ოთხ მოგებულ მატჩში პაუ გასოლმა საშუალოდ 26.0 ქულა და 13.8 მოხსნა მოიხვეჭა.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **რიჩარდ ჰემილტონი** ("დეტროიტი"), **სტივენ ჯექსონი** ("გოლდენ სტეიტი"), **იაო მინი** ("ჰიუსტონი"), **ო ჯეი მაიო** ("მემფისი"), **დევინ ჰარისი** ("ნიუ ჯერსი") და **დერონ უილიამსი** ("იუტა").

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლივლენდი | 49 | 39 | 10 | 79.6 |
| 2. ბოსტონი | 53 | 42 | 11 | 79.2 |
| 3. ორლანდო | 50 | 38 | 12 | 76.0 |
| 4. ატლანტა | 50 | 29 | 21 | 58.0 |
| 5. დეტროიტი | 49 | 27 | 22 | 55.1 |
| 6. მაიამი | 50 | 27 | 23 | 54.0 |
| 7. ფილადელფია | 50 | 26 | 24 | 52.0 |
| 8. მილუოკი | 54 | 25 | 29 | 46.3 |
| 9. ნიუ ჯერსი | 52 | 24 | 28 | 46.2 |
| 10. ჩიკაგო | 51 | 22 | 29 | 43.1 |
| 11. ნიუ იორკი | 50 | 21 | 29 | 42.0 |
| 12. შარლოტი | 51 | 20 | 31 | 39.2 |
| 13. ინდიანა | 52 | 20 | 32 | 38.5 |
| 14. ტორონტო | 53 | 19 | 34 | 35.8 |
| 15. ვაშინგტონი | 51 | 11 | 40 | 21.6 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 50 | 41 | 9 | 82.0 |
| 2. სან ანტონიო | 49 | 34 | 15 | 69.4 |
| 3. დენვერი | 51 | 34 | 17 | 66.7 |
| 4. პორტლენდი | 50 | 31 | 19 | 62.0 |
| 5. ნიუ ორლეანი | 49 | 30 | 19 | 61.2 |
| 6. დალასი | 50 | 30 | 20 | 60.0 |
| 7. ჰიუსტონი | 52 | 31 | 21 | 59.6 |
| 8. ფინიქსი | 50 | 28 | 22 | 56.0 |
| 9. იუტა | 52 | 29 | 23 | 55.8 |
| 10. მინესოტა | 50 | 17 | 33 | 34.0 |
| 11. გ. სტეიტი | 52 | 17 | 35 | 32.7 |
| 12. მემფისი | 51 | 15 | 36 | 29.4 |
| 13. ოკლაჰომა | 51 | 13 | 38 | 25.5 |
| 14. კლიპერსი | 52 | 12 | 40 | 23.1 |
| 15. საკრამენტო | 52 | 11 | 41 | 21.2 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 28.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 28.2 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.3 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.8 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 25.6 |
| კევინ დურანი (ოკლ) | 25.5 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.1 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 12.8 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 11.8 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 11.8 |
| ტრო მერფი (ინდ) | 11.4 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 10.9 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 10.0 |
| სტივ ნეში (ფინ) | 9.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.4 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 8.3 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.3 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.1 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 1.9 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.9 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.4 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.2 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.1 |
| ბრუკ ლოპესი (ბოს) | 1.9 |

# მენეგინი იტალიურ კალათბურთს გაუძღვება



ლეგენდარული ცენტრალური თავდამსხმელი **დინო მენეგინი** იტალიის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ვეტერანმა კალათბურთელმა ამ პოსტზე **ფაუსტო მაიფრედი** შეცვალა, რომელიც თანამდებობიდან სექტემბერში გადადგა.

*"თავიდანვე დავიწყებ იმაზე ზრუნვას, რომ ლიგებს შორის ურთიერთობებში კომპრომისი გამოვნახო. აგრეთვე, შევიმუშავებ შეთანხმებას, რომელიც ერთდროულად კლუბებისა და მოთამაშეების ინტერესებს დააკმაყოფილებს. იტალიელ კალათბურთელებს მეტი შანსი უნდა მივცეთ იმისთვის, რომ ადგილობრივ კლუბებში ითამაშონ. ასევე მნიშვნელოვანია, ნაკრების რიგებში რეგულარულად ვიხილოთ NBA-ში მოთამაშე ჩვენი ლეგიონერები - ანდრეა ბარნიანი, მარკო ბელინელი და დანილო გალინარო"*, - განაცხადა მენეგინმა, რომელსაც იტალიის ნაკრების რიგებში ოთხ ოლიმპიადაზე აქვს ნათამაშები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი




# მარია, დანიელა და ტატიანა



სულ მალე, ჟურნალ Sports Illustrated-ში სამი პოპულარული ჩოგბურთელის - რუსი **მარია კირილენკოს**, ფრანგი **ტატიანა გოლოვინისა** და სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვას** ფოტოსესია გამოქვეყნდება.

ინტერნეტში უკვე გავრცელდა ამ ფოტოსესიის რამდენიმე სურათი. ჩოგბურთელებს ფოტოები დომინიკის რესპუბლიკაში გადაუღეს.

*"Sports Illustrated-ისთვის ჩატარებული ფოტოსესიისგან სასიამოვნო მოგონებები დამრჩა. დომინიკის რესპუბლიკაში სამი დღე პლაჟზე გავატარეთ. ძალიან დიდი სამუშაო ჩავატარეთ, მაგრამ მაინც კმაყოფილები დავრჩით. ჩვენთან ერთად პროფესიონალთა ჯგუფი მუშაობდა, ხოლო ვალტერ ლოსი - ყველაზე დიადი ფოტოგრაფია, ვისთანაც კი მე მიმუშავია. ასე რომ, მოუთმენლად ველი 15 თებერვალს, როცა ნომერი გაყიდვაში გამოვა"*, - ამბობს დანიელა ჰანტუხოვა.

